

კრიტიკული საკითხავი

სოციალური და ეკონომიკური
პოლიტიკის შესახებ

თარგმანების კრებული

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი



პუბლიკაცია მომზადდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება, იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის ჩიხი1, #1, 0179
თბილისი, საქართველო

კრიტიკული საკითხავი
სოციალური და ეკონომიკური
პოლიტიკის შესახებ

თარგმანების კრებული

2022

თარგმანების კრებული მომზადდა პროექტის „გლობალური გამოწვევების პოლიტიკური ეკონომია: თეორია და პოლიტიკა“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმის (Platforma.ge) მიერ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

მთარგმნელთა ჯგუფი: ოთარ კობახიძე, მარიამ შაიჭაძე,
სანდრო ცხველიანი, გიორგი ხასაია

ენობრივი რედაქტორი: თამარ შაიჭაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი: ლელა გვიშანი

დაკაბადონება და გარეკანის დიზაინი: თამარ ხურცილავა

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

© კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა

კრებული ვრცელდება მხოლოდ ელექტრონული სახით.

სარჩევი

მუხომეტა გამოქითხვის საკითხი „სოციალიზმი ან ბაკბაროსობაში“
ანი სიმონი 6
მთარგმნელი ოთარ კობახიძე

პროლეტარული გამომდინება
ქლოდ დუშოვი 20
მთარგმნელი ოთარ კობახიძე

ნოდინბედიშვის მოქდა ისტორია: თავისუფლება მხოლოდ მოკიში
სიზჟვაა
დვიდ ჰაკვი 64
მთარგმნელი მარიამ ჰაიჭაძე


კავიზადისტური ერა
იურგენ კოჩკა 124
მთარგმნელი სანდრო ცხვედიანი

მომხმარებელი სოცოგარეების გაკვეთილები
ელუარდო გარანო 152
მთარგმნელი გიორგი ხასაია

გურგელთა გაგვიტოვების საკითხი „სოციალიზმი ან ბარბაროსობა“

ავტორი: ანრი სიმონი.

თარგმნა ოთარ კობახიძემ.



მთავარ სათქმელზე გადასვლამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ „სოციალიზმი ან ბარბაროსობა“, უპირველესად კასტორიადისის (ცნობილი აგრეთვე, როგორც შოლიო) წყალობით, არაერთი განსხვავებული პერიოდი გაიარა. ეს პერიოდები შეესაბამებოდა ბრძოლის პერსპექტივების პოლიტიკურ ანალიზს, რაც შემდეგ ჯგუფის განვითარებასაც განაპირობებდა.

თუკი შესაძლებელია სქემატურად განვასხვავოთ მარქსისტული პერიოდი არამარქსისტულისაგან, კასტორიადისის ახალი პოზიციებთან და 1963 წელს მარქსისტული ტენდენციის მქონე „მშრომელთა ძალაუფლების“ გახლეჩით, წინარე პერიოდი, დაწყებული 1949 წლიდან, გამოირჩევა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სიტუაციების განალიზების მიდგომათა სიმრავლით, როგორც საფ-

რანგეთში, ისე დანარჩენ მსოფლიოში. ჟურნალის 40 ნომერში მარტივად შესამჩნევ ამ მიდგომათა მრავალფეროვნებაში მუშათა გამოკითხვის საკითხი სწორედ იმ პერიოდებშია წამოჭრილი, რომლებშიც ჯგუფი კლასობრივი ბრძოლის პრიმატს აღიარებდა. აქვე საჭიროა იმის გახსენებაც, რომ შოლიო-მონტალის (Chaulieu-Montal) მიმართულება ინტერნაციონალისტურ კომუნისტურ პარტიასა (Parti Communiste Internationaliste) და მეოთხე ინტერნაციონალს სსრკ-ს ბუნებაზე მსჯელობისას გამოეყო. ამავდროულად, შვიდი წლის განმავლობაში ჯგუფი მთელ ყურადღებას უთმობდა მესამე მსოფლიო ომის შესაძლო დაწყებას. თუმცა, როგორც ამ ნომრის პირველმა სტატიამ, პოლ რომანოს (Paul Romano) ტექსტის „ამერიკელი მშრომელის“ (The American Worker) თარგმანმა, ასევე ჯგუფის ანგარიშებმა საფრანგეთსა და საზღვარგარეთ მშრომელთა გაფიცვებზე აჩვენა, იგი ინტერესდებოდა რა ხოლმე მშრომელი კლასით, იგი მუშათა ნარატივებს დაბეჭდავდა ხოლმე. თუმცა, ეს არც არასოდეს ყოფილა მშრომელთა გამოკითხვის საკითხი და ვერც იმას ვიტყვით, მათ მთავარ საზრუნავად მშრომელთა სამყაროს შემეცნება ჰქონდათ დასახული.

პირადად მე, „სოციალიზმი ან ბარბაროსობაში“ 1952-1958 წლებში ვმუშაობდი. კლოდ ლეფორთან (მონტალი) ერთად იგი მას შემდეგ დავტოვე, რაც ჯგუფის უმრავლესობამ ალჟირის ომისა და დეგოლისტური ნახევრად-გადატრიალების ამბების გამო პოლიტიკური პარტიის შექმნა დააპირა. აღნიშნული დაპირისპირება გამოიწვია

ორგანიზაციულმა საზრუნავებმა, რომელთა ყურადღების ცენტრში მუშათა კლასის მოქმედების საკითხი არ მოქცეულა. პირიქით, ჯგუფის უმეტესობა გოლიზმს ფაშიზმის ნაირსახეობად აღიქვამდა (რაც არასწორი ანალიზი იყო) და ასკვნიდა, რომ ჩვენ მონაწილეობას მივიღებდით მშრომელთა ამბოხში, რომელიც აუცილებლად მოითხოვდა სტრუქტურულ ორგანიზაციას. ეს კურსი ეწინააღმდეგებოდა მშრომელთა გამოკითხვის კონცეფციას, რადგანაც საკუთარი თავის წინამძღოლად, კოორდინატორად ან „რეკრუტერად“ გააზრებით, იმხანად ეს ჯგუფი უკვე არსებული მოსაზრების პრაქტიკაში განხორციელებას ცდილობდა და არა - ასეთ მოსაზრებამდე მშრომელთა ქცევების ანალიზით მისვლით. რა ხდებოდა 1958 წლის შემდეგ ჯგუფში, ცხადია ვერ ვიტყვი, რადგან მისი წევრი აღარ ვყოფილვარ, თუმცა შემძლო ჟურნალში გამოქვეყნებული ტექსტები მენახა ან ჯგუფში ჩემს კონტაქტებს მივხდობოდი.

თუკი გამოცემის პირველ ნომრებში არსებითი ინტერესი არ გამოვლენილა, ზოგადად თუ სპეციფიკურად, მუშათა კლასის თუ პროლეტარიატის გაგებისა, 1952 წლის ნოემბერ - დეკემბრის მე-11 ნომერში წამყვანი სტატია სათაურით „პროლეტარული გამოცდილება“ სწორედ მშრომელთა გამოკვლევის საკითხს მიეძღვნა (სტატიას კონკრეტული ავტორი არ ჰყავდა მითითებული, ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი გამოხატავდა ჯგუფის კონსენსუსს ან კომპრომისს) თუმცა, საუბრობდა რა გამოკვლევაზე, სტატიის მიზანი არ ყოფილა ეჩვენებინა გამოკითხვის მეთოდის უპირატესობა მშრომელთა შესამეც-

ნებლად, არამედ პირიქით, იგი ხაზს უსვამდა „ნარატიული ანგარიშების“ საჭიროებას. აქ უნდა მოვიყვანოთ სტატიის ტექსტის ერთი პასაჟი, რომელიც აჭამებს ამ ვრცელ თეორიული საკითხს:

„სოციალიზმი ან ბარბაროსობას“ სურს, მუშებისაგან შეაგროვოს ნარატივები და გამოაქვეყნოს ისინი, რადგანაც მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროლეტარული გამოცდილების ანალიზში. ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა სანცის ნარატივს, რომელშიც ჩვენ მიერ ხაზგასმული ზოგიერთი პუნქტი გამოტოვებულია. სხვა ამდაგვარ ტექსტებში იგივე პუნქტები, შესაძლოა, ისე წამოიჭრას, როგორც წინამდებარე ნომერში არ ყოფილა განსაზღვრული. ფაქტობრივად, ზუსტი ჩარჩოს შემუშავება შეუძლებელია. თუკი ახსნისას ასე მოვიქცეოდით და კითხვარის გარდა სხვას არაფერს შევუმუშავებდით, განუული შრომა ღირებული არ იქნებოდა: გარედან თავს მოხვეული კითხვა, შესაძლოა გამაღიზიარებელი აღმოჩნდეს იმ ადამიანისათვის, ვისაც ამ კითხვას ვუსვამთ და ამით შესაძლოა, ერთგვარად, ხელოვნური პასუხის ჩამოყალიბებასაც კი შევუწყოთ ხელი. ჩვენი საკვლევ მიმართულებები გავლენას მოახდენს ჩვენ მიერ შემოტანილ ნარატივებზე: ყურადღებით უნდა მოვეპყრათ გამოხატვის ყველა იმ ფორმას, რომელმაც კონკრეტული ანალიზისაკენ შეიძლება გვებიძგოს. დანარჩენ შემთხვევებში, პრობლემას წარმოადგენს არა ფორმალოკუმენტისა, არამედ მისი ინტერპრეტაცია. ვინ გამოიკვლევს ურთიერთობებს, ამა თუ იმ პასუხებში ავტორები რომ მნიშვნელოვნად მოიაზრებენ? ვინ გამოავლენს დოკუმენტის ექსპლიციტური შინაარსის

სიღრმეებს, ან მის შთამავონებელ განზრახვებსა და დამოკიდებულებებს, ან ვინ შეადარებს ნარატივებს? ამხანაგები „სოციალიზმი ან ბარბაროსობიდან“? ხომ არ შეეწინააღმდეგებოდა ეს მათ მისწრაფებებს / განზრახვებს, კვლევის ისეთი გზა შემოეთავაზებინათ, რომელიც მშრომელებს თავიანთი გამოცდილების გააზრებამოყოლის საშუალებას მისცემდა? ეს პრობლემა ხელოვნურად ვერ გადაწყდება, მითუმეტეს სამუშაოს ამ პირველ ეტაპზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, ინტერპრეტაცია ყოველთვის იქნება საინტერპრეტაციო ტექსტის თანამედროვე. ვიმედოვნებთ, დოკუმენტების კოლექტიური კრიტიკისას, შესაძლებელი იქნება ავტორები ტექსტებს დაუკავშიროთ. მოცემულ მომენტში, ჩვენი მიზანია, ამ მასალების შეგროვება და დიდი იმედი გვაქვს, ამაში ჟურნალისადმი კეთილგანწყობილი მკითხველიც აქტიურად დაგვიჭერს მხარს.

თხრობა სრულდება დასკვნით, რომ მუშათა გამოკვლევა გვერდზე უნდა გადაიდოს ცალკეული ადამიანის უშუალო გამოცდილების ნარატივების შეგროვების სასარგებლოდ. სწორედ აქ ვხვდებით, რას წარმოადგენდა „სოციალიზმი ან ბარბაროსობა“ იმ დროს - ეს იყო რამდენიმე ათეული მებრძოლი, რომელსაც სხვადასხვა პროვინციაში კონტაქტების გარკვეული ოდენობა გააჩნდა. ეს იყო ჟურნალი, რომლის 200 ეგზემპლარიც კი თუ ძლივს გაიყიდებოდა. პრაქტიკულ მიზეზთა გამო, მშრომელთა გამოკითხვის რამენაირი სახით დაწყება არც კი განიხილებოდა, რადგანაც ჯგუფში მხოლოდ სამი თუ ოთხი

წვერი იყო თავად პროლეტარი. მოასწავებდა თუ არა მშრომელთა გამოკითხვის მეთოდის ასეთი კრიტიკული უარყოფა ამ სამუშაოს განხორციელების შეუძლებლობას, მითუმეტეს ჯგუფის მოცულობას თუ მივიღებდით მხედველობაში? იქნებ, პირიქით, იგი თავად წარმოადგენდა ჯგუფის პოლიტიკური მიდგომის შედეგს, რომ მას, ჯგუფს, არაფერი ესწავლებოდა მშრომელთა კლასისაგან, მაშინ როცა, თავად მას რაღაც საკითხებზე შეეძლო დაემოძღვრა კიდევ მშრომელები? (ეს უკავშირდება 1958 წლის ალჟირის ომის პოლიტიკური დაძაბულობის დროს ორგანიზაციის როლზე წამოჭრილ პოზიციებსაც). პოლ რომანოს „ამერიკელი მშრომელის“ შემდეგ, ჟურნალში მხოლოდ ჯგუფის პროლეტარი წევრების ნარატივები იყო მოყვანილი. ცხადია, რომ აღნიშნულ ნარატივებზე გავლენა ჯგუფის პოლიტიკურმა ხედვამ მოახდინა. მაგალითად, მოთეს (Mothé) ნარატივებს რენო ბილანკურის ქარხანაზე კასტორიადისის პოზიციათა გავლენა ეტყობა.

„პროლეტარული გამოცდილების“ შესახებ ამ ტექსტის გამოქვეყნება საფრანგეთში 1953 და 1955 წლების ფართომასშტაბიან გაფიცვებს დაემთხვა. 1958 წლამდე, სანამ ალჟირის ომის პოლიტიკური პრობლემები ხელს არ დარევდა ჯგუფს, ჯგუფის შიგნით დისკუსიები და ნომერში დაბეჭდილი სტატიები მეტ ყურადღებას უთმობდა მშრომელთა ბრძოლებსა და ნარატივებს. 1952 წელს დასმული მუშათა გამოკვლევის საკითხი კი დღის წესრიგში ხელახლა აღარ დამდგარა. პირიქით, ყოველკვირეულ შეხვედრებზე არაერთი დება-

ტი მიეძღვნა მშრომელთა გაზეთის იდეას. ასეთი გაზეთი, „მშრომელთა მაცნე“, ფარულად არსებობდა, რომლის სათავეშიც ბილანკურში რენოს ქარხნის მუშები იდგნენ, რომელთა ნაწილიც ახლოს იდგა „სოციალიზმი ან ბარბაროსობასთან“ (ერთ-ერთი მათგანი ჯგუფის წევრიც იყო).

„მშრომელთა მაცნეს“ - ბილანკურის რენოს ქარხნის მუშათა მაცნეს - ისტორიის უკეთ გასაგებად უნდა დავაკვირდეთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 15 წლის განმავლობაში განვითარებულ შრომით ურთიერთობებს. 30 000 მუშისაგან შემდგარ ამ ქარხანაში, რომელსაც იმხანად „მშრომელთა ციხესიმაგრესაც“ ვუწოდებდით, დომინირებდა კომუნისტურ პარტიასთან დაახლოებული შროსკო (CGT), რომელიც 1947 წლამდე აწესებდა მენეჯმენტის იმპერატივებს წარმოებაზე. იგი შეესაბამებოდა საფრანგეთში კაპიტალიზმის ეკონომიკური აღდგენისათვის მოღვაწე ეროვნული პოლიტიკური კავშირის პოლიტიკას.

ამისდა მიუხედავად, კლასობრივი ბრძოლა მაინც გრძელდებოდა და ტროცკისტმა მებრძოლებმა წარმატებით მოახერხეს ოპოზიციის პოლარიზება კლასობრივი თანამშრომლობის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. მათ ასევე ბიძგი მისცეს 1947 წლის აპრილ-მაისის გაფიცვასა და პროფკავშირის გარეთ საგაფიცვო კომიტეტის შექმნას. გაფიცვის ძალადობრივი რეპრესიები კომპრომისით კი დასრულდა (რომელსაც ხელი მოაწერა შროსკომ საგაფიცვო კომიტეტის დაუსწრებლად), მაგრამ მას პოლიტიკური გამოძახილიც ჰქონდა: მთავრობიდან

დაითხოვეს კომუნისტი მინისტრები (ამას სხვა ფაქტორებმაც უბიძგეს, მაგალითად ერთი მხრივ, ცივი ომის დაწყებამ და საბჭოთა პოლიტიკისაგან გაუცხოებამ და მეორე მხრივ, ვიეტნამის პირველმა ომმა). გაფიცვის დასრულების შემდეგ შროსკო გაფიცვის წამომწყები სექციებიდან გარიცხეს. სექციას მოუხდა ახალი პროფკავშირის - რენოს დემოკრატიული კავშირის (Renault Democratic Union – SDR) ჩამოყალიბება, რომელსაც ტროცკისტი მებრძოლი ბუა (Bois) ჩაუდგა სათავეში. ამ კავშირის არსებობა ძალზე ეფემერული იყო, რადგანაც იგი დაუპირისპირდა შროსკოსაც და მენეჯმენტსაც (სამართლებრივმა მოწყობამ ეს კავშირი პრაქტიკულად გარიყა ქარხნაში მიმდინარე დისკუსიებში მონაწილეობისაგან).

რამდენიმე წელიწადში, 1954 წელს, ქარხანაში ახალი ოპოზიციური ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლის გადაჯგუფებასაც სათავეში ედგნენ „სოციალიზმი ან ბარბაროსობის“ მებრძოლი რაიმონი (რომელიც ჯერ კიდევ უარს ამბობდა ჯგუფში მონაწილეობაზე) და ქარხნის სხვა მებრძოლები - ანარქისტი პიერო (Pierrot), ტროცკისტი ბუა (Bois) და „სოციალიზმი ან ბარბაროსობის“ წევრი მოტე (Mothé). სწორედ ამ გზით დაარსდა „მშრომელთა მაცნე“. მაცნე ქარხანაში ფარულად ვრცელდებოდა, რადგანაც შროსკოს კვლავაც საკმარისად ძლიერ გავლენას შეეძლო ხელი შეეშალა ნებისმიერი წინააღმდეგობისათვის. ამ ჯგუფის ნამდვილი ფასილიტატორი გასპარი იყო, რომელიც, მართალია, გაზეთის გავრცელებისას არ ჩანდა ხოლმე, თუმცა სწორედ მან აქცია ეს ჯგუფური კავშირი ქარხნის გარეთაც კი

ერთგვარი კოლექტიურ თანაცხოვრების მაგალითად (იქნებოდა ეს არდადეგები, კულტურული მოგზაურობები თუ ა.შ.). ამის დადასტურება შემიძლია, რადგან დროდადრო მეც ვმონაწილეობდი აღნიშნულ „ღონისძიებებში“.

არაერთი მცდელობა იყო, „მშრომელთა მაცნე“ გადაქცეულიყო „სოციალიზმი ან ბარბაროსობის“ მუშათა გაზეთად. მაცნეს მეთოდის განსასაზღვრად გაჩაღებული დისკუსიები ჯგუფის იდეათა პროპაგანდისათვის უფრო იყო ჩაფიქრებული და არა პროლეტარიატის უფრო სიღრმისეული გააზრებისათვის. 1958 წლის შემდეგ, მას მერე რაც ჯგუფი გაიყო, გაზეთი „მშრომელთა ძალაუფლების“ სახელით გამოდიოდა. რადგანაც ამ თარიღის შემდეგ „სოციალიზმი ან ბარბაროსობას“ წევრი აღარ ვყოფილვარ, მხოლოდ მათ საგაზეთო პუბლიკაციებზე დაყრდნობით შემიძლია ვამტკიცო, რომ მშრომელთა გამოკვლევის საკითხი არასდროს დამდგარა დღის წესრიგში. მეტიც, მათი ნომრებიდან მშრომელთა ნარატივებიც კი გაქრა და ჯგუფის დიდი ნაწილიც უკვე ინტელექტუალებისა და სტუდენტებისაგან შედგებოდა და არა - თავად პროლეტარებისაგან.

დებატები, რომელთა წყალობითაც 1958 წელს „სოციალიზმი ან ბარბაროსობის“ ჯგუფი გაიხლიჩა, ორგანიზაციის როლის შესახებ დაწერილი ორი ტექსტის გამო წამოიჭრა. პირველის ავტორი კასტორიადისი იყო, მეორისა კი - ლეფორი. „მებრძოლთა მოქმედების“ დასკვნით ნაწილში ლეფორის ტექსტი გაკვრით ასე ეხება

მშრომელთა გამოკითხვის საკითხს: „მეორე მხრივ, შესაძლებელია ჩვენი საზოგადოების ფუნქციონირების რამდენიმეგვარი სერიოზული ანალიზი (წარმოებითი ურთიერთობები, ფრანგული ბიუროკრატია, პროფკავშირის ბიუროკრატია). ამ გზით შესაძლებელია ქარხნებში მომუშავე მებრძოლებთან თანამშრომლობის წამოწყება მუშათა მართვის პრობლემის შესახებ (მათი ცხოვრებისა და სამუშაო გამოცდილების გამოკვლევით).“ თუმცა, ამ შემთხვევაშიც ეს მსჯელობაც თეორიულ პოზიციად დარჩა, რომელსაც შემცირებული ჯგუფისა და მოვლენათა სხვაგვარი განვითარების გამო პრაქტიკული განხორციელება არ ეწერა.

პროლეტარული ცხოვრების გაგების ეს მიდგომა, ერთგვარად, 1962 წლამდე მომხდარი ქარტეხილებისას ასპარეზზე გამოსულებმა აიტაცეს, რომლებიც 1958-ში „სოციალიზმი ან ბარბაროსობამ“ უმცირესობად გაირიყა. ბევრ დროს წაიღებს იმის ახსნა, 1958 წლის შემოდგომიდან მოყოლებული, როგორ შევდექით მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარების გამაერთიანებელ ჯგუფთაშორის მოქმედ ჯგუფად, რომელმაც ყოველთვიური ბიულეტენის გამოცემა დაიწყო, ბიულეტენისა, რომლითაც მონაწილენი თავიანთ ქარხნებში მომხდარ მოვლენებზე მოგვითხრობდნენ. ბიულეტენს „ცნობები მშრომელთა მიმოწერაზე“ (იკო) დაერქვა და ამ ფორმით 1968 წლამდე არსებობდა, სანამ სტუდენტების შემოდინებამ მისი, როგორც ჯგუფის ორიგინალური დამახასიათებელი თვისებები და ბიულეტენის შინაარსი არ შეცვალა. გარკვეულწილად, იკო მოგაგონებდათ კიდევ მშრომელთა

გამოკითხვას, მაგრამ იგი არ ეძებდა პასუხებს ზუსტ კითხვარზე. იკო გადმოსცემდა ნარატივს, რომლის ცხადყოფაც მშრომელებს შეხვედრაში მონაწილეობისას კითხვების დასმით შეეძლოთ. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ 1967-1968 წლებამდე, ვიდრე ეკონომიკურმა და სოციალურმა განვითარებამ ამ ტიპის გამოცდილების მიმართ ინტერესი გაამძაფრა, იკოს წევრთა რიცხვი 30-ზე ზემოთ არასდროს ყოფილა და ბიულეტენის მიმოქცევაც მხოლოდ 1000-მდე თუ აღწევდა. შესაბამისად, ამ ჯგუფის მხედველობაში არ ყოფილა მისაღები.

1962-63 წლისათვის, რაიმონის წასვლის გამო „მშრომელთა მაცნე“ გაქრა. რაიმონმა რენოს მუშათა ნაწილი კოლექტიური საარდადეგებო ცენტრის დაარსების მიზნით თან გაიყოლა. 1958 წლამდე პერიოდში „სოციალიზმი ან ბარბაროსობას“ წევრებში იმართებოდა დისკუსიები მშრომელთა გაზეთის შესახებ, რომელსაც მუშებისათვის მშრომელთა ბრძოლაზე ჯგუფის პოზიცია უნდა აეხსნა. გარკვეული დროის განმავლობაში „სოციალიზმი ან ბარბაროსობის“ წევრთა ნაწილი ფიქრობდა, რომ სწორედ „მშრომელთა მაცნე“ იქნებოდა ჯგუფის შეხედულებების გამომხატველი გაზეთი. თუმცა რაიმონისა და სხვა წევრების წინააღმდეგობამ (მოთეს გარდა, რომელიც ამ ინტეგრაციას მხარს უჭერდა), ჯგუფის ეს მცდელობები წყალში ჩაყარა. მხოლოდ 1958 წლის გახლეჩის შემდეგ მოხდა, რომ უმრავლესობამ დააფუძნა მუშათა გაზეთი „მშრომელთა ძალაუფლება“. ეს გაზეთი არ ყოფილა „მშრომელთა მაცნეს“ გაგრძელება, რომელიც კიდევ რამდენიმე ხანს გამოიცემოდა თავისი ორიგინალური ფორმით,

არამედ იგი წარმოადგენდა პოლიტიკური ჯგუფის გაზფოს, რომელიც ცდილობდა თავისი სათქმელი მუშებისათვის მათთვის გასაგებ ენაზე მიწნოდებინა. ეს გაზეთი მშრომელთა რამე კონკრეტულ გამოცდილებაზე დაფუძნებული არ ყოფილა. ეს რომ ასე იყო, იმითაც დასტურდება, რომ 1963 წელს, „სოციალიზმი ან ბარბაროსობის“ ხელახალი დაყოფისას „მშრომელთა ძალაუფლება“ ახალი ჯგუფის პოლიტიკური ორგანოს სახელი გახდა. 1958 წლის შემდეგ, მოთემ ახალი გაზეთი დააარსა, რომელიც მის მიერ ჟურნალში გახმოვანებულ პოზიციებს ეფუძნებოდა, თუმცა მან ეს იდეაც მალევე მიატოვა „შრომის ფრანგულ დემოკრატიულ კონფედერაციაში“ (CFDT) კარიერის გაკეთების სანაცვლოდ.

მოთეს გასინდიკალისტება, რაიმონის მიერ ჯგუფის კომერციული კარიერის სასარგებლოდ დატოვება და ბუას (რომელიც „მშრომელთა ხმის“ მაცოცხლებელი ძალა იყო) ტროცკისტების კონტროლირებადი ქარხნების გაზეთების სათავეში ჩადგომა „მშრომელთა მაცნეს“ შესაძლო გაქრობას ნიშნავდა, რადგანაც მისი მმართველების უმეტესობა უკვე სხვაგან მუშაობდა. მხოლოდ ერთი მათგანი, პიერო იყო მემარცხენე, რომელიც რენო ბილანკურის მუშა გახლდათ. იგი იკოს შეუერთდა და მისი ერთ-ერთი ანიმატორიც გახდა. თუმცა შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამით რამე სახის მემკვიდრეობითობა იყო „მშრომელთა მაცნესთან“, რომელიც პრაქტიკულად იმ მომენტიდანვე გაქრა, როცა იკო ნებისმიერ ამ გაზეთში ნახსენები ჯგუფებისაგან განსხვავებულ საფუძვლებზე ჩამოყალიბდა. იკოს

წევრები იყვნენ მუშები, რომელნიც განსხვავებით პროკავშირე-ბისაგან, სხვებს უზიარებდნენ თავიანთ, როგორც მუშების, გამოცდი-ლებას. ისინი ასევე წერდნენ უფროსთა ექსპლოატაციასა და პროფ-კავშირის ბიუროკრატიას შორის რთულ ბრძოლაში თავიანთ გამოც-დილებაზე. ეს გამოცდილება ორიგინალურ კონცეფციას ქმნიდა, განსხვავებულს ერთ ქარხანაზე ორიენტირებული „მშრომელთა მაცნესაგან“ ან პოლიტიკური ჯგუფის [ინტერესების] გამომხატველი „მშრომელთა ძალაუფლებისაგან“. იკომ ამ ფორმით არსებობა 1968 წლამდე გააგრძელა, სანამ 68 წლის მისში არამშრომელთა შემო-დინებამ იგი პოლიტიკურ ჯგუფად არ გადააქცია, რომელიც თავის მხრივ, შემდეგში სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულების ჯგუფად დაიშალა. აღნიშნულ „მშრომელთა“ გაზეთთაგან დღევანდელი მობილად არცერთი გამოდგება, რადგანაც თითოეული მათგანი კაპიტალის სტრუქტურის, წარმოებიდან გამომდინარე ურთიერთო-ბების და გარკვეულწილად პროფკავშირების არსებობას უსუსობდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და დღეს ცოტა თუ განიხილავს ხოლმე „მშრომელთა გაზეთებს“.

იკო 1968 წლის შემდეგ გაქრა, მეტწილად პროლეტარიატის როლზე ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებების გამო. ზოგიერთი პროგნოზირებდა იმ ბრძოლათა გააქტიურებას, რომლებიც რევო-ლუციურ პერსპექტივას გაამართლებდა (ამან ხელახლა დააბრუნა ძველი დებატები ორგანიზაციების როლზე და წარმოშვა გადაულა-ხავი სხვაობა მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის). სხვები ფიქ-

რობდნენ, რომ საზოგადოების კომუნისტურ ტრანსფორმაციაში პროლეტარიატს წამყვანი როლი აღარ ეკავა. 40 წლის შემდეგაც კვლავაც ვხვდებით ამ ნაკადთა დაპირისპირებას, თუმცა შეიძლება ითქვას, არცერთმა იყის სინამდვილეში, როგორ ცხოვრობს და იბრძვის პროლეტარიატი და როგორი უნდა იყოს არა-კაპიტალისტური სამყარო. მიუხედავად იმისა, რომ სოციოლოგებისა და ეთნოლოგების მთელი ლეგიონი მუშაობს მსოფლიო მასშტაბით, რათა უზრუნველყონ მშრომელის დომინირება შრომითი ძალის გამოყენების სისტემის შენარჩუნებლად, მშრომელთა გამოკითხვა აღარაა რელევანტური: ზოგიერთისათვის ის სრულიად უსარგებლოა, რადგანაც მშრომელნი აღარ წარმოადგენენ გადამწყვეტ ფაქტორს, სხვები კი, ისევე როგორც წარსულში, ფიქრობენ, რომ პროლეტარიატი მეორეხარისხოვანია, რომელსაც უნდა ასწავლონ და არა პირიქით.

ბიბლიოგრაფია

G. Vivier, “La vie en usine,” Socialisme ou Barbarie no. 11.


Claude Lefort, *Éléments d’une critique de la bureaucratie* (Paris: Gallimard, 1979), 112. ↑

ტექსტის ორიგინალი, ინგლისურენოვანი ვერსია გამოქვეყნდა ჟურნალში “Viewpoint” (#3, 2013).

პროლეტარული გამოცდილება

ავტორი: კლოდ ლეფორი

თარგმნა ოთარ კობახიძემ.



„დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია კლასთა შორის ბრძოლის ისტორიაა“ - მარქსის შემოქმედებიდან ამ ფრაზას ყველაზე უფრო ხშირად იმეორებენ. ამ სიტყვებს სრულებითაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამ ფრაზისათვის არ იშურებენ პრაქტიკულ კომენტარებს, შარლატანები ცდილობენ მისი მნიშვნელობის გაბუნდოვანებას და ანაცვლებენ მას უფრო ადვილად დასაჯერებელი სიტყვებით. თუმცა, კვლავაც უნდა ვთქვათ თუ არა, რომ ისტორია მთლიანად კლასთა შორის ბრძოლის ისტორიაა? კვლავაც უნდა ვთქვათ თუ არა, რომ დღესაც, ისტორია საფესვით განისაზღვრება, როგორც პროლეტარიატის ბრძოლა მისი მჩაგვრელი კლასის წინააღმდეგ? უნდა ვთქვათ თუ არა, რომ ისტორიული შემოქმედებითობა და პროლეტარიატის შემოქმედებითობა ერთი და იგივეა? ამ საკითხებზე მარქსთან არავითარი გაუგებრობა არ გვხვდება. მან თქვა, რომ „წარმოების საშუალებე-

ბათა შორის უდიდეს საწარმოო ძალას თავად პროლეტარიატი წარმოადგენს“. ყველა ჯურის ფსევდომარქსისტებმა ცდა არ დააკლეს, ყველაფრის ამ მწარმოებელი ძალისადმი დაქვემდებარებისა და საზოგადოების, როგორც რევოლუციური ძალის მიერ ჩამოყალიბებულ მთელად ინტერპრეტაციის ნაცვლად, ისტორიის გააზრება სხვა საფუძვლებზე დაემყარებინათ. მათ კლასობრივი ბრძოლის თეორია წმინდა ეკონომიკურ მეცნიერებად გადააქციეს და მის გააზრებას კლასიკური ფიზიკის კანონების დარად ცდილობენ; შედეგად კი ასკვნიან, რომ ზედნაშენი და მასთან დაკავშირებული კლასობრივი ქცევა იდეოლოგიური ფენომენია. იმონშებენ რა „კაპიტალს“, ისინი ამბობენ, რომ პროლეტარიატი და ბურჟუაზია „ეკონომიკურ კატეგორიათა პერსონიფიკაციებს“ წარმოადგენენ, სადაც პროლეტარიატი მუშახელს გამოხატავს, ბურჟუაზია კი - კაპიტალს. მათ შორის ბრძოლა მხოლოდ ანარეკლია ობიექტური კონფლიქტისა, რომლის ბუნებაც მოცემული პერიოდის მწარმოებელი ძალების განვითარების ფუნქციას და წარმოების არსებულ ურთიერთობებს უკავშირდება. რადგანაც აღნიშულ კონფლიქტს ინვესს მწარმოებელ ძალთა განვითარება, ისტორიაც მასზე დაიყვანება და იგი გაუცნობიერებლად ტრანსფორმირდება ბუნებრივი ევოლუციის ერთ-ერთ ეპიზოდად. ამავე დროულად, კლასისა და ადამიანების როლი ქრება. ამ თეორიას მთელი ინტერესი პროლეტარიატის განვითარებიდან არ გადააქვს, თუმცაღა განიხილავს მათ ისეთი ობიექტური მახა-

სიათებლებით, როგორებიცაა გაფართოება, სიმჭიდროვე და კონცენტრაციის ხარისხი. საუკეთესო შემთხვევაში, აღნიშნულ მახასიათებლებს ფართომასშტაბიან პროლეტარულ მოქმედებათა გააზრებისას მოიხმობენ ხოლმე. აღნიშნული თეორიული ხედვა გაიაზრებს რა პროლეტარიატს გაუცნობიერებელ მასად, აკვირდება მის ბუნებრივ ევოლუციას. ჩაგვრის წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლა, რევოლუციური ქმედებები და იდეოლოგიური ფენომენი, რაც მას თან ახლავს, არ წარმოადგენს კლასის რეალურ ისტორიას. ისინი ეკონომიკური ფუნქციის უბრალო გამოვლინებებია.

მარქსმა არამხოლოდ შორს დაიჭირა თავი ამ თეორიისაგან, არამედ თავის ადრეულ ფილოსოფიურ ნაწერებში მისი ექსპლიციტური კრიტიკა შემოგვთავაზა. მარქსის თანახმად, სოციალური განვითარების შესწავლის მცდელობა კონკრეტული ადამიანების და მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების - იქნება ეს კონფლიქტი თუ თანამშრომლობა - შემეცნების გარეშე არის კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი გაუცხოების გამოხატულება. რადგანაც ისინი გაუცხოებულნი არიან საკუთარი შრომისაგან, რადგანაც სოციალური სიტუაცია მათ საკუთარი სურვილის მიუხედავად მოახვიეს თავს, ადამიანები ცდილობენ ადამიანური აქტივობა ფიზიკის მოდელით გაიაზრონ და საზოგადოება თავისთავად მოცემულობად წარმოაჩინონ.

ამ ტენდენციის გასაცამტვერებლად მიმართული მარქსისეული კრიტიკა გაუცხოების გამოაშკარავების გზით აღმოფხვრაზე უკეთესს ვერაფერს იზამდა. ამის საწინააღმდეგოდ, აღნიშნული ტენდენცია განვითარდა მარქსის ნაშრომების სხვა ასპექტებიდან ე.წ. ეკონომიკური მატერიალიზმის ფორმით, რომელმაც სპეციფიკური როლი ითამაშა მშრომელთა მოძრაობის მისტიფიკაციაში. პროლეტარიატში სოციალური დაყოფის გაორკეცება ინტელიგენციასთან ასოცირებულ მშრომელთა ელიტად და მასებად ემსახურებოდა მჩაგვრელ იდეოლოგიას, რომლის ბიუროკრატიული ხასიათიც სტალინიზმმა სრულად გამოავლინა. გადააქცია რა პროლეტარიატი კანონების მიერ მართულ მასად და მისი აგენტურობა ეკონომიკურ ფუნქციად, ეს ტენდენცია ამართლებს მშრომელთა როლის დაყვანას უბრალო შემსრულებლებამდე იმ ორგანიზაციებში, რომლებიც მშრომელებისვე ჩაგვრის ინსტრუმენტებად იქცნენ.

პროლეტარიატი წარმოადგენს ნამდვილ პასუხს ამ ეკონომიკურ ფსევდო-მატერიალიზმზე. თავად პროლეტარიატის პრაქტიკული არსებობა სცემს მას ამ პასუხს. ისტორიის მცოდნემ კარგად იცის, რომ პროლეტარიატი განსაზღვრულ, გარეგან ეკონომიკურ ფაქტორებზე (ჩაგვრის ხარისხი, ცხოვრების დონე, თავმოყრის ფორმა) უბრალოდ რეაქტიული კი არ იყო, არამედ იგი თავად მოქმედებდა. პროლეტარიატი რევოლუციური სტილით მოქმედებას მისი დაგროვებული გამოცდილება განსაზღვრავდა და არა

- ობიექტური სიტუაციის მიერ განსაზღვრული სქემა. აბსურდული იქნებოდა მშრომელთა მოძრაობის ისტორია საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურაზე ხაზგასმის გარეშე გავგვაზრებინა, თუმცა დაიყვანო მშრომელები უბრალოდ სტრუქტურამდე, ნიშნავს სათვალავში არ ჩააგდო კონკრეტული კლასობრივი ქცევის $\frac{3}{4}$. ვინ ეცდება მშრომელთა მენტალიტეტის, მათი ბრძოლის მეთოდებისა და ორგანიზაციის ფორმების საუკუნის ტრანსფორმაციები წმინდა ეკონომიკურ პროცესებზე დაიყვანოს?

მარქსის კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია იმ პოზიციის განმტკიცება, რომ მშრომელი კლასი მხოლოდ ეკონომიკური კატეგორია კი არაა, არამედ - „უპირატესი მწარმოებელი ძალა“. ამის ჩვენება საჭიროა რევოლუციური თეორიის კრიტიკოსებისა და მისტიკოსების წინააღმდეგ. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თემას მარქსი მხოლოდ გაკვრით ეხება და რომ პროლეტარიატის მისეულ კონცეფციაში იგი ბუნდოვნადაა წარმოდგენილი. იგი დასჯერდებოდა ხოლმე აბსტრაქტულ მტკიცებას კლასის ჩამოყალიბებაში ცნობიერების ცვლილებების როლზე და ზოგჯერ არ ხსნიდა ხოლმე მას. ამასთანავე, მარქსი ზოგჯერ ისეთ შავ-ბნელ ფერებში ხატავდა მშრომელთა კლასს, გასაკვირიც კი იყო, როგორ უნდა გაეცნობიერებინათ მათ საკუთარი მდგომარეობა და საკუთარი როლი კაცობრიობის მართვაში. მარქსი ამბობდა, რომ კაპიტალიზმმა მშრომელი ერთგვარ მანქანად გადააქცია, გაძარცვა იგი „ყოველგვარი ადამიანური ფიზიკური და მორალუ-

რი მახასიათებლებისაგან“ და შრომას გამოაცალა ინდივიდუალური ურთიერთქმედების სახე. ამ ყველაფრის შედეგი მარქსისთვის „ჭუმანურობის დაკარგვაა“. თუმცა, მარქსის თანახმად, რადგანაც მშრომელი „ქვეადამიანად“ გადაიქცა, რადგანაც იგი სრულად გაუცხოვდა და დაგროვდა სოციალური სიდუხჭირე, პროლეტარიატის აჯანყებამ საკუთარი ბედის წინააღმდეგ შეიძლება მთელი კაცობრიობის ემანსიპაციამდე მიგვიყვანოს (ეს მოითხოვს „კლასს, რომლისთვისაც ყველანაირი ადამიანურობა დაიკარგა და რომელმაც ხელახლა მხოლოდ მთელი კაცობრიობის დაპყრობით შეიძლება აღმოაჩინოს თავისი თავი“ ან „დღევანდელ პროლეტარიატს, მონყვეტილს ყველანაირი პირადი აქტივობისგან, შეუძლია ეს აქტივობა განახორციელოს და აღარ ცნოს კოლექტიურ ძალთა ყოვლისმომცველობაზე მოქმედი შეზღუდვები). ამასთან, ნათელია, რომ პროლეტარული რევოლუცია განმათავისუფლებელი აფეთქება არაა, რომელსაც მთელი საზოგადოების მყისიერი ტრანსფორმაცია მოჰყვება (მარქსი სარკაზმს არ იშურებდა ამ ანარქისტული გულუბრყვილობისადმი). პროლეტარული რევოლუცია მაშინ ხდება, როდესაც ჩაგრული კლასი მთელი საზოგადოების მართვას გადაიბარებს. მაგრამ როგორ უნდა მართოს წარმატებით პროლეტარიატმა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება, რომლის მართვის სადავეებიც რევოლუციის წყალობით მის ხელში აღმოჩნდა, თუკი რევოლუციის წინა დღეს პროლეტარიატი

რადიკალურად გარიყული იყო სოციალური ცხოვრებიდან? ერთი პასუხი შეიძლება ის იყოს, რომ [პროლეტარული] კლასი რევოლუციის შედეგად რადიკალურ მეთამორფოზას განიცდის. მიუხედავად რევოლუციურ პერიოდში ისტორიული პროცესების აჩქარებისა, რაც არსებულ ადამიანთშორის ურთიერთობებს გადასინჯავს და კლასობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, სოციოლოგიური თვალსაზრისით, აბსურდული იქნება იმის მტკიცება, რომ ეს კლასი ამ რევოლუციამ შექმნა.

მარქსისეული თვალსაზრისით, პროლეტარიატის ტოტალური გაუცხოების მახასიათებლები იმ იდეას ეხმიანება, რომლის თანახმადაც ბურჟუაზიის გადაგდება აუცილებელი და საკმარისი პირობაა სოციალიზმის გასამარჯვებლად. ამ შემთხვევაში, მარქსი ყურადღებას ამახვილებს ძველი წესრიგის დანგრევაზე, რომელსაც იგი უპირისპირებს კომუნისტურ საზოგადოებას, ისე როგორც პოზიტიური ენინააღმდეგება ნეგატიურს. მარქსის ნააზრევი კონკრეტულ ისტორიულ ეპოქას უკავშირდება. მისი შემდგომი ათწლეულების გააზრება მოითხოვს სხვაგვარად ვიფიქროთ ძველი წესრიგიდან პოსტ-რევოლუციურ საზოგადოებაში გადასვლის საკითხზე. პროლეტარიატის მიერ საზოგადოების მართვის უნარი რევოლუციის პრობლემად იქცა. როგორ განვაფიქროთ ეს უნარი პროლეტარიატში კაპიტალისტური საზოგადოების არსებობის პერიოდში, ჩვენგან დაფიქრებას მოითხოვს.

მარქსთან მრავალად გვხვდება მითითებები, რომლებითაც პროლეტარიატის კიდევ ერთ კონცეფციაზე მსჯელობა შეიძლება. მარქსი წერს, რომ კომუნიზმი მისი წინმსწრები საზოგადოების გადასავლელად აღმოცენებული მოძრაობაა. გარკვეული თვალსაზრისით, ეს მიუთითებს უწყვეტობაზე, რომელიც კაპიტალიზმის არსებულ საფეხურზე მოქმედ სოციალურ ძალებს კაცობრიობის მომავალს უკავშირებს. უფრო ნათლად რომ ითქვას, მარქსის აზრით, პროლეტარიატის ორიგინალურობა გულისხმობს „ყველა კლასის დაშლას“, რაც ნიშნავს, რომ პროლეტარიატი არაა დაკავშირებული რომელიმე კონკრეტულ ინტერესთან; არ გააჩნია რა აუცილებელი ბმა რომელიმე ტერიტორიასთან და ერთან, იგი შეითვისებს მანამდე არსებული სხვადასხვა სოციალური კლასის ასპექტებს და უნიკალურად მოუყრის თავს მათ. მეტიც, მარქსი სწორად აღნიშნავს, პროლეტარული შრომისათვის დამახასიათებელი უარყოფითი, გამაუცხოებელი ხასიათი მუშებს უნივერსალურ სიტუაციაში ამყოფებს, რადგანაც ტექნოლოგიურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა შრომითი დავალებების თავსებადობა და წარმოების ლამის უსაზღვრო რაციონალიზაცია. იგი გვიჩვენებს ინდუსტრიაში პროლეტარიატის შემოქმედებითი ფუნქციას, რასაც მარქსი „ადამიანური ძალების ღია წიგნს“ უწოდებს. ამ გაგებით, პროლეტარიატი არაადამიანური (subhuman) კი არ არის, არამედ იგი სოციალური ცხოვრების მთლიანობის მწარმოებელია. პროლეტარიატი ქმნის საგნებს, რომელთა წყალობითაცაა შესაძლებე-

ლი ადამიანის ცხოვრების გაგრძელება - არ არსებობს ადამიანი, რომლის მდგომარეობაც დავალებული არ იყოს ინდუსტრიული წარმოებისაგან. თუკი პროლეტარიატი უნივერსალური მწარმოებელია, მაშინ იგი ერთგვარად სოციალური და კულტურული პროგრესის საცავიცაა.

სხვა ტექსტებში მარქსი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის განვითარებას თითქმის ერთნაირი ტერმინებით აღწერს, თითქოს კლასები თანაარსებობენ არამხოლოდ წარმოების საქმეში მათი ადგილის გამო, არამედ მათი ევოლუციის გზის და მათ მიერ ადამიანთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების გამო. იგი წერს: „განსხვავებული ინდივიდები ერთ კლასს მაშინ ქმნიან, როცა ისინი ბრძოლას იწყებენ სხვა კლასის წინააღმდეგ. დანარჩენ დროს ისინი ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ამასთან, ინდივიდებთან მიმართებით კლასი ხდება ავტონომიური და იგი ქმნის არსებობის წინასწარ განსაზღვრულ პირობებს მათთვის.“ თუმცა, აღწერს რა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ევოლუციას, მარქსი რადიკალურად განსხვავებს მათ. ბურჟუაზია ქმნის კლასს, რადგანაც მის შემადგენელ ადამიანებს საერთო ეკონომიკური ფუნქცია აქვთ. გაზიარებული ინტერესები და პერსპექტივები მათი არსებობის საერთო პირობებს ქმნის. ბურჟუაზია მყარი სტრუქტურის ჰომოგენურ ჯგუფს წარმოადგენს, იმისდა მიუხედავად, რა პოლიტიკას ატარებს მისი ცალკეული წევრი. სწორედ გაზიარებული ინტერესებით აიხსნება ის სიმარტივე, რომლითაც ამ კლასში

ვითარდება პოლიტიკის გამტარებელი სპეციალური ჯგუფი. ბურჟუაზიული პოლიტიკა არის ამ გაზიარებულ წინასწარგანწყობათა გამოხატულება. ბურჟუაზიის აღნიშნული მახასიათებელი ცხადად ჩანს მისი ისტორიული განვითარების პროცესშიც: „რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ არსებულ მდგომარეობას და ამ მდგომარეობიდან გამომდინარე შრომის დანაწილებას, იზოლირებული ბურჟუაზიის არსებობის პირობები საერთო გახდა მისი ყველა წევრისათვის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბურჟუაზია გააერთიანა ფეოდალიზმის პირობებში საერთო ეკონომიკურმა მდგომარეობამ და მიანიჭა მას კლასობრივი ასპექტი, რაც მდგომარეობათა შორის მსგავსების გამო თავიდანვე დაჰყვა მის წევრებს. ამას გულისხმობდა მარქსი, როდესაც ამბობდა, რომ გაქცეული ყმები უკვე ნახევრად ბურჟუები იყვნენ. თუმცა ყმებსა და ბურჟუაზიას შორის განგრძობითობა არ არსებობდა. მეტიც, ამ უკანასკნელმა ყმების ცხოვრების კვლავაც არსებული ფორმების ლეგალიზაცია მოახდინა. ბურჟუაზიამ, როგორც ფეოდალურ საზოგადოებაში შეღწეულმა ჯგუფმა, ყურადღება შეაჩერა წარმოების წესის გაფართოებაზე. როდესაც წარმოების წესი არსებული პირობებით გამოწვეულ შეზღუდვებს შეეჩეხა, წინააღმდეგობრიობა აღარ არსებობდა - არსებული პირობები მცირედ თუ აფერხებდა მის განვითარებას. მარქსი თავად არ ამბობდა, თუმცა მისი ტექსტები იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ ბურჟუაზიამ თავიდანვე მჩაგვრელ კლასად დაიწყო არსებობა. რასაკვირვე-

ლია, თავიდან იგი ნაკლებ პრივილეგირებული იყო, თუმცა იგი თავის თავში აერთიანებდა იმ მახასიათებლებს, რომლებიც შემდეგ ისტორიულად განვითარდა.

პროლეტარიატის ჩამოყალიბება სავსებით სხვაგვარად წარიმართა. დაიყვანება რა მხოლოდ ეკონომიკურ ფუნქციამდე, პროლეტარიატი დეტერმინირებულ სოციალურ კატეგორიას წარმოადგენს. თუმცა ამ კატეგორიას ჯერ კიდევ არ აქვს კლასობრივი მიმართულება. მისი მიმართულება [sens de classe] ორიგინალური ქცევით გამოირჩევა: იგი ებრძვის ყველა ფორმის კლასს საზოგადოებაში, რომელსაც იგი ეწინააღმდეგება, როგორც დაპირისპირებული ფენა. ეს არ ნიშნავს, რომ კლასის როლი წარმოებაში უნდა უგულებელვყოთ. პირიქით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მშრომელთა საზოგადოებრივი როლი, რომელსაც ისინი თამაშობენ ან მომავალში ითამაშებენ საზოგადოების წარმმართველ ძალად მოსვლისას, ეფუძნება მშრომელთა, როგორც მწარმოებელთა როლს. აქ მნიშვნელოვანია დავინახოთ, რომ მათი როლი მათ მოქმედების საშუალებას კი არ აძლევს, არამედ მხოლოდ მართვის მზარდ, ძლიერ უნარ-ჩვევებს სთავაზობს. ბურჟუაზია გამუდმებით აწყობდა თავისი შრომის შედეგის წინააღმდეგობას - ეს მას ობიექტად აქცევს. პროლეტარიატი კი ისე შრომობს, რომ შრომის შედეგი მისი საზრუნავი არ არის. მას ჩამოერთმევა ხოლმე თავისივე ნაწარმოები საგნები და ამ საგანთა წარმოებისათვის საჭირო ოპერაციები. ტექნიკური უნარ-ჩვევები უმჯობესდება,

თუმცა ამ პროგრესს ფასი მხოლოდ მომავალში დაედება. აწმყოში კი, იგი მჩაგვრელი საზოგადოების ნეგატიურ ხატში თუ ჯდება. (ამერიკელი პროლეტარიატის ტექნიკურ შესაძლებლობებს ვერც კი შევადარებთ 1848 წლის ფრანგი პროლეტარიატისას, თუმცა ორივენი ერთნაირად განიცდიან ეკონომიკური ძალაუფლების დეფიციტს). მართალია, მშრომელებს, ისევე როგორც ბურჟუაზიას, გამომდინარე ერთნაირი შრომითი მდგომარეობიდან, საერთო ინტერესები ამოძრავებთ - მაგალითად, მათ აინტერესებთ სრული დასაქმება და მაღალი ხელფასები, - მაგრამ მათ აქვთ უფრო ფუნდამენტური ინტერესი, რომ ისინი მუშები აღარ იყვნენ. მშრომელები ესწრაფვიან მაღალ ხელფასებს, ისევე როგორც ბურჟუაზია გაზრდილ მოგებას; ორივეს გამოაქვს ბაზარზე საქონელი - ბურჟუაზიას - კაპიტალი, მშრომელებს - შრომითი ძალა. ბურჟუაზიას აყალიბებს ქცევა, რომ იგი საკუთარი კლასის შემოქმედია - იგი ქმნის წარმოების სისტემას, რომელიც სოციალური სტრუქტურის წყაროა. თავის მხრივ, პროლეტარიატი, რომელიც რეაქტიულია მასზე თავსმოხვეულ მდგომარეობაზე, „მნიფდება“ მისი მჩაგვრელი ძალების წყალობით. მჩაგვრელი სისტემისადმი რადიკალური წინააღმდეგობის ათვლის წერტილი მართალია მუშები არიან, თუმცა ამავე დროს, მუშები წარმოადგენენ განუყრელ ნაწილს კაპიტალის დიალექტიკისა. ბურჟუაზიასთან წინააღმდეგობისას პროლეტარიატი ავტონომიურ კლასად თავს მხოლოდ მაშინ განიმტკიცებს, როდესაც იგი ბურჟუაზიის

ძალაუფლებას - წარმოების წესსა და უფრო ზუსტად, ექსპლოატაციას - დაუპირისპირდება. მისი რევოლუციური დამოკიდებულება ქმნის მის კლასობრივ განწყობას. პროლეტარული კლასის მიმართულება ეკონომიკურ საშუალებათა დაგროვებით კი არ ვითარდება, არამედ მათი მუდმივი უარყოფით, რამაც ახალი სოციალური წესრიგი უნდა შექმნას. აქედან გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატი, განსხვავებით ბურჟუაზიისაგან, ინდივიდუალურად ვერ დაამსხვრევს ჯაჭვებს, რადგანაც ბედს რომ ეწიოს, იგი იქ ვერ დარჩება, სადაც უკვე არის - ამას იგი მხოლოდ პროლეტარული მდგომარეობის გაუქმებით მიაღწევს. მარქსმა შენიშნა, რომ ბურჟუა საკუთარ კლასს ეკუთვნის, როგორც „წევრი“ თუ „საშუალო სტატისტიკური“ ინდივიდი, რასაც მათი ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს. ეს მაშინ, როდესაც მშრომელები ქმნიან „რევოლუციურ ერთობას, სადაც ისინი ჭეშმარიტ ინდივიდებს წარმოადგენენ, რომლებიც თავად განსაზღვრავენ საკუთარ მდგომარეობას და წარმოებასთან უშუალო ურთიერთობებს.

თუკი მართალია მტკიცება, რომ შეუძლებელია კლასთა უბრალოდ ეკონომიკურ ფუნქციამდე დაყვანა და თუკი ბურჟუაზიის წევრთა შორის კონკრეტული სოციალური ურთიერთობების აღწერაა საჭირო ამ კლასის გასაგებად, მაშინ იგივე მტკიცება კიდევ უფრო მართალი იქნება პროლეტარიატის შემთხვევაში, რომლის სუბიექტური განვითარების გასაგებად სპეციფიკური მიდგომის შემუშავებაა საჭირო. სიფრთხილვე უნდა გამოვიჩინოთ

ტერმინ „სუბიექტურის“ მნიშვნელობის ახსნისას, თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვა ყველაზე უკეთ გამოხატავს პროლეტარიატის მთავარ მახასიათებელს. პროლეტარიატი სუბიექტურია იმდენად, რამდენადაც მისი ქცევა არაა უბრალო შედეგი მისი საარსებო პირობებისა. [პროლეტარიატის] არსებობისათვის საჭირო პირობები ტრანსფორმაციისათვის განუწყვეტელ ბრძოლას, დისტანციის შეგრძნებასა და იდეოლოგიური შინაარსის განვითარებას მოითხოვს, რაც მუშებს ეხმარება კლასის დასაფუძნებლად საჭირო გამოცდილების დაგროვებაში.

მარქსის სიტყვების პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, საჭიროა თავიდან ავირიდოთ ინდივიდთან პროლეტარიატის ურთიერთობის აბსტრაქციად წარმოჩენა. საჭიროა ვიკვლიოთ, კონკრეტულ ინდივიდთა სიტუაციებიდან როგორ ყალიბდება მათი სოციალური სტრუქტურა. ეს იმიტომ, რომ მარქსის თანახმად, მიმდინარე ისტორიულ საფეხურზე, ნამდვილი სოციალური ძალა, ჯგუფი, რომელიც კოლექტიურ ცხოვრებას ქმნის a fortiori სწორედ პროლეტარიატია.

მარქსისტულ თეორიას არ განუვითარებია მარქსისტული მინიშნებები მუშათა კლასის შემადგენელი სოციალური ურთიერთობების კონკრეტულ ანალიზზე ორიენტაციის შესახებ. ფუნდამენტური შეკითხვები ჯერ კიდევ არ წამოჭრილა - როგორ უყურებენ ინდუსტრიულ სამსახურში ჩაბმულნი თავიანთ სამუშაოს? როგორ უნდა ჩამოაყალიბონ ურთიერთკავშირები? როგორ უყურებენ და

ქმნიან ისინი ურთიერთობებს დანარჩენ საზოგადოებასთან? როგორ ქმნიან ისინი გაზიარებულ გამოცდილებებს, რომლებიც მათ ისტორიულ ძალად აქცევს? უმეტეს შემთხვევებში, ეს კითხვები გვერდზე იქნა ჩაჩოჩებული აბსტრაქტულ კონცეფციებზე, მაგალითად, კაპიტალისტურ საზოგადოებაზე (ზოგადი გავებით) ლაპარაკის სანაცვლოდ. მისი შემადგენელი ძალებიც იმავე დონეზე განიხილება. ლენინმა თქვა, რომ პროლეტარიატის, როგორც ერთობის ისტორიული მნიშვნელობა ერთხელ და სამუდამოდ შედგა, თუმცა გარეგან მახასიათებელთა გამო, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. გადამეტებული ინტერესი დაიმსახურა „წარმოების ძალების“ შესწავლამ, რაც დაუკავშირდა კლასობრივ ბრძოლას, თითქოსდა უმთავრესი პრობლემა ყოფილიყო იმის გაზომვა, რა დოზით ზენოლას ახორციელებდა ხალხის ერთი მასა მეორე, დაპირისპირებულ მასაზე. ჩვენთვის ეს არ ნიშნავს, რომ უარყოფთ სოციალური ყოვლისმომცველობის სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ობიექტურ ანალიზს; არც ის გვგონია, რომ ერთადერთ ჭეშმარიტ ცოდნას პროლეტარიატი იძლევა. აღნიშნული „მუშური“ თეორია, რომელსაც, ვაღიაროთ, მარქსის შრომა არაფრამდე დაჰყავს, ორი მიზეზის გამო უნდა უარვეყოთ: პირველი, რომ ყველა ცოდნა ობიექტურობას იჩემებს (თუნდაც იგი ხვდებოდეს, რომ სოციალურად და ფსიქოლოგიურადაა განპირობებული); მეორეც, სწრაფვა პრაქტიკული და იდეოლოგიური

უნივერსალურობისაკენ პროლეტარიატის ბუნებაში დევს, რომელიც საკუთარ თავს მთელ საზოგადოებასთან აიგივებს. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება და ყველა წესის დაცვით ჩატარებული ობიექტური ანალიზი, როგორც ეს მარქსის კაპიტალის შემთხვევაშია, არასრულყოფილია, რადგანაც იგი მხოლოდ და მხოლოდ სოციალური ცხოვრების შედეგებით ან იმ მყარი ფორმებით ინტერესდება, რომლებშიც იგი თავადაა ინტეგრირებული (მაგალითად, ტექნიკური განვითარება და კაპიტალის კონცენტრაცია). მისი შეზღუდულობა იმითაც გამოიხატება, რომ იგი უგულებელყოფს მეტნაკლებად მატერიალურ პროცესებთან შესაბამის ადამიანურ გამოცდილებას (მაგალითად, ადამიანთა დამოკიდებულება საკუთარი სამუშაოს მიმართ ორთქლის ძრავის ხანაში, ელექტროენერჯის ეპოქაში, კონკურენტულ თუ სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული კაპიტალიზმის ხანაში). შეუძლებელია მატერიალური ფორმებისა და ადამიანური გამოცდილების ერთმანეთისაგან გამოცალკავება, რადგანაც მატერიალური ფორმები განისაზღვრება იმ პირობებით, რომლებშიც იგი იქნება, ეს პირობები კი სოციალური ევოლუციის შედეგია, რომლებიც თავის მხრივ ადამიანური შრომის ნაყოფია. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ობიექტური ანალიზი ექვემდებარება პრაქტიკულ ანალიზს, რადგანაც პირობები კი არაა რევოლუციური, არამედ - ადამიანები. მთავარი კითხვაა ისაა, როგორ შევიმეცნოთ, რა

გზებით იღებენ მართვის სადავეებს და გარდაქმიან იმ სიტუაციას ადამიანები, რომელშიაც ისინი იმყოფებიან.

ინტერესი კონკრეტული ანალიზისა სხვა მიმართულებიდანაც ჩნდება. ჩვენ ვისაუბრეთ მშრომელთა სოციალურ ცხოვრებაში მწარმოებელთა როლზე. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე შეიძლება ითქვას ზოგადად ნებისმიერ კლასზე, რომელსაც რამე როლი უთამაშია შრომის ისტორიაში. თუმცა პროლეტარიატის როლი წარმოებაში არ შეიძლება რომელიმე აქამდე არსებული კლასის როლს შეედაროს. მისი როლი სპეციფიკურად მოდერ-ნული ინდუსტრიული საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი და მხოლოდ ირიბად, თუმცა მაინც შეიძლება შევადაროთ მის წინმსწრებ სოციალურ ფორმებს. დღევანდელ სოციოლოგებში მეტად პოპულარული იდეა, რომ პრიმიტიულ საზოგადოებათა არქაული ცხოვრების ფორმები უფრო ახლოა შუა საუკუნეების ფეოდალურ ევროპასთან, ვიდრე ეს ეპოქაა კაპიტალიზმთან, რომელსაც მან გაუხსნა გზა, ადეკვატურ ყურდღებას ვერ ამახვილებს კლასებისა და მათი ურთიერთობების როლზე. ნებისმიერ საზოგადოებაში ორმაგი ურთიერთობები გვხვდება - პირველი ადამიანთა შორის ურთიერთობებია, მეორე კი - ადამიანებსა და მათ მატრანსფორმირებელ ობიექტებს შორის. ინდუსტრიულ საზოგადოებაში ამ მეორე ტიპის ურთიერთობამ სხვა მნიშვნელობა შეიძინა. დღესდღეობით არსებობს ინდუსტრიული წარმოების სფერო, რომელიც იმ კანონებით იმართება, რომლებიც

გარკვეულწილად ავტონომიურია. კლასებს შორის ურთიერთობები იქმნება წარმოებითი ურთიერთობების გავლით, თუმცა არამხოლოდ. ეს იმიტომ, რომ გავლენა ტექნიკური განვითარებისა და რაციონალიზმისა, რომელიც კაპიტალიზმის ჩასახვიდანვე მისი მახასიათებელია, ბევრად სცდება კლასობრივ ბრძოლას. ბანალური მაგალითი რომ ავიღოთ, ორთქლისა და ელექტროენერჯის ინდუსტრიული გამოყენება არაერთ შედეგამდე მივიდა - შრომის დანაწილება, კომპანიების დივერსიფიკაცია - რომელიც არ არის კავშირში ზოგად სოციალურ ურთიერთობასთან. რა თქმა უნდა, რაციონალიზაცია და ტექნიკური განვითარება თავისთავადი რეალობა არაა - იგულისხმება, რომ ისინი შესაძლოა აღიქვან, როგორც კაპიტალისტთა გატარებული ზომები, რადგანაც მათ მოგებას გამუდმებულ საფრთხეს უქმნის ჩაგვრისადმი პროლეტარიატის წინააღმდეგობა. ამ წარმოშობას შესაძლოა კაპიტალის მოტივაცია საკმარისად ხსნის, თუმცა იგი ვერ ხსნის ტექნოლოგიური განვითარების შინაარსს. ტექნოლოგიური განვითარების ლოგიკის ავტონომიურობის სიღრმისეული ახსნა გულისხმობს იმის გააზრებასაც, რომ იგი მხოლოდ კაპიტალისტური მენეჯმენტის შედეგი როდია - იგი ასევე მოიცავს პროლეტარულ შრომასაც. პროლეტარიატის მოქმედება სინამდვილეში მხოლოდ წინააღმდეგობით არ ამოიწურება (აიძულოს დამსაქმებელი მუდმივად გააუმჯობესოს წარმოების წესი). პროლეტარიატი გამუდმებით ცდილობს ფეხი აუწყოს

პროგრესს და მეტიც, აქტიურად შეიტანოს წვლილი მასში. ევოლუცია იმიტომაც ხდება, რომ მშრომელებს გააჩნიათ უნარი ევოლუციის ფორმასა და რიმტს ფეხი აუწყონ. მშრომელთა უნარი, დეტალურად უპასუხონ წარმოების პროცესში გაჩენილ პრობლემებს, აჩენს სისტემატური მოგვარების გზას, რასაც შემდეგ ტექნოლოგიურ ინოვაციას უწოდებენ ხოლმე. კლასობრივი პერსპექტივიდან, რაციონალიზაცია გულისხმობს წარმოების კონკრეტულ პროცესებში ჩართული ადამიანების მრავალრიცხოვანი, გაფანტული, ფრანგმენტული და ანონიმური ინოვაციების შეგროვებას, ინტერპრეტაციას და ინტეგრაციას.

ჩვენი თვალთახედვით, ეს უკანასკნელი შენიშვნა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, რადგანაც იგი წარმოაჩენს წარმოების პროცესში მიღებულ გამოცდილებასა და მშრომელთა აღქმებს. იგი არ გულისხმობს ამ კონკრეტული სოციალური ურთიერთობის და მასზე გავლენის მქონე გლობალური საზოგადოების ერთმანეთისაგან გამიჯვნას. იგი გულისხმობს მისი სპეციფიკურობის აღიარებას. თუ ვამბობთ, რომ სამრეწველო სტრუქტურა განსაზღვრავს სოციალურ სტრუქტურას, რაც საშუალებაა მისთვის საკუთარი მუდმივობა უზრუნველყოს, რათა ნებისმიერმა საზოგადოებამ, კლასობრივი მახასიათებლების მიუხედავად, ჩამოაყალიბოს საკუთარ თავი ზოგიერთი ამ მახასიათებლის შესაბამისად, მაშინ უნდა გავიგოთ სიტუაცია, რომელშიც იგი აგდება მასში აუცილებლობის გამო ინტეგრირებულთ - ასეთია პროლე-

ტარიატის სიტუაცია. მაშასადამე, რას გულისხმობს პროლეტარიატის კონკრეტული ანალიზი? შევეცადოთ, განვიხილოთ ისინი და განვსაზღვროთ მათი ინტერესები.

პირველი მიდგომა დაინტერესებულია აღწეროს კლასის ეკონომიკური სიტუაცია და ამ სიტუაციის გავლენა მის სტრუქტურაზე. ეს მიდგომა მოითხოვს სრულ სოციალურ და ეკონომიკურ ანალიზს. ვინრო თვალსაზრისით, უნდა ვისაუბროთ შრომით პირობებსა და მშრომელთა ცხოვრებაზე, უნდა ვისაუბროთ ცვლილებებზე, რომლებიც თან ახლდა ამ ჯგუფის ერთად თავმოყრას და განცალკავებას, ექსპლუატაციის ფორმების ცვლილებებზე (შრომის ინტენსივობა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, ხელფასები და შრომის ბაზარი და სხვ). ესაა ყველაზე ობიექტური მიდგომა, რომელიც ცხად, თუმცა არსებით კლასობრივ მახასიათებლებზე ფოკუსირდება. ამ გზით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია რომელიმე სოციალური ჯგუფის შესწავლა, იმისდა მიუხედავად, იზიარებს თუ არა იგი რევოლუციურ იდეალებს. ასეთ კვლევაში სპეციფიკურად პროლეტარული არც არაფერია, იმისდა მიუხედავადაც კი, თუ ამ მიდგომის გამომყენებელი ადამიანის მჩაგვრელი კლასის ინტერესების მოწინააღმდეგე პოლიტიკური მიდგომების შთაგონებით იკვლევს.

მეორე მიდგომა, პირველის საპირისპიროდ, შეგვიძლია სუბიექტურ მიდგომად მოვანათლოთ. იგი ყურადღებას ამახვილებს პროლეტარული ცნობიერების ყველა გამოხატულებაზე, იმაზე, რასაც

ზოგიერთმა ჩვეულებრივ „იდეოლოგია“ შეიძლება უწოდოს. მაგალითად, მარქსიზმი, ანარქიზმი, რეფორმიზმი, ბოლშევიზმი და სტალინიზმი პროლეტარული ცნობიერების განვითარების ეტაპებს წარმოადგენს. საჭიროა გავიგოთ მათი წარმატების მნიშვნელობა, გავიგოთ, მშრომელთა დიდი რიცხვი რატომ იბრძოდა ამ [იდეოლოგიების] გარშემო სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე და რატომაა, რომ მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია გავიგოთ, რისი თქმა სურს პროლეტარიატს ამ გამამუალებელი [იდეოლოგიებით]. არ ვამტკიცებთ, რომ ეს მიდგომა ორიგინალურია - ამის უამრავი მაგალითი გვაქვს მარქსისტულ ლიტერატურაში (მაგალითად, ანარქიზმისა და რეფორმიზმის ლენინისეული კრიტიკა) - თუმცა ასეთ ანალიზსაც გააჩნია თავისი პოტენციალი - თანამედროვე დაღმასვლა დაგვანახებს ამ დოქტრინათა ტრანსფორმაციების მნიშვნელობას, იმისდა მიუხედავად, რომ მათი განგრძობითობა გარეგნულად ძალზე ზედაპირულად გამოიყურება (მაგალითად, სტალინიზმი 1928-52 წლებში და მის წინა საუკუნის რეფორმიზმი). რა ინტერესსაც არ უნდა ემსახურობდეს აღნიშნული მიდგომა, იგი აბსტრაქტული და არასრულყოფილია. იგი არ გვთავაზობს პროლეტარულ ხედვას და ჯერდება გარედან, პუბლიკაციებით მოპოვებული ინფორმაციების წარმოჩენას. მას მხოლოდ ექსპლიციტური გამოცდილება აინტერესებს, რომელსაც იგი პროგრამების თუ სტატიების სახით აყალიბებს, ამ დროს კი არ

ეძიება, ეს იდეები როგორ გადმოსცემენ ფიქრებსა და მისწრაფებებს იმ მშრომელებისას, რომელთა სახელითაც ისინი ლაპარაკობენ. უშუალო გამოცდილებასა და ინტელექტუალურად განვითარებულ ხედვებს შორის ყოველთვის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რაც დამატებით განმარტებებს მოითხოვს ხოლმე, განსაკუთრებით პროლეტარიატის შემთხვევაში. აღნიშული დამატებითი განმარტება იმიტომაც საჭირო, რომ მშრომელ კლასზე არამხოლოდ დომინირებენ, არამედ ისინი გაუცხოებულნი და გარიყულნი არიან ეკონომიკური ძალაუფლებიდან და ამდენად, მათ არ გააჩნიათ არანაირი სტატუსი. ეს არ ნიშნავს, რომ ამ იდეოლოგიებს მუშათა კლასობრივ გამოცდილებასთან კავშირი არა აქვთ, თუმცა აზროვნების სისტემად ტრანსფორმაციით მათი პროლეტარულ გამოცდილებასთან კავშირი წყდება. შედეგად, არა-პროლეტარული ძალები ახორციელებენ თავიანთ გავლენას პროლეტარიატზე და საფუძველს უყრიან არაპირდაპირ ურთიერთობას. აქ კვლავაც ვაწყდებით პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის აქამდეც ნახსენებ განსხვავებას. ბურჟუაზიისათვის მოცემული პერიოდის ლიბერალიზმის თეორია საკუთარი ინტერესების იდეალიზაცია და/ან რაციონალიზაციაა - პოლიტიკური პარტიების პროგრამები გამოხატავს მათი ორგანიზაციების ზოგიერთი ფენის მდგომარეობას. პროლეტარიატისათვის კი, ბოლშევიზმი, რომელიც მართალია რაღაც დონეზე მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, გახლდათ ამ მდგომარეობის

ინტერპრეტაცია კლასის დაწინაურებული ფენის მიერ, იმ ფენის, რომელიც ინტელიგენციასთან იდგა ახლოს და გამოყოფილი იყო დანარჩენი პროლეტარიატისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშრომელთა რეალობას იგი ორი მიზნით ამრუდებს: იგი წარმოადგენს შრომის ნაყოფს იმ უმცირესობისა, რომელსაც მშრომელი კლასის რეალური ცხოვრებით არ ცხოვრობს ან რომელსაც ამ ცხოვრების გარედან ყურება უწევს; და მეორე, იგი არის უტოპიური, ამ სიტყვის არა დამამცირებელი, არამედ ისეთი გავებით, როცა იგი აყალიბებს სიტუაციას, რომლის ჩამოყალიბების ყველა წანამძღვარი აწმყოში არ მოგვეპოვება. რა თქმა უნდა, მშრომელთა მოძრაობის იდეოლოგიები დაკავშირებულნი არიან მშრომელებთან და მშრომელებიც ხედავენ მათ საკუთარ მოძრაობებად, მაგრამ ისინი მხოლოდ როგორც გამტარნი, ისე წარმოადგენენ მუშების პოზიციებს.

მესამე მიდგომა უფრო სპეციფიკურად ისტორიულია. იგი იკვლევს იმ უწყვეტობას, რომელიც მუშათა მოძრაობის ჩასახვიდან მოყოლებული ამ მოძრაობის უდიდესი მანიფესტაციების პერიოდებს აკავშირებს ერთმანეთთან, რითაც სურს აჩვენოს, რომ რევოლუცია და უფრო ზოგადად, მშრომელთა წინააღმდეგობა და ორგანიზება (ასოციაციების, კავშირების, პოლიტიკური პარტიების და გაფიცვების თუ პოლიტიკური კონფლიქტებისას კომიტეტების ჩამოყალიბება) პროგრესული გამოცდილების ნაწილია. ეს მიდგომა აჩვენებს, როგორ უკავშირდება აღნიშნული გამოცდილება

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტრანსფორმაციას.

ბოლოს განვიხილოთ მეოთხე მიდგომა, რომელიც ყველაზე კონკრეტულად მიგვაჩნია. პროლეტარიატის მდგომარეობის გარედან გაანალიზების ნაცვლად, ეს მიდგომა ცდილობს მშრომელთა ურთიერთობა საკუთარ შრომასთან და საზოგადოებასთან „შიგნიდან“ აღწეროს და აჩვენოს, როგორ ვლინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი, პროლეტარიატის შესაძლებლობა - იყოს გამომგონებელი და მათგან მიზნობრივი ძალა.

ნებისმიერ ექსპლიციტურ გააზრებამდე თუ საკუთარი როლის ინტერპრეტაციამდე, მუშებს გააჩნიათ ინდუსტრიულ შრომასთან, წარმოების ორგანიზაციასთან და ქარხნის შიგნით თუ გარეთ ცხოვრებასთან დაკავშირებული სპონტანური ქცევები. სწორედ ეს ქცევებია მათ პიროვნებაში რომ აირეკლავს თავს. ამ დროს, სუბიექტურსა და ობიექტურს შორის განსხვავებები ქრება - აღნიშნული ქცევა მოიცავს იდეოლოგიებს, რომლებიც მას რაციონალიზაციის გარკვეულ ხარისხით აყალიბებენ, ისევე როგორც იგი წინ უსწრებს ეკონომიკურ მდგომარეობას. ეს ქცევა სრულყოფას მათ უზრუნველყოფს მათ მიმდინარე ინტეგრაციას.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მიდგომა ჯერ კიდევ აღმოსაჩენია. ეჭვგარეშეა, რომ ინგლისელ მუშათა კლასზე მე-19 საუკუნეში დანერგილი „კაპიტალი“ ღირებულ მასალას იძლევა, თუმცა ინტერესდებოდა რა შრომის პირობებითა და მშრომელთა

ცხოვრებით, მარქსი ჩვენ მიერ აღწერილი პირველი მიდგომის ფარგლებში რჩებოდა.

მარქსის შემდეგ მხოლოდ „ლიტერატურული“ დოკუმენტები ცდილობს მუშის პიროვნების აღწერას. გასულ წლებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოჩნდა „მშრომელის“ სოციოლოგია, დარგი, რომელსაც პრეტენზია აქვს წარმოების სოციალური ურთიერთობათა კონკრეტული ანალიზი მოგვცეს და ჩამოაყალიბოს ამ ურთიერთობათა პრაქტიკული მიზნები. ასეთი სოციოლოგია შრომის მენეჯმენტი უფროა. „განმანათლებელმა“ კაპიტალისტებმა აღმოაჩინეს, რომ მატერიალურ რაციონალიზმსაც თავისი საზღვრები აქვს, რომ ობიექტად ქცეული ადამიანები სპეციფიკურ რეაქციებს ამჟავნებდნენ, რომელთა გათვალისწინებაც იყო საჭირო, თუკი მეტი შედეგის მიღება სურდათ - ეს ნიშნავდა, რომ მათ ჰქონდათ სურვილი კიდევ უფრო ეფექტური ექსპლუატაციისათვის დაეყვამდებარებინათ იგი [მუშა]. ამ ღრმად საპატივცემულო აღმოჩენამ გაააქტიურა ერთ თარგზე მოჭრილი ჰუმანიზმის ფორმები და ბევრი ფული მოუტანა ერთი მხრივ, ფსევდო-ფსიქოანალიტიკოსებს, რომელთაც მათ მოუხმეს დახმარებისათვის, მუშები გაეთავისუფლებინათ მწარმოებლურობის სანინააღმდეგოდ მიმართული გაბრაზებისაგან, მეორე მხრივ, ფსევდო-სოციოლოგებს, რომელნიც იკვლევდნენ მშრომელთა განწყობა-დამოკიდებულებებს თავიანთი შრომისადმი, რათა სოციალური ადაპტაციის უახლესი მიდგომები დაენერგათ.

ასეთი სოციოლოგია წარუმატებელია, რადგანაც იგი ვერ წვდება პროლეტარულ პიროვნებას და შეზღუდულია რა საკუთარი კლასობრივი პერსპექტივით, ვერ ხედავს ვერაფერს მწარმოებელი მუშის გარდა, რომელიც კაპიტალისტური ექსპლუატაციის სისტემაში საქმის უბრალო შემსრულებელია. ანალიზის დროს გამოყენებული კონცეპტები, ისეთები, როგორებიცაა სოციალური სამართლიანობა, მშრომელთათვის და მკვლევართათვის სხვადასხვა მნიშვნელობისაა. მშრომელთათვის სოციალური ადაპტაცია ნიშნავს ჩაგვრისადმი ნაკლებ ადაპტაციას, მკვლევრისათვის კი ეს ნიშნავდა მუშის შეგუებას ამ ჩაგვრასთან. ამდენად, ასეთი კვლევის ნაყოფი უსარგებლოა. აღნიშნული წარუმატებლობა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, როგორი წინასწარგანწყობებით აანალიზებენ ხოლმე მშრომელთა გამოცდილებას. უმნიშვნელოვანესია, მშრომელებზე ნაშრომები მშრომელებმა თავიანთი გამოცდილების ასახვად აღიქვან, მიიჩნიონ ისინი შესაძლებლობად, წინ აღუდგნენ ნაფიქრზე უფრო „ნაგრძნობ“, ფრაგმენტული ტიპის ცოდნას მათ შესახებ. ჩვენი ვარაუდით, მშრომელებს გააჩნიათ პროგრესული გამოცდილება, რომელიც ექსპლუატაციის მარწუხებიდან თავის დაღწევისკენ მიისწრაფვის. პრომა იმ ადამიანებისათვისაა მნიშვნელოვანი, რომლებიც მას თავად გამოცდიან. ეს ხალხი კი უპირველესად მუშები არიან.

ამ გაგებით, პროლეტარიატის რადიკალური ორიგინალურობა კვლავაც წინა პლანზე გამოდის. მხოლოდ კლასს შეუძლია შეიყნოს საკუთარი თავი. ვინც ამ კლასს იკვლევს, უნდა აღიარებდეს პროლეტარული გამოცდილების ღირებულებას, მისი სიტუაციის გადმოსახედიდან იხედებოდეს და მის სოციალურ და ისტორიულ ჰორიზონტებს ითავისებდეს. ამასთან იგი უნდა უარყოფდეს თავიდანვე მოცემულ ექსპლუატაციის ჩარჩოს. სხვა სოციალურ ჯგუფთან ასეთი შრომა სხვაგვარად წარიმართებოდა. ამერიკელმა მკვლევრებმა საკმაო წარმატებით შეისწავლეს მიღვესთის წვრილი ბურჟუაზია ისე, როგორც ისინი შეისწავლიდნენ პაპუას ხალხებს ალორის კუნძულზე. ანალიტიკოსს, ყველა სირთულესთან ერთად, მოეთხოვება გასცდეს ინსტიტუტების უბრალო ანალიზს და შეისწავლო მათი მნიშვნელობა ადამიანებისათვის (კვლავაც განხილვის საგანია დამკვირვებლის ურთიერთობა შესასწავლ [საკითხთან]). მას იმ შემთხვევაშიც შეუძლია შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა შესასწავლ ჯგუფზე, თუკი იგი მის ნორმებსა და ღირებულებებს არ იზიარებს. ეს იმიტომ, რომ წვრილ ბურჟუაზიას, პაპუას ხალხთა მსგავსად, ობიექტური სოციალური არსებობა გააჩნია და კარგია ეს თუ ცუდი, კვლავწარმოებს იმავე ფორმით, რომელიც მტკიცეა და დაკავშირებული აწმყო პირობებთან. როგორც აღვნიშნეთ, პროლეტარიატს, როგორც კაპიტალისტური წარმოების პროცესში შემსრულებლების კოლექტივს განსაზღვრავს მისი პირობები. მისი

სოციალური ცხოვრება ერთგვარად უკანა პლანზეა გადასული: იგი არსებულ პირობებს ეწყობა და ამავე დროს, ეწინააღმდეგება სისტემას, რომელიც ამ პირობებს კარნახობს მას (ეს სისტემა კაპიტალისტური ჩაგვრის სისტემაა). ეს მას ანიჭებს როლს - განსხვავებულს საზოგადოების მიერ მისთვის თავსმოხვეულისაგან.

კონკრეტული მიდგომა, რომელსაც ჩვენი აზრით, პროლეტარიატის ბუნების შესწავლის საჭიროება აყენებს, მოითხოვს მშრომელთა წერილობითი ნარატივების შეგროვებასა და ინტერპრეტაციას. ამ ნარატივებში მოვიაზრებთ მშრომელთა ინდივიდუალური ცხოვრების ანგარიშებს; უფრო უმჯობესი იქნებოდა თუ დაინტერესებული პირები, რომელთაც მათი, მუშების სოციალური ცხოვრების ინტერპრეტაცია ძალუძთ, შეისწავლიდნენ მათ გამოცდილებას თანამედროვე მრეწველობაში. ჩვენი აზრით, ნარატივები უნდა პასუხობდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს - შეკითხვებს, რომლებიც შეიქმნა უკვე არსებული დოკუმენტების წყალობით:

ჩვენ გვინტერესებს ა) მუშის დამოკიდებულება საკუთარ სამუშაოსთან - მისი ფუნქცია ქარხანაში, ტექნიკური ცოდნის დონე, წარმოების პროცესის ცოდნა. მაგალითად იცის თუ არა მან, საიდან მიეწოდება მას ის მასალა, რომელზედაც იგი მუშაობს? მისი პროფესიული გამოცდილება - მუშაობდა იგი სხვა ქარხანაში, წარმოების სხვა სფეროში? მისი ინტერესი წარმოებაში - რა

ინიციატივებით შეუძლია მას წარსდგეს სამსახურში? აინტერესებს თუ არა მას ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარება? გააჩნია მას სპონტანური შეგრძნება ტრანსფორმაციებისა, რომელნიც წარმოების სტრუქტურამ, შრომის რიტმმა, ქარხანაში ცხოვრების პირობებმა და მდგომარეობამ შეიძლება განიცადოს? გააჩნია თუ არა მას ზოგადად კრიტიკული დამოკიდებულება მენეჯმენტის მიერ რაციონალიზაციისაკენ გადადგმული მცდელობებისადმი? როგორ ხვდება იგი მოდერნიზაციის მცდელობებს?

ბ) ურთიერთობა იმავე დანსებულებათა სხვა მშრომელებთან და სხვა სოციალურ ფენებთან (განსხვავებები სხვა მშრომელებთან, მენეჯერებთან, ინჟინრებთან და აღმასრულებლებთან დამოკიდებულებაში) და შრომის დანაწილების გაგება. რას წარმოადგენს ფუნქციისა და ხელფასების იერარქიები? როგორ ეწყობა იგი საკუთარ როლს, იყოს უბრალო შემსრულებელი? როგორ გაიაზრებს იგი ქარხანაში არსებულ სოციალურ სტრუქტურას, როგორც რამე აუცილებელს? როგორი ტენდენციები გვხვდება მათთან, თანამშრომლობის, შეჭიბრის თუ იზოლაციის? უპირატესობას მართო მუშაობას ანიჭებს თუ ჯგუფურად შრომას? როგორია პირადი ურთიერთობები, მცირე ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესი და საფუძვლები, რომლებსაც ეს პროცესი ეყრდნობა? რამდენად მნიშვნელოვანია ეს მცირე ჯგუფები ამ ადამიანთათვის? თუკი სამსახურს გარეთ ყალიბდება ურთიერთობები, როგორ აღიქმება და ფასდება ისინი? რა მნიშვნელობას ანიჭებენ მუშები

ქარხნის სოციალურ ფიზიონომიას? რა იცის მან სხვა ქარხნებზე და როგორ აღარებს ამ ქარხნებს საკუთარს? იცის თუ არა მან ზუსტად, სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებელ ადამიანებს მისსავე ქარხანაში როგორ ანაზღაურებას უხდინან?

გ) ცხოვრება ქარხნის მიღმა და ცოდნა იმისა, რა ხდება ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქარხანაში განცდილი ცხოვრების გავლენა ქარხნის გარეთ ცხოვრებაზე - მაგალითად, რა ფსიქოლოგიურ და მატერიალურ გავლენას ახდენს ქარხანა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე? რა გარემოს, წრეს სტუმრობს იგი ხშირად? რამდენად აიძულებს ამ ქცევებს მას მისი სამსახური, ან უბანი, რომელშიც ის ცხოვრობს? როგორ ხასიათდება ოჯახში მისი ცხოვრება, ურთიერთობა ბავშვებთან, როგორ ანათლებს იგი მათ, რა აქტივობებს მიმართავს იგი სამსახურის გარეთ? როგორ ატარებს იგი დასვენების დროს? ახასიათებს თუ არა მას რამე კონკრეტული ყურადღების გამფანტველი ქცევები? რამდენად იყენებს იგი მასმედიას: წიგნებს, გაზეთებს, რადიოს, კინოს? როგორი დამოკიდებულება აქვს მათთან? როგორია მისი გემოვნება - არაუბრალოდ რომელ გაზეთს კითხულობს, არამედ, რას კითხულობს იგი უპირველესად ამ გაზეთში? რა აინტერესებს მას ყველაზე მეტად - პოლიტიკური და სოციალური მოვლენები, ტექნოლოგიური განვითარება, ბურჟუაზიული სკანდალები თუ სხვა?

დ) მისი კავშირი პროლეტარულ ისტორიასთან და ტრადიციებთან: ცოდნა და გათვითცნობიერება მშრომელთა მოძრაობის ისტორიისა; მონაწილეობა კონკრეტულ სოციალურ და პოლიტიკურ ბრძოლებში და მისი მესიერება ამ მოვლენებიდან; სხვა ქვეყნების მუშებზე მისი წარმოდგენები/ცოდნა; მისი დამოკიდებულება მომავლისადმი და სხვ.

რაც არ უნდა იყოს ამ კითხვათა მიზანი, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რა წონას ვანიჭებთ კონკრეტულ ნარატივებს. ვიცით, რომ შებლუდულნი ვართ ამ ნარატივების მოგროვებაში - როგორ უნდა განვაზოგადოთ ისინი, რის საფუძველზე? ნარატივს ასე განვმარტავთ - ესაა დისკურსი მუშისა, იქნება იგი 20 წლის თუ 50-ის, რომელიც მუშაობს მცირე საწარმოში თუ დიდ ქარხანაში, არის ჩამოყალიბებული მებრძოლი, რომელსაც აქვს პროფკავშირული და პოლიტიკური გამოცდილება, რომელსაც გააჩნია მკაფიო იდეები რომელიმე გადამზადებისა თუ გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად... როგორაა შესაძლებელი, ხრიკების გამოყენებლად, გადავლახოთ სიტუაციათა განსხვავებულობა და ამ ძალზე განსხვავებული ნარატივებიდან უნივერსალური მნიშვნელობის პროდუქტი მივიღოთ? ამ შემთხვევაში, კრიტიკა დიდწილად გამართლებულია, რადგანაც ცხადია, რომ შესაძლო მისაღები შედეგები უცილობლად შებლუდული იქნება. ამასთან, მსგავსადვე უსამართლო იქნებოდა ამ ტექსტების ღირებულების სრული უგულებელყოფა. რაც არ უნდა განსხვავ-

დებოდეს ისინი, ყველა ეს ტექსტი ერთ ჩარჩოშია მოქცეული და ამ ჩარჩოს პროლეტარული სიტუაცია ჰქვია. ნარატივები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ბევრად უფრო მეტი, ვიდრე რომელიმე კონკრეტული მუშის ცხოვრებაა. ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებულ სიტუაციებშიც კი, ორ მუშას ფორმებით მეტნაკლებად განსხვავებული, მაგრამ არსობრივად ერთნაირი შრომისა და ექსპლუატაციის გამოცდილება აქვს. ესაა გამოცდილება, რომელსაც მათი ცხოვრების $\frac{3}{4}$ მიაქვს. მათ შესაძლოა განსხვავებული ხელფასები ჰქონდეთ, განსხვავებული ცხოვრებისეული სიტუაციები გააჩნდეთ და არც მათი ოჯახები შეიძლება შეედაროს ერთმანეთს, თუმცა მიუხედავად ამისა, იდენტურია მათი როლები, როგორც მწარმოებლისა და მემანქანისა. ასევეა მათი შრომისაგან გაუცხოებაც. ყველა მუშამ იცის, რომ სწორედ ამიტომაც გააჩნიათ მათ ერთმანეთისადმი ფამილარულობისა და თანამოაზრეობის განცდა, მაშინაც კი თუ ისინი ერთმანეთს არ იცნობენ. ეს განსაკუთრებით ცხადი მაშინ ხდება, როცა ბურჟუა მუშათა კლასის უბანში აღმოჩნდება. მუშებს იმდენად დიდი საერთო აქვთ ერთმანეთთან, რაც მათ ადვილად გამოარჩევს სხვა სოციალური ჯგუფებისაგან, რომ სულაც არაა აზრსმოკლებული მათში განმასხვავებელი მახასიათებლების ძებნაც. ნარატივების მიდგომა კრიტიკას მაშინ დაექვემდებარებოდა, ჩვენ მუშათა მოსაზრებების შეგროვება და მათი ერთმანეთთან კორელაცია რომ გვაინტერესებდეს, რადგანაც ეს მოსაზრებები უდავოდ მრავალფეროვანია - მაგრამ ჩვენ

მხოლოდ მშრომელთა განწყობა-დამოკიდებულებების შესწავლა გვსურს. აღნიშნული განწყობა-დამოკიდებულებები ზოგჯერ მოსაზრებების სახითაა წარმოდგენილი არასწორად, თუმცა ყველა შემთხვევაში ისინი უფრო სიღრმისეულია. საგრძნობი პრობლემა იქნებოდა, თუკი ვეცდებოდით მცირე ოდენობის ტექსტებით, ვთქვათ, სსრკ-სადმი ან სახელფასო იერარქიებისადმი მუშების ხელვა გამოგვეკვლია. თუმცა საქმე ბევრად უფრო მარტივადაა, თუ მაგალითად, ბიუროკრატიისადმი სპონტანურად, წარმოების პროცესში გაჩენილი მუშური განწყობები გვანტერესებს. დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, ჩვენ მიერ დასმულ პრობლემებს შემეცნების სხვაგვარი გზით ვერ გადავჭრით. მაშინაც კი, თუკი დიდი სტატისტიკური კვლევისათვის საკმარისი მასალა გვექნებოდა (ეს იქნებოდა მონაცემები, რომლებსაც მრავალრიცხოვან ამხანაგთა ჯგუფი მოაგროვებდა - დაუსვამდა რა ათასობით შეკითხვას სხვა მუშებს სხვადასხვა ქარხანაში - რადგანაც უკვე გამოვრიცხეთ, მუშათა კლასის გარდა სხვა ვინმეს მიერ ჩატარება), შედეგები აზრსმოკლებული იქნება, რადგანაც ერთმანეთთან მხოლოდ ნუმეროლოგიურ კორელაციაში მყოფი ანონიურ რესპონდენტთა პასუხები, უინტერესო იქნება. მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდთა პასუხების ურთიერთმიმართება შეიძლება გამოგვადგეს; ამ პასუხთა შერწყმა თუ დიფერენციაცია საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მნიშვნელობები და შევექმნათ ცხოვრებისა და

თქმის ინტერპრეტირებადი სისტემები. ყველა ამ მიზნის გამო ინდივიდთა ნარატივები შეუფასებელია.

ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიდგომას პროლეტარიატის რეალური მდგომარეობის განსასაზღვრად გამოვიყენებთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის სიტუაციის ბურჟუაზიული საზოგადოებისეული და მუშათა სახელით მოლაპარაკე პოლიტიკური პარტიებისეული რეპრეზენტაციები უარყვავით. რაც არ უნდა გახსენებაზე ორიენტირებული, სიმბოლური ან სპონტანურიც იყოს ნარატივი, იგი კვლავაც განპირობებულია მისი ავტორის სიტუაციით. აქ არ ვგულისხმობთ ავტორისეული ინტერპრეტაციის გამო ნარატივის დეფორმაციას, არამედ დეფორმაციას, რომელსაც ნარატივი აუცილებლად თავს ეხვევა ნარატორს. ამბის მოყოლა მასში მონაწილეობას არ ნიშნავს. ამბის მოყოლა მოითხოვს მისგან დისტანცირებას, რაც ერთგვარად მის მნიშვნელობას ცვლის. მაგალითად, დანერო გაფიცვაზე არაა იგივე, რაც ამ გაფიცვაში მონაწილეობა იქნებოდა, რადგანაც როგორც მონაწილე, არ იცი, როგორი იქნება შენი ამ ქმედების შედეგი; რეფლექსიისათვის საჭირო დისტანცია იძლევა თვალსაზრისის ჩამოყალიბების საშუალებას, რომელიც მოცემულ მომენტში მნიშვნელობად არაა წარმოჩენილი. აქ საქმე გვაქვს არაუბრალოდ აზრის გამიჯვნასთან: იცვლება დამოკიდებულება, იცვლება სიტუაციებზე რეაქციის გზებიც. ამასთან, ნარატივი ინდივიდს არაბუნებრივად იზოლირებულ პოზიციაში აქცევს. მშრომელები

ჩვეულებრივ სოლიდარულნი არიან მათ მსგავს სიტუაციაში მყოფ ადამიანთან მიმართ. საზოგადოებრივ ბრძოლებზე საუბრის გარეშეც კი, მუშები აწარმოებენ გამუდმებულ, ფარულ საერთო ბრძოლას, რომელიც ყოველდღიური წინააღმდეგობაა წარმოების პროცესში წარმოშობილი ექსპლოატაციის წინააღმდეგ. მშრომელის შრომისადმი ან სხვა სოციალური ფენისადმი დამოკიდებულების მთავარი მახასიათებელი თავად მასში არაა საძებნი, ისე როგორც ეს ბურჟუას ან ბიუროკრატის შემთხვევაში იქნებოდა, რომელნიც საკუთარ ქმედებებს ინდივიდუალური ინტერესით განსაზღვრავენ. მშრომელი კოლექტიურ პასუხებს იზიარებს. მუშის ნარატივის მიდგომის კრიტიკამ ცხადად უნდა აჩვენოს ინდივიდუალური პასუხების ის ასპექტები, რომელნიც კოლექტიური ქცევის გამოხატულებანი არიან, თუმცა, საბოლოოდ აღნიშნული ასპექტები ერთმანეთს სრულად არ ფარავენ, რის შედეგადაც ამ ნარატივთა არასრულ ცოდნას მივიღებთ. რომ შევაჯამოთ - და გავიხსენოთ პირველი მიდგომა - საჭიროა ჩანდეს ისტორიული კონტექსტი, რომელშიც ნარატივები ქვეყნდება. არ არსებობს მუდმივი პროლეტარიატი, არსებობს გარკვეული ტიპის მუშა, რომელიც განსაზღვრულ ისტორიულ პოზიციას იჭერს, ამ სიტუაციას კი ახასიათებს მუშათა ძალების უკან დახევა მთელ მსოფლიოში. პროლეტარიატის განწყობა (თუნდაც ჩვენთვის საინტერესო ის განწყობა, რომელიც გარკვეულწილად კონკრეტულ ისტორიულ მომენტებს სცდება) ერთის მხრივ, მის მოკლე

დროში ემანსიპაციის მომლოდინე კლასად ყოფნის პერიოდში, მეორე მხრივ კი ისტორიული სიჩუმის, დახშული ჰორიზონტების ეპოქაში, სხვადასხვაგვარია.

საკმარისია აღენიშნოთ, რომ ჩვენ მიერ კონკრეტულად დახასიათებული მიდგომა მრავალი გაგებით აბსტრაქტულია, რადგანაც პროლეტარიატის სამი ასპექტი (პრაქტიკული, კოლექტიური და ისტორიული) ირიბად ყალიბდება და ამდენად, დეფორმირებულია. კონკრეტული პროლეტარიატი ცოდნის ობიექტი არაა: იგი მუშაობს, იბრძვის და ცვლის საკუთარ თავს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ისტორიაში მისი მონაწილეობით, პრაქტიკის დონეზე შევიმეცნოთ იგი და და არამც და არამც, თეორიული დონის წიაღსვლებით. თუმცა, ბოლო შენიშვნა აბსტრაქტულია, რადგანაც იცი მხედველობაში არ იღებს ისტორიაში ცოდნის, როგორც ბრძოლასთან შეკავშირების გზის როლს. ფაქტია, რომ მუშები სვამენ კითხვებს თავიანთ მდგომარეობაზე, ამ მდგომარეობის ტრანსფორმაციის შესაძლებლობაზე. აბსტრაქტული თეორიული პერსპექტივების მომრავლებისა თუ მათი შერწყმის მომენტებშიც კი, შესაძლებელია ითქვას, რომ მუშის მიერ საკუთარი გამოცდილების ცხადყოფა ამ გამოცდილებას გააუმჯობესებს. ჩვენს მიერ თანმიმდევრულად გაკრიტიკებული ოთხი მიდგომა სინამდვილეში ურთიერთშემავსებელია. ეს არ ნიშნავს, რომ ამ მიდგომებით მიღებული შედეგები წარმატებით შეიძლება შევკრიბოთ,

თუმცა სხვადასხვა გზით მათი შერწყმა გვაძლევს ერთსა და იმავე რეალობას, რომელსაც ჩვენ, უკეთესი ტერმინის არ არსებობის პირობებში, პროლეტარული გამოცდილება ვუწოდეთ. მაგალითად, ვფიქრობთ, რომ მშრომელთა მოძრაობის ევოლუციის კრიტიკა, მისი ბრძოლისა და ორგანიზების ფორმების კრიტიკა, იდეოლოგიათა კრიტიკა და მშრომელთა დამოკიდებულებების კრიტიკა აუცილებლად შეესაბამება ერთმანეთს. მშრომელთა მოძრაობის ისტორიაში სისტემატურად და რაციონალურად წარმოჩენილი პოზიციები და ერთმანეთის თანამდევნი ორგანიზაციები და მოძრაობები თანაარსებობენ, შეგვიძლია განვიხილოთ, ინტერპრეტაციებად და მშრომელთა მოძრაობის წარმატებებად. მსგავსი დამოკიდებულება გვხვდება ბრძოლის ფორმებთან, რომლებიც ასოცირდება მუშათა ისტორიის სხვადასხვა ფაზასთან (1848, 1870 თუ 1917), მაგრამ ისინი გამოხატავენ მშრომელთა შორის ურთიერთობის ტიპებს, რომლებიც კვლავაც არსებობს და მულავდნება, მაგალითად, არასანქცირებული არაორგანიზებული გაფიცვის სახით. ეს არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატი თავის თავში აერთიანებს საკუთარი ისტორიის ყველა მომენტს ან თავისი მდგომარეობის ყველა იდეოლოგიურ გამოხატულებას. როგორც ვამბობდით, მატერიალურმა და თეორიულმა ევოლუციამ პროლეტარიატს გზა გაუკაფა ჩამოყალიბებულიყო იმად, რაც ის დღეს არის. იმ მიმართულებებმა, რომლებითაც წარსული დღევანდელ ქცევად გარდაისახა, ჩვენს

წინ გადაშალა შესაძლებლობებისა და რეფლექსიების მთელი წყება. მშრომელთა დამოკიდებულებების ანალიზისას აუცილებელია არ დაგვაინწყდეს, რომ ამ გზით მიღებული ცოდნა შეზღუდულია და ცოდნის სხვა ფორმებთან შედარებით, იგი უფრო სიღრმისეულად და ყოვლისმომცველად უნდა დავუკავშიროთ თავად მუშებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი ვალიდურობა ეჭვქვეშ არ დადგება, იგი მაინც დაკარგავს აზრს.

მას შემდეგ, რაც ჩამოვთვლით უკეთ დასასმელ კითხვებს, ან კითხვებს, რომლებსაც კონკრეტულმა ანალიზმა უნდა უპასუხოს, ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორ შეუძლია კონკრეტულ ანალიზს წვლილი შეიტანოს რევოლუციურ თეორიაში და რეორგანიზება გაუწიოს მას. მთავარ პრობლემებად შემდეგი საკითხები მიგვაჩნია: 1) როგორ ითავისებს მუშა სოციალურ ცხოვრებას? 2) როგორ ხდის მუშა საკუთარ თავს კლასის ნაწილად? საერთო მდგომარეობის გამზიარებელ ადამიანებს, როგორი ურთიერთობები აერთიანებთ? საზოგადოებაში სტაბილურ თემს თუ ქმნის ეს ურთიერთობები? 3) როგორია სხვა სოციალური ფენების აღქმები, როგორია მისი კომუნიკაცია გლობალურ სამყაროსთან, როგორია მისი მგრძნობელობა იმ ინსტიტუტებისა და მოვლენებისადმი, რომელნიც მათ ცხოვრებაზე პირდაპირ გავლენას არ ახდენს? 4) როგორ ემორჩილება იგი

მატერიალურად და იდეოლოგიურად დომინანტური კლასის ზენოლას? როგორი ტენდენციით ხასიათდება მისი საკუთარი კლასიდან გაქცევა? 5) რა იცის მან მუშათა მოძრაობაზე? როგორაა იგი ინტეგრირებული საკუთარი კლასის წარსულთან და რამდენად შეუძლია მას კლასობრივი ტრადიციებით მოქმედება?

როგორ უნდა დავსვათ ყველა ეს პრობლემა და რა მიზნით? ავიღოთ, მაგალითად, სოციალური ცხოვრების გათავისების საკითხი. თავდაპირველი მიდგომით დეტალურად აღვწერდით მუშის უნარ-ჩვევებსა და ტექნიკურ შესაძლებლობებს: ეჭვგარეშეა, ასეთი ინფორმაცია დაგვჭირდება მუშის მიერ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების უნარის გასაგებად. თუმცა კვლევა იმითაც უნდა დაინტერესდეს, როგორ ვლინდება მუშის „ტექნიკური ცნობის-მოყვარეობა“ მისეულ დასვენება-გართობის ღონისძიებებში (ვლინდება ეს ბრიკოლაჟის ფორმით თუ მაგალითად, იგი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პუბლიკაციების კითხვაში გამოიხატება?). კვლევამ უნდა ცხადყოს, რამდენად იცნობს მუშა ტექნოლოგიასა და შრომის ინდუსტრიულ ორგანიზაციას, რამდენად იცის მან ზოგადად ადმინისტრაციასთან/მართვასთან დაკავშირებული საკითხები. არ უნდა დაგვარგოთ რა ინტერესი მშრომელის კულტურული ღონის შეფასებისადმი (ვინრო ბურჟუაზიული გაგება კულტურაში მოიაზრებს ლიტერატურას, სამეცნიერო და სახელოვნებო ცოდნას), უნდა აღვწეროთ მისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო ველიც, იქნება ეს გაზეთები, რადიო

თუ კინემატოგრაფია. ამასთან, ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, პროლეტარიატი სხვადასხვა მოვლენასა და შედეგებს რამდენად სპეციფიკურად ხედავს, რა აინტერესებს მას (მას უბრალოდ ესმის ყოველდღე სხვადასხვა ინფორმაცია თუ ამ ინფორმაციას იგი თავად კითხულობს გაზეთში? ამას პოლიტიკური შეგნებით აკეთებს თუ გასართობად?). უმნიშვნელოვანესია იმის დადგენა, მუშებს თუ გააჩნიათ კლასობრივი მენტალიტეტი (mentalité) და როგორ განსხვავდება იგი ბურჟუაზიის მენტალიტეტისაგან?

ამ ეტაპზე, უბრალოდ ვაყალიბებთ მიმართულებებს - მათი განსაზღვრა წინ უსწრებს თავად ნარატივებს. ნარატივები, ტექსტები, არამხოლოდ ინტერპრეტაციის საშუალებას მოგვცემს, არამედ დაგვეხმარება კვლევისადმი მიდგომას, კითხვების თანმიმდევრობასა და მოცულობას გადავხედოთ. ასეთი კვლევის რევოლუციური ინტერესი ცხადია. იგი საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, დანებდა თუ არა პროლეტარიატი ბურჟუაზიის კულტურულ ბატონობას, გავარკვიოთ, გაუცხოებამ პროლეტარიატი განძარცვა თუ არა საზოგადოების შესახებ ორიგინალური ხედვისაგან. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ორიდან ერთ-ერთ დასკვნამდე მიგვიყვანდა: რევოლუცია განწირულია დამარცხებისათვის და სახელმწიფოს გადაგდება მხოლოდ და მხოლოდ დააბრუნებს კულტურულ ნარევს წინა საზოგადოებისას, ან შეგვაცნობინებს მიმართულებას, რომელშიც კულტურა განვითარ-

დება უკვე არსებული მიმოფანტული და გაუთვითცნობიერებელი ელემენტების პირობებში.

კვლავაც ხაზი უნდა გავუსვათ, რომ მიუხედავად ყველა ბრალდებისა, მუშათა გამოკითხვა, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების შეცნობა, არ მოხდება კლასის გარედან, ეს არ იქნება ამ კლასის ბუნების შეცნობა იმათ მიერ, ვინც მას ჯერ კიდევ არ იცნობს. იგი წარმოდგენს პასუხს შეკითხვათა მთელ სერიაზე, რომელთაც ცხადად სვამენ მუშათა კლასის ავანგარდის წარმომადგენლები, იმპლიციტურად კი მას მშრომელთა კლასი ზოგადად ისეთ სიტუაციაში ყოფნისას სვამს, როდესაც რევოლუციის მარცხთა მთელმა სერიამ და ბიუროკრატიის დომინირებამ მუშათა კლასს საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებისადმი და ემანსიპაციისადმი ნდობა დაუკარგა. დომინირებს რა მათზე კვლავაც ბურჟუაზია, მშრომელებს არ სჯერათ, რომ თავადაც ფლობენ რამე ცოდნას. ისინი გარიყულნი არიან ბურჟუაზიული კულტურიდან.

სინამდვილეში კი მუშათა შემოქმედებითობა სულაც არაა საჭირო ბურჟუაზიული ნორმათა თარგზე მოიჭრას. მუშათა კულტურა არ არსებობს მათი სოციალური ცხოვრებიდან განცალკევებულად. მუშათა კულტურა იდეათა წარმოების სახეს არ ღებულობს. პროლეტარული კულტურა არსებობს, როგორც გარკვეული ძალა საგანთა ორგანიზაციის საკითხებში; იგი არსებობს, როგორც

პროგრესისადმი ადაპტაცია, როგორც ადამიანურ ურთიერთობათა გაგება, როგორც სწრაფვა საზოგადოებრივი თემობისაკენ. როგორც ინდივიდებისათვის, მუშებისათვის ეს საკითხი დამაბნეველია, რადგანაც მათთვის შეუძლებელია ჩაგვრაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში საკუთარ კულტურას ობიექტურობა მიანიჭონ; მათ ეჭვი შეაქვთ საკუთარ კულტურაში, მაშინ როდესაც ბურჟუაზიული კულტურის სჯერათ.

განხივილეთ მეორე მაგალითიც: როგორ აღვწეროთ პროლეტარის ინტეგრაცია კლასში? ამ შემთხვევაში, საკითხავი ისაა, ამა თუ იმ ქარხანის მუშა როგორ აღიქვამს თავის თანამშრომლებს, როგორ აღიქვამს სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებს; საკითხავია, როგორია მუშისა და მისი კოლეგების ურთიერთობათა ბუნება და მნიშვნელობა. საინტერესოა ასევე, რამდენად აქვს მშრომელს განსხვავებული დამოკიდებულება სხვადასხვა პროფესიურ საფეხურზე მყოფ მუშათა მიმართ; რამდენად გრძელდება ამხანაგთა ურთიერთობა ქარხნის მიღმა; რამდენად ესწრაფვის იგი სამუშაოს, რომელიც თანამშრომლობას მოითხოვს; ყოველთვის ქარხანაში მუშაობდა თუ არა; როდის დაინყო მან ქარხანაში მუშაობა? რამდენად განუხილავს შესაძლებლობა სხვა რამე ეკეთებინა? კარგი იქნებოდა იმის გაგებაც, რამდენად ხშირად ხვდება იგი სხვა, მუშათა კლასისაგან განსხვავებულ სოციალურ გარემოში? რას ფიქრობს იგი მათზე? მაგალითად, თუ აქვს მას

ურთიერთობა გლახთა სოციალურ წრესთან და რას ფიქრობს მათზე? აღნიშნული ინფორმაცია აუცილებელია სხვა თემების პასუხებთან ერთად გავიაზროთ. მაგალითად, ასეთ ინფორმაციად გამოგვადგებოდა ისიც, თუ როგორ იცნობს ინდივიდი მშრომელთა მოძრაობის ისტორიას, სოციალურ ბრძოლასთან დაკავშირებული მოგონებების სიცხადე, რამდენად აინტერესებს მას ეს ბრძოლა მასზე ამა თუ იმ შეხედულებების ქონის მიუხედავად (მაგალითად, ხშირად შეგვიძლია ერთდროულად წავანყდეთ რევოლუციური პესიმიზმით შთაგონებულ ბრძოლის უარყოფასა და 1936 და 1944 წლების რევოლუციური ენთუზიაზმის ნარატივებს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დააკვირდით ყველაფერ იმას მუშის ცხოვრებაში, რაც მუშათა კლასისადმი მის მიკუთვნებულობის განცდასა და ეფექტებზე მიგვანიშნებდა, მიგვანიშნებდა მის მცდელობაზე თავი დააღწიოს მუშის მდგომარეობას (ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამოკიდებულებები ბავშვებთან, რა განათლებას იღებენ ისინი და რა გეგმები აქვთ სამომავლოდ მათ).

რევოლუციური თვალთახედვიდან ასეთი ტიპის ინფორმაცია საინტერესოა იმის საჩვენებლად, როგორ და რამდენად უკავშირდება მუშა კლასს, როგორია მისი მიკუთვნებულობა ამ კლასისადმი, როგორ განსხვავდება იგი წვრილი ბურჟუაზიის ან ბურჟუაზიის წევრთა საკუთარი კლასისადმი კუთვნილებისაგან. უკავშირებს თუ

არა მუშა ბედს თავის სოციალურ ყოფას და - შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად - საკუთარ კლასს? დასტურდება თუ არა კლასიკური, ხშირად აბსტრაქტული ფრაზები „კლასობრივი ცნობიერება“ ან „კლასობრივი დამოკიდებულება“? დასტურდება თუ არა მარქსის იდეა, რომ ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, პროლეტარი არამხოლოდ უბრალოდ წევრია საუთარი კლასისა, არამედ ინდივიდიც, რომელსაც გაცნობიერებული აქვს, რომ მის გადასალახავად კოლექტიური მოქმედება სჭირდება?

ბიბლიოგრაფია

Marx, La misère de la philosophie, Costes ed, 135.

Cf. The Communist Manifesto.

Idéologie allemande, 223-230.

G. Vivier, “La vie en usine” in Socialisme ou Barbarie no. 11.

ტექსტის ორიგინალი, ინგლისურენოვანი ვერსია გამოქვეყნდა ჟურნალში “სოციალიზმი ან ბარბარიზმი” (#11, 1952).

ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორია

თავისუფლება გხოლოდ გორივი სიტყვაა

ავტორი: დევიდ ჰარვი

თარგმნა მარიაშ პაიჭაძემ.

იმისთვის რომ ნებისმიერი აზრი დომინანტურად იქცეს, მისი კონცეპტუალური აპარატი იმგვარად უნდა იყოს აღჭურვილი, რომ მიემართებოდეს ჩვენს ინსტიტუციებსა და ინსტინქტებს, ჩვენს ღირებულებებსა და სურვილებს, ისევე ჩვენს საარსებო სოციალურ გარემოში არსებულ, თანდაყოლილ შესაძლებლობებს. წარმატების შემთხვევაში, ეს კონცეპტუალური აპარატი იმდენად ინკორპორირდება საღ აზრად, რომ იგი მიიღება ყოველგვარი დაეჭვებისა თუ კითხვის ნიშნების გარეშე. ნეოლიბერალური აზროვნების დამაარსებელი ფიგურები ფუნდამენტურ, „ცივილიზაციის ცენტრალურ ღირებულებებად“ ადამიანის ღირსებასა და ინდივიდუალურ თავისუფლებაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ იდეალებს მიიჩნევდნენ. მათი არჩევანი ნამდვილად გონივრულად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ეს მართლაც მიმზიდველი და მაცდური იდეალებია. ამ ფასეულობებს კი, საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ ფაშიზმმა, დიქტატურამ და კომუნისტმა, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სახის ჩარევამ, რომელმაც კოლექტიური განსჯით ინდივიდის არჩევანის თავისუფლება ჩაანაცვლა.

ადამიანის ღირსება და ინდივიდუალური თავისუფლება თავისთავად მძლავრი და მომხიბვლელი ცნებებია. სწორედ ამგვარმა იდეალებმა მისცეს ბიძგი ცივი ომის დასრულებამდე დისიდენტურ მოძრაობებს აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც სტუდენტთა პროტესტს ტიანანმენის მოედანზე.¹ 1968 წელს მსოფლიოს მასშტაბით სტუდენტური მოძრაობების მძლავრი გამოცოცხლება, დაწყებული პარიზითა და ჩიკაგოთი, დამთავრებული ბანკოკითა და მეხიკოთი, ნაწილობრივ სწორედ სიტყვისა და პირადი არჩევანის თავისუფლების ძიებით იყო განპირობებული. ზოგადად, ეს იდეალები მისაღებია ყველასთვის, ვინც აფასებს შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების შესახებ. თავისუფლების იდეამ, რომელიც ესოდენ დიდი ხანია ბუდობს ამერიკის შეერთებული შტატების ტრადიციაში, განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი ბოლო წლების მანძილზე ითამაშა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი მაშინვე ინტერპრეტირდა არაერთი ადამიანის მიერ, როგორც თავისუფლებაზე თავდასხმა. ამ საზარელი დღის პირველსავე წლისთავზე პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ „ამერიკის გრძელვადიანი ინტერესია მზარდი თავისუფლების პირობებში მშვიდობიანი სამყაროს შექმნა, რომელიც ასახავს მარადიულ ამერიკულ იდეალებს და აერთიანებს

¹ 1989 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პეკინში მიმდინარე სტუდენტთა პროტესტი, რომელიც ჩინეთის სახელმწიფოში ეკონომიკურ რეფორმებს, კორუფციასა და ნეპოტიზმს მოჰყვა. პროტესტის მთავარ მოთხოვნებს შორის იყო სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება, კორუფციასთან ბრძოლა, სიტყვის თავისუფლება და კომუნისტური პარტიის მიერ იმ უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, რომლებიც 1982 წლის კონსტიტუციაში ეწერა. პროტესტმა დაახლოებით ორი თვე გასტანა, ხოლო 4 ივნისს ხელისუფლებამ დემონსტრაცია არმიის დახმარებით დაარბია, რასაც უამრავი მომიტინგე შეეწირა (რაოდენობა უცნობია). (მთარგმნ. შენიშვნა)

ამერიკის მოკავშირეებს“. როგორც ბუშმა დასკვნით ნაწილში აღნიშნა, „კაცობრიობას ხელთ უპყრია შესაძლებლობა, დაგვანახოს თავისუფლების ტრიუმფი მის ყველა საუკუნოვან მტერზე და შეერთებული შტატები მიესალმება თავის პასუხისმგებლობას, მონინავე როლი შეასრულოს ამ მისიაში“. მსგავსი ენა მოგვიანებით განსხეულდა აშშ-ს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიულ დოკუმენტში, რომელიც ამ განცხადებიდან მალევე გამოქვეყნდა. ბუშით თქმით, „თავისუფლება არის ღმერთის საჩუქარი ყველა კაცისა და ქალი-სათვის ამ სამყაროში“ და ისიც დაამატა, რომ „როგორც მსოფლიოში უდიდესი ძალაუფლების მქონე ქვეყანას, ჩვენ [აშშ] გვაქვს ვალდებულება ხელი შევუწყოთ თავისუფლების გავრცელებას“².

ერაყის წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ომის სურვილის დადასტურების შემდეგ, პრეზიდენტმა ომის ადეკვატურ გამართლებად სწორედ ერაყისთვის ნაბოძები თავისუფლების იდეა მოიყვანა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნეოდა. თუმცა აქვე ისმის კითხვა, რა სახის „თავისუფლებაზე“ არის საუბარი ერაყის შემთხვევაში? როგორც კულტურის კრიტიკოსმა, მათიუ არნოლდმა დიდი ხნით ადრე მახვილგონივრულად განჭვრიტა, „თავისუფლება ძალიან კარგი ცხენია გასაჭენებლად, თუმცა რაიმე მიმართულებით“³. კითხვაც სწორედ იმაში მდგომარეობს თუ სად, რა დანიშნულების ადგილისაკენ მიაჭენებს ერაყელი ხალხი სამხედრო ჩარევის გზით საჩუქრად ბოძებულ თავისუფლების ცხენს.

² G. W. Bush, 'President Addresses the Nation in Prime Time Press Conference', 13 Apr. 2004; <http://www.whitehouse.gov/news/releases/2004/04/20040413-20.html>

³ მეთიუ არნოლდი ციტირებულია R. Williams, *Culture and Society, 1780-1850* (London: Chatto & Windus, 1958), 118.

ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან ამ კითხვას პასუხი 2004 წლის 19 სექტემბერს გაეცა, როდესაც კოალიციური ღრობითი მთავრობის უფროსმა, პოლ ბრემერმა ოთხი განკარგულება გამოაქვეყნა. განკარგულებების მიხედვით, ერაყში უნდა მომხდარიყო სახელმწიფო სანარმოთა სრული პრივატიზაცია; უცხოურ კომპანიებს ენიჭებოდათ ერაყში არსებულ ბიზნესებზე საკუთრების სრული უფლება; შესაძლებელი ხდებოდა უცხო ქვეყნიდან შემოსული მოგების სრული რეპატრიაცია; ერაყის ბანკები ღია ხდებოდა უცხოური კონტროლისთვის, ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფდა დახმარებას უცხოური კომპანიებისთვის; გაუქმებული უნდა ყოფილიყო თითქმის ყველა სავაჭრო ბარიერი⁴. ეს განკარგულებები ვრცელდებოდა ეკონომიკის ყველა სფეროზე, მათ შორის - საჯარო სერვისებზე, მედიაზე, წარმოებაზე, სერვისის, ტრანსპორტის, ფინანსთა თუ სამშენებლო სფეროებზე. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ნავთობი, რისი მიზეზიც მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ამასთანავე, ქვეყნის შემოსავალსა და ომის დაფინანსებაში განსაკუთრებული ადგილი იყო. ამასთანავე, მკაცრად რეგულირებული უნდა ყოფილიყო შრომის ბაზარიც. ქვეყნისთვის მნიშვნელოვან, საკვანძო სექტორებში აკრძალული იყო გაფიცვა, ხოლო პროფესიულ კაშირებში გაერთიანების უფლება - შეზღუდული. დაწესდა ასევე უაღრესად რეგრესული, „ბრტყელი გადასახადი“, ამბიციური საგადასახადო რეფორმის გეგმა, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე პროპაგანდას უწევდნენ კონსერვატორები აშშ-ში.

⁴ A. Juhasz, 'Ambitions of Empire: The Bush Administration Economic Plan for Iraq (and Beyond)', Left Turn Magazine, 12 (Feb./Mar. 2004), 27-32.

როგორც ზოგიერთი მიიჩნევდა, ეს ბრძანებები არღვევდა უენეისა და ჰააგის კონვენციებს, რომელთა მიხედვითაც, ოკუპანტი სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ოკუპირებული ქვეყნის აქტივები და არა გაყიდოს ისინი.⁵ ერაყელების ნაწილმა წინააღმდეგობა გაუწია „კაპიტალისტური ოცნების რეჟიმს“, როგორც მას ლონდონური ჟურნალი „ეკონომისტი“ მოიხსენიებდა. კოალიციური დროებითი მთავრობის ამერიკის მხრიდან დანიშნულმა წევრმა მკაცრად გააკრიტიკა „თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტალიზმის“ ამგვარი გამოვლინება და მას „ხარვეზიანი ლოგიკა“ უწოდა, „რომელიც ისტორიას უგულვებლყოფს“.⁶ იმის მიუხედავად რომ ოკუპანტი ქვეყნის პოზიციიდან ბრემერის განკარგულებები უკანონო იყო, „სუვერენული“ მთავრობისგან დასტურის გზით მათ შეეძლოთ კანონიერი ძალა მოეპოვებინათ. აშშ-ს მიერ დანიშნული დროებითი მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება 2004 წლის ივნისში მოიპოვა, გამოცხადებულ იქნა „სუვერენულად“, თუმცა მას მხოლოდ არსებული კანონების დადასტურების ლეგიტიმაცია ჰქონდა. მმართველობის გადაცემის წინ, ბრემერმა მაქსიმალურად დააზუსტა კანონები თავისუფალი ბაზრისა და ვაჭრობის შესახებ, ისეთ სფეროებშიც კი, როგორცაა საავტორო უფლებები და ინტელექტუალური საკუთრება და იმედი გამოთქვა, რომ ეს ინსტიტუციური შეთანხმებები

⁵ 27–32. 4. N. Klein, 'Of Course the White House Fears Free Elections in Iraq', Guardian, 24 Jan. 2004, 18

⁶ T. Crampton, 'Iraqi Official Urges Caution on Imposing Free Market', New York Times, 14 Oct. 2003, C5.

თავიანთი გზით განაგრძობდნენ არსებობას, რითაც დადასტურდებოდა, რომ მათი შეცვლა ძალიან რთულია.⁷

ნეოლიბერალური თეორიის თანახმად, ბრემერის მიერ შემოღებული ზომები აუცილებელი და საკმარისი იყო ქვეყნაში სიმდიდრის შესაქმნელად და შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. დაშვება, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური თავისუფლებები გარანტირებულია თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი ვაჭრობის გზით, ნეოლიბერალური დისკურსის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია და ეს აზრი დიდი ხანია დომინირებს აშშ-ს პოლიტიკურ პოზიციაში დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნების მიმართ.⁸ აშშ-ს მიზანი ერაყში ისეთი სახელმწიფო აპარატის შექმნა იყო, რომლის მთავარი ამოცანა ადგილობრივი თუ უცხოური კაპიტალის აკუმულაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ხელშეწყობა იქნებოდა. სწორედ ამ ტიპის სახელმწიფო აპარატს ვუნოდებ ნეოლიბერალურ სახელმწიფოს. თავისუფლებები, რომლებსაც ამ ტიპის სახელმწიფო ახალისებს, წარმოადგენს კერძო საკუთრების მფლობელების, მულტინაციონალური კორპორაციების და ფინანსური კაპიტალის ინტერესებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბრემერმა თავისი ქმედებით ერაყელ ხალხს მიუთითა, თავიანთი ცხენი ნეოლიბერალური სადგომისკენ გაეჭენებინათ.

⁷ Juhasz, 'Ambitions of Empire', 29.

⁸ G. W. Bush, 'Securing Freedom's Triumph', New York Times, 11 Sept. 2002, A33. The National Security Strategy of the United State of America can be found on the website: www.whitehouse.gov/nsc/nss.

ნეოლიბერალური სახელმწიფოს ფორმირების პირველი მცდელობა ჩილეში, პინოჩეტის გადატრიალების შემდეგ, 1963 წლის 11 სექტემბერს ჰქონდათ, ბრემერის მიერ ერაყში არსებული რეჟიმის გამოცხადებამდე თითქმის ოცდაათი წლით ადრე. სალვადორ ალიენდეს დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობის წინააღმდეგ გადატრიალებას ხელი შეუწყო ადგილობრივმა ბიზნეს ელიტამ, რომელიც ალიენდეს სოციალიზმისკენ სწრაფვაში საფრთხეს ხედავდა. მათ ზურგს უმაგრებდნენ აშშ-ს კორპორაციები, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და აშშ სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი. ამ გადატრიალებამ ძალადობრივად ჩაახშო მემარცხენეთა ყველა სოციალური მოძრაობა და პოლიტიკური ორგანიზაცია, მოაშთო ყველა სახის პოპულარული ორგანიზაციები, როგორებიც იყო, მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები ღარიბი დასახლებებისთვის. შრომის ბაზარი „გათავისუფლდა“ მარეგულირებელი თუ ინსტიტუციური შეზღუდვებისგან, ისევე როგორც პროფკავშირული ძალისაგან. მაგრამ როგორ უნდა აღორძინებულიყო გაჩერებული ეკონომიკა? იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკამ (ეროვნული წარმოების სუბსიდირებით ან სატარიფო დაცვით წახალისებით), რომელიც დომინირებდა ლათინური ამერიკის ეკონომიკური განვითარების მცდელობებში, კრახი განიცადა, კერძოდ ჩილეში, სადაც მას კარგად არც არასდროს უმუშავია. როცა მთელი მსოფლიო ეკონომიკურმა რეცესიამ მოიცვა, გაჩნდა ახალი მიდგომების საჭიროება.

ჩილეს ეკონომიკის განახლებისთვის, იმხანად ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორ მილტონ ფრიდმანის ნეოლიბერალური აზრებისადმი სიმპათიების გამო, „ჩიკაგოს ბიჭებად“ წოდებული ეკონო-

მისტოა ჯგუფი მოიხმეს. საგულისხმოა მათი შერჩევის ისტორია: ცივი ომის პროგრამის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატები 1950-იანი წლებიდან აფინანსებდა ჩილეელი ეკონომისტების გადამზადებას ჩიკაგოს უნივერსიტეტში, რითაც ერთგვარ წინააღმდეგობას უწევდა მემარცხენე ტრადიციებს ლათინურ ამერიკაში. ჩიკაგოში განათლების მიღების შემდეგ, ამ ეკონომისტებმა თავიანთი გავლენები სანდიეგოს კერძო კათოლიკურ უნივერსიტეტში გაამყარეს. 1970-იანი წლების დასაწყისში ბიზნეს ელიტებმა ალიენდეს მთავრობის წინააღმდეგ დააფუძნეს „ორშაბათის კლუბი“ და საქმიანი ურთიერთობა შეინარჩუნეს „ჩიკაგოს ბიჭებთან“, რაც სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტების საშუალებით მათი სამუშაოს დაფინანსებაში გამოიხატებოდა. 1975 წელს პინოჩეტის ჩამოსცილდა მისი მეტოქე ძალაუფლებისთვის, კენსიანელი გენერალი გუსტავო ლეიგი, რის შემდეგაც მან დაუყონებლივ მოიყვანა მთავრობაში „ჩიკაგოს ბიჭები“. მმართველობის სადავეების აღების შემდეგ, მათი პირველადი ამოცანა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ვალების შესახებ მოლაპარაკების დაწყება იყო. სსფ-სთან ერთად და მისი დახმარებით, მათ ქვეყნის ეკონომიკა სრულად მოარგეს თავიანთ თეორიებს. გაუქმდა ნაციონალიზაცია და მოხდა საჯარო საშუალებების პრივატიზაცია, ბუნებრივი რესურსები (მეთევზეობა, ხე-ტყე, ა.შ) ღია გახდა კერძო და დერეგულირებული ექსპლუატაციისთვის, რასაც ხშირ შემთხვევაში თან სდევდა ძალის გადამეტებასთან დაკავშირებული უკმაყოფილება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან; სოციალური უზრუნველყოფის სფერო სრულად დაექვემდებარა პრივატიზაციას, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობით, გამარტივდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოღინება. უცხოურ კომპანიებს მიეცათ უფლებრივი

გარანტია ჩილეში საკუთარი ოპერატორებისგან მიღებული მოგება თავიანთ სამშობლოში დაებრუნებინათ. იმპორტთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭა ექსპორტით გამოწვეულ ეკონომიკურ ზრდას. ერთადერთი სექტორი, რომელიც სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ დარჩა, იყო სპილენძის რესურსები (ერაყში ნავთობის მსგავსად). ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საბიუჯეტო სიცოცხლისუნარიანობისათვის, რადგან სპილენძიდან მიღებული შემოსავალი მხოლოდ ხაზინაში იყრიდა თავს. ჩილეს ეკონომიკის უეცარმა ზრდა, რომელიც მაღალ მაჩვენებლებში, კაპიტალის აკუმულაციასა და უცხოური ინვესტიციების უკუკვდების მაღალ კოეფიციენტებში აისახა, ხანმოკლე აღმოჩნდა. სიტუაცია 1982 წელს, ლათინური ამერიკის ქვეყნების სავალო კრიზისის დროს გაუარესდა. შედეგად, შემდგომ წლებში თავი იჩინა მეტად პრაგმატული და ნაკლებად იდეოლოგიზებული ნეოლიბერალური პოლიტიკის განმტკიცების პროცესმა. ამ ყველაფერმა, პრაგმატიზმის ჩათვლით, 1980-იან წლებში ხელი შეუწყო ნეოლიბერალიზმისკენ შემობრუნებას როგორც ტეტჩერის მმართველობის ქვეშ მყოფ ბრიტანეთში, ასევე რეიგანის - ამერიკაში. ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როდესაც პერიფერიაში ჩატარებული ბრუტალური ექსპერიმენტი ცენტრალური ქვეყნებისთვის პოლიტიკის შესამუშავებელ მოდელად იქცა (ასეთი იყო ბრემერის განკარგულებით ერაყში განხორციელებული „ბრტყელი გადასახადი“).⁹

ამერიკის შეერთებული შტატების ძალადობრივი გავლენების შემდეგ, სხვადასხვა მოცემულობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში

⁹ M. Fourcade-Gourinchas and S. Babb, 'The Rebirth of the Liberal Creed: Paths to Neoliberalism in Four Countries', *American Journal of Sociology*, 108 (2002), 542-9;

მომხდარმა სახელმწიფო აპარატის ორმა ესოდენ მსგავსმა რესტრუქტურიზაციამ, შეუძლებელია არ დაგვაფიქროს, რომ აშშ-ს იმპერიული ძალაუფლების გავრცელებას მეტწილად განაპირობებდა 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ნეოლიბერალური სახელმწიფო ფორმების აქტიური გავრცელება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი უდავოდ ბოლო 30 წლის განმავლობაში მოხდა, როგორც ჩილეს ნეოლიბერალურ ცვლილებებში ადგილობრივი კომპონენტი გვიჩვენებს, ეს არ შეესაბამება სრულ სურათს. აშშ არ ყოფილა ის, ვინც მარგარეტ ტეტჩერს ნეოლიბერალური გზისკენ მიუთითებდა, რომელსაც იგი 1979 წელს დაადგა. ასევე არაფერი ჰქონია ამერიკას საერთო ჩინეთის ნეოლიბერალიზაციასთან 1978 წელს. 1980-იანი წლების ინდოეთსა და ადრეულ 1990-იან წლებში შვედეთში განხორციელებული ნაწილობრივ ნეოლიბერალური ნაბიჯები ასევე არ შეიძლება მარტივად დაუკავშიროთ აშშ-ს იმპერიულ გავლენას. ნეოლიბერალიზმის არათანაბარი გეოგრაფიული განვითარება ცალსახად იქცა ძალიან კომპლექსურ საკითხად, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს არაერთ ქოტურ და დამაბნეველ განსაზღვრებას. მაშინ მთავარი კითხვა შემდეგნაირად დაისმის: რატომ წარმოიშვა ნეოლიბერალიზმის კენ შემობრუნების აუცილებლობა და რა ძალებმა აქციეს იგი გლობალური კაპიტალიზმის ფარგლებში ჰეგემონიურ ძალად?

რატომ მოხდა ნეოლიბერალური შემობრუნება?

საერთაშორისო ურთიერთობებისა და სახელმწიფოთა ფორმების რესტრუქტურიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მიზნად ისახავდა

იმ კატასტროფულ პირობებთან მიბრუნების თავიდან აცილებას, რომლებმაც 30-იანი წლების კრიზისის დროს საფრთხე შეუქმნეს კაპიტალისტურ წესრიგს. ასევე, ომის თავიდან ასაცილებლად, ამ პროცესს უნდა აღეკვეთა სახელმწიფოთაშორისი გეოპოლიტიკური კონკურენციის ხელახალი გაჩენაც. შიდასახელმწიფოებრივი მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საჭირო იყო გარკვეული კლასობრივი კომპრომისის არსებობა კაპიტალსა და შრომით ძალას შორის. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ამროვნება ალბათ საუკეთესოდ არის გადმოცემული ორი გამოჩენილი სოციოლოგის, რობერტ დალისა და ჩარლზ ლინდბლომის გავლენიან ტექსტში, რომელიც 1953 წელს გამოქვეყნდა. ისინი ამტკიცებდნენ რომ კაპიტალიზმისა და კომუნისმის, თავისი პრიმიტიული, ნედლი ფორმით ვერ შედგა და ერთადერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობას, ინკლუზიურობას, კეთილდღეობასა და სტაბილურობას შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოს, ბაზრისა და დემოკრატიული ინსტიტუტების სწორი შეთავსება.¹⁰ ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებების საფუძველზე, საერთაშორისო დონეზე ახალი მსოფლიო წესრიგი შეიქმნა, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილიზაციის მიზნით გამოჩნდნენ ისეთი ინსტიტუტები, როგორებიც არიან გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ბაზელში. წახალისდა საქონლით თავისუფალი ვაჭრობა ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემის საფუძველზე, რომელიც ემყარებოდა აშშ დოლარის ფიქსირებულ ფასად კონვერტაციას ოქროდ. ფიქსირებული გაცვლი-

¹⁰ R. Dahl and C. Lindblom, *Politics, Economy and Welfare: Planning and Politico-Economic Systems Resolved into Basic Social Processes* (New York: Harper, 1953).

თი კურსი შეუთავსებელი იყო კაპიტალის თავისუფალ დინებასთან, რომელიც კონტროლს დაქვემდებარებული უნდა ყოფილიყო, თუმცა იმისთვის რომ დოლარს საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის ფუნქცია შეეძინა, აშშ-ს უნდა უზრუნველყო დოლარის თავისუფალი მიმოცვლა საკუთარ საზღვრებს გარეთაც. მსგავს სისტემას კი არსებობა მხოლოდ აშშ-ს სამხედრო ძალის გავლენების ქვეშ შეეძლო, რომელთა მასშტაბის შეზღუდვა, მხოლოდ საბჭოთა კავშირს და ცივ ომს ხელენიფებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში არაერთი სოციალ-დემოკრატიული თუ ქრისტიან-დემოკრატიული მმართველობის ფორმა წამოიშვა და ზოგადად, გაიზარდა სახელმწიფოს როლი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამის ფონზე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს მოდელი აირჩია, ხოლო მისი აქტიური მეთვალყურეობის ქვეშ, იაპონიაში ნომინალურად დემოკრატიული, თუმცა პრაქტიკულად უაღრესად ბიუროკრატიული, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების განახლებაზე ორიენტირებული სახელმწიფო აპარატი შეიქმნა. ყველა ამ განსხვავებულ სახელმწიფო მმართველობის ფორმას აერთიანებდა ხედვა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდისა და საკუთარი მოქალაქეებისთვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო და შესაბამისად, სახელმწიფო თანაზომიერად უნდა ყოფილიყო ჩართული საბაზრო პროცესებში და საჭიროების შემთხვევაში, ჩარეულიყო კიდევ ამ მიზნის მისაღწევად. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რომელსაც ჩვეულებრივ „კეინსიანურს“ უწოდებენ, ფართოდ იყო გამოყენებული ეკონომიკური ციკლის

შესასუსტებლად და რაც შეიძლება მეტი დასაქმების ადგილის უზრუნველსაყოფად. „კლასობრივი კომპრომისი“ კაპიტალსა და შრომით ძალას შორის აღქმულიყო შიდასახელმწიფოებრივი სიმშვიდისა და სტაბილურობის მთავარ გარანტად. სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს თანამონაწილეობა ქვეყნის ინდუსტრიულ პოლიტიკებში და კეთილდღეობის სხვადასხვა სისტემების შექმნით (ჯანდაცვა, განათლება, ა.შ) დაიწყეს სოციალური გასაცემლის სტანდარტების შემუშავებაც.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ამ ფორმას დღევანდელ დღეს „ინტეგრირებულ ლიბერალიზმს“ უწოდებენ, რითაც ხაზს უსვამენ თუ როგორ იყო საბაზრო პროცესები, ისევე როგორც სამეწარმეო თუ კორპორატიული აქტივობები გარემორტყმული სოციალურ თუ პოლიტიკურ შეზღუდვათა ქსელითა და მარეგულირებელი გარემოთი, რომელიც ხშირად განაპირობებდა ეკონომიკური და ინდუსტრიული სტრატეგიების ჩამოყალიბებას.¹¹ არც თუ ისე იშვიათი იყო სახელმწიფოს გეგმიური პოლიტიკა და რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვანი სექტორების (ნახშირი, ფოლადი, ავტომობილები) ფლობაც. ამის მაგალითებს ვხვდებით ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში. სამომავლოდ ნეოლიბერალურ პროექტს სწორედ ამ შეზღუდვებისგან მოუწევს კაპიტალის გამოცალკევება.

ინტეგრირებულმა ლიბერალიზმმა 1950-იან და 1960-იან წლებში მონინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაღალი

¹¹ S. Krasner (ed.), *International Regimes* (Ithaca, NY: Cornell University Press, 1983); M. Blyth, *Great Transformations: Economic Ideas and Institutional Change in the Twentieth Century* (Cambridge: Cambridge University Press, 2002).

მაჩვენებლები მოიტანა.¹² დიდწილად ეს განპირობებული იყო ამერიკის მზაობით დეფიციტში ემყოფებინა მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი, ხოლო ჭარბწარმოებული პროდუქცია თავისი ქვეყნის შიგნით დაეტოვებინა. ამგვარი სისტემის სარგებლიანობა საექსპორტო ბაზრის გაფართოებაში (ყველაზე შესამჩნევად იაპონიისთვის, თუმცა ამასთანავე არათანაბრად სამხრეთ ამერიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისთვის) გამოიხატა, თუმცა ექსპორტზე „განვითარების“ (development) გატანის მცდელობებმა ძირითად შემთხვევაში, შეცდომაში შეიყვანა დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნები. მესამე მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი აფრიკისთვის, ინტეგრირებული ლიბერალიზმი აუხდენელ ოცნებად დარჩა. 1980 წლის შემდგომ ნეოლიბერალიზმის კენ გადადგმულმა ნაბიჯებმა მხოლოდ შეუმჩნეველი მატერიალური ცვლილებები გამოწვია მათ გადატაკებულ მდგომარეობაში. მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში რედისტრიბუციის (შემოსავლის ან/და სიმდიდრის გადანაწილების) პოლიტიკამ, რომელიც გულისხმობდა მშრომელთა პროფესიული კავშირების გარკვეული დობით პოლიტიკურ ინტეგრაციასა და კოლექტიური მოლაპარაკებების მხარდაჭერას, აიღო კონტროლის სადავეები კაპიტალის თავისუფალ მოძრაობაზე (კერძოდ, კაპიტალი კონტროლდებოდა გარკვეული ფინანსური რეპრესიების გზით), გაზრდილ სახელმწიფო დანახარჯებსა და კეთილდღეობის სახელმწიფოს მშენებლობაზე. სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ჩარევები ეკონომიკაში და განვითარების კურსის გეგმიური ხასიათი მხარდამხარ მიჰყვებოდა ეკონომიკური

¹² P. Armstrong, A. Glynn, and J. Harrison, *Capitalism Since World War II: The Making and Breaking of the Long Boom* (Oxford: Basil Blackwell, 1991).

ზრდის მაღალ მაჩვენებლებს. კეინსიანური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შემოღებით, წარმატებულად კონტროლირდებოდა ეკონომიკური ციკლიც. სოციალური და მორალური ეკონომიკა (რომელსაც ზოგჯერ ზურგს უმაგრებდა ეროვნული იდენტობის ძლიერი განცდა) ნაქეზებულ იქნა სახელმწიფოს ინტერვენციონისტული სახელმწიფო აქტივობების მეშვეობით. სახელმწიფო ფაქტობრივად იქცა ძალთა გადანაწილების ველად, სადაც ინტერნალიზდებოდა კლასობრივი ურთიერთობები. მშრომელთა კლასის ინსტიტუციებს, როგორცაა მშრომელთა გაერთიანებები და მემარცხენე პოლიტიკური პარტიები, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ სამთავრობო სტრუქტურებზე.

1960-იანი წლების ბოლოს ინტეგრირებულმა ლიბერალიზმმა ნელ-ნელა დაკარგა სადავეები როგორც საერთაშორისო, ისე ცალკეულ ქვეყანათა შიდა ეკონომიკებში. მსოფლიოს მასშტაბით ყველგან შეინიშნებოდა კაპიტალის აკუმულაციის სერიოზული კრიზისი. ასევე, იზრდებოდა უმუშევრობისა და ინფლაციის მაჩვენებლებიც, რამაც მსოფლიო „სტაგფლაციის“¹³ ეტაპამდე მიიყვანა, რომელიც სამყაროს უმეტეს ნაწილში 1970-იან წლებამდე გაგრძელდა. ფისკალურმა კრიზისმა სხვადასხვა ქვეყნებში (მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი იძულებული გახდა 1975-6 წელს გაეცა დახმარება ინგლისისთვის) გადასახადების გზით შემოსული შემოსავალის უეცარი ვარდნა და სოციალური დანახარჯების ზრდა გამოიწვია.

¹³ „ინფლაციის მაღალი ტემპი, რომელსაც თან ერთვის წარმოების სტაგნაცია და უმუშევრობის მაღალი დონე; იგი ხასიათდება ფასებისა და უმუშევრობის დონის ერთდროული ზრდით.“ წყარო: ხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.] (მთარგმნ. შენიშვნა)

შედგვი სახეზე იყო - კენისიანური პოლიტიკა აღარ მუშაობდა. ჯერ კიდევ არაბეთ-ისრაელის ომამდე და ოპეკის 1973 წლის ემბარგომდე, მნიშვნელოვნად შეირყა ოქროს რეზერვებზე დამყარებული ბრეტონ-ვუდსის ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემა. კაპიტალის შემოდინების წინაშე სახელმწიფო შეზღუდვების სიმყიფემ თავისი კვალი დაამჩნია ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემას. აშშ-მ დაკარგა კონტროლი დოლარზე და ევროპულ ბანკებში იქნა დაბანდებული, რითაც მთელს მსოფლიოს მოედო. ფიქსირებული გაცვლითი კურსები 1971 წელს გაუქმდა. ოქროს უკვე აღარ შეეძლო საერთაშორისო ფულის მატერიალური ბაზისი ყოფილიყო და ფიქსირებულის მაგივრად, მცურავი გაცვლითი კურსი მივიღეთ, რომლის კონტროლის მცდელობებზეც მალევე აიღეს ხელი. მიუხედავად იმისა რომ ინტეგრირებულმა ლიბერალიზმმა 1945 წლის შემდეგ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლები აჩვენა, საბოლოოდ აშკარად ამონურა თავი და აღარ მუშაობდა. კრიზისის დაძლევისთვის საჭირო იყო მისი ალტერნატივა. ერთ-ერთ ამგვარ ალტერნატივას წამოადგენდა ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებისა და რეგულაციების გამკაცრება კორპორატიული სტრატეგიების მეშვეობით რაც, საჭიროების შემთხვევაში, გულისხმობდა მშრომელთა და პოპულარული სახალხო მოძრაობების მისწრაფებების მკაცრ შეზღუდვას და კონტროლს საშემოსავლო პოლიტიკაზე, ხელფასებსა და ფასებზე. ამ ალტერნატივას ევროპის სოციალისტური და კომუნისტური პარტიებიც იზიარებდნენ. ისინი იმედოვნებდნენ სახელმწიფოს მართვის ინოვაციური ექსპერიმენტების ჩატარებას ისეთ ადგილებში, როგორიც იყო კომუნისტების მიერ კონტროლირებადი „წითელი ბოლონია

“ იტალიაში. ასევე არ კარგავდნენ იმედს, ფაშიზმის განადგურების ფონზე რევოლუციურად გარდაქმნილიყო პორტუგალია, ისევე როგორც ევროპა მოქცეულიყო ღია საბაზრო სოციალიზმისაკენ და „ევროკომუნიზმის“ იდეისკენ. განსაკუთრებით ეს ეხებოდა, იტალიას, რომელსაც ბერლინგუერი ხელმძღვანელობდა და კარილოს გავლენებით გაჯერებულ ესპანეთს. დიდი იმედები მყარდებოდა ასევე ძლიერი სოციალ-დემოკრატიული კეთილდღეობის სახელმწიფოს ტრადიციის გაფართოებაზე სკანდინავიის ქვეყნებში. ასეთი პროგრამების მეშვეობით, მემარცხენე მოძრაობა მნიშვნელოვნად გაძლიერდა და თავისი გავლენები დაატყო იტალიას, მოახერხა ძალაუფლების მოპოვება პორტუგალიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ბრიტანეთში, ისევე როგორც ძალების შენარჩუნება სკანდინავიაში. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, 1970-იანი წლების დასაწყისში, დემოკრატიული პარტიის მიერ მართულმა კონგრესმა შეიმუშავა სარეგულაციო რეფორმები, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფო აწესრიგებდა ყველა დარგს, დანყებული გარემოს დაცვით, შრომის უსაფრთხოებითა და ჯანდაცვით, დამთავრებული სამოქალაქო და სამომხმარებლო უფლებების დაცვით. ეს რეფორმები ძალაში შევიდა რესპუბლიკელი პრეზიდენტის, რიჩარდ ნიქსონის ხელმოწერით, რომელიც ამ პროცესში იმდენად იყო ჩართული, რომ აღნიშნა კიდევ, „ახლა ჩვენ ყველანი კეისისიანელები ვართ“.¹⁴ თუმცა მემარცხენეობა ვერ გასცდა ტრადიციულ სოციალ-დემოკრატიულ და კორპორატიულ გადანყვეტილებს, რაც, როგორც 1970-იანი წლების შუა პერიოდმა დაამტკიცა, შეუსაბამო იყო კაპიტალის აკუმულაციასთან.


¹⁴ G. Eley, *Forging Democracy: The History of the Left in Europe, 1850–2000* (Oxford: Oxford University Press, 2000)

ამის შედეგად კი, ჩამოყალიბდა პოლარიზებული დისკურსი ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატიისა და ცენტრალური დაგეგმარების მომხრეთა (რომლებსაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, როგორც წესი, თავის შეკავება და დათმობებზე წასვლა უწევდათ, პრაგმატული მიზეზებისა თუ საკუთარ ამომრჩევლთა მისწრაფებების გამო, როგორც ეს მოხდა ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის შემთხვევაში) და მეორე მხრივ, იმ ადამიანთა შორის, რომელთა ინტერესებიც პირდაპირ კავშირში იყო კორპორატიულ და ბიზნეს ძალაუფლების ლიბერალიზაციასა და ბაზრის თავისუფლების აღდგენასთან. 1970 წლების შუა პერიოდში ამ უკანასკნელთა ინტერესებმა წინა პლანზე გადმოინაცვლა. მაგრამ რა პირობები იყო საჭირო კაპიტალის აქტიური აკუმულაციის აღსადგენად?

როგორ და რატომ აღმოჩნდა ნეოლიბერალიზმში გამარჯვებული ამ ბრძოლაში - ეს ერთადერთი კითხვაა, რომელზე პასუხის გაცემაც საკვანძო მნიშვნელობისაა პრობლემის გადაჭრისას. მოვლენების რეტროსპექტივაში განხილვისას, ამ კითხვაზე პასუხი გარდაუვალი და აშკარა შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა ჩემი აზრით, სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ რეალურად არავინ იცოდა და არავის ჰქონია გააზრებული კონკრეტულად რა ტიპის პასუხი იყო საჭირო ამ კითხვაზე. პასუხის ძიებაში, კაპიტალისტურ სამყაროს ხელი ნეოლიბერალიზმისკენ წაუცდა, რომელიც წრეზე სიარულისა და ქაოტური ექსპერიმენტების მეშვეობით ორთოდოქსულ აზრთა წყებად იქცა და 1990-იანი წლებში არტიკულირებულ იქნა „ვაშინგტონის კონსენსუსში“. ამ დროისთვის კლინტონსა და ბლერს მარტივად შეეძლოთ შემოეტრიალებინათ ნიქსონის უწინდელი განცხადება და ეთქვათ „ახლა ჩვენ ყველანი ნეოლიბერალები ვართ“. ნეოლიბერალიზმის

განვითარების არათანაბარი გეოგრაფიული განფენილობა, სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოებრივი და სოციალური ფორმაციების მიერ მისი ხშირად ნაწილობრივ ან ცალმხრივად გამოყენება, კიდევ ერთხელ ადასტურებს პრობლემის ნეოლიბერალური გზებით გადაჭრის ჰიპოთეტურ ხასიათსა და კომპლექსურ მოცემულობებს, რომლებშიც პოლიტიკურმა ძალებმა, ისტორიულმა ტრადიციებმა და არსებულმა ინსტიტუციონალურმა შეთანხმებებმა თავისი როლი ითამაშეს იმაში თუ რატომ და როგორ წარმოიშვა რეალურად ნეოლიბერალიზაციის პროცესი.

ამასთანავე, ამ გარდამავალ პროცესში არის ერთი ელემენტი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. 1970-იან წლებში კაპიტალის დაგროვების კრიზისმა მზარდი უმუშევრობისა და დაჩქარებული ინფლაციის კომბინაციით მთელს მსოფლიოზე მოახდინა გავლენა (გრაფიკი 1.1).



გრაფიკი 1.1 1970-იან წლების ეკონომიკური კრიზისი: ინფლაცია და უმუშევრობა აშშ-სა და ევროპაში, 1960-1987 წწ.
წყარო: Harvey, The Condition of Postmodernity

დაგროვილმა უკმაყოფილებამ მასიური ხასიათი შეიძინა და მოწინავე კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნების უმრავლესობაში შრომითი გაერთიანებებისა და ურბანული სოციალური მოძრაობების მთავარი ძალისხმევა იმ სოციალური კომპრომისის ალტერნატივის ძიებისაკენ მიემართა, რომელიც კაპიტალსა და შრომით ძალას შორის წარმოიქმნა და რომელმაც წარმატებით ჩაუყარა საფუძველი კაპიტალის დაგროვებას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. კომუნისტური და სოციალისტური პარტიები ძალაუფლების მოპოვების პარალელურად, სულ უფრო მზარდ პოპულარობას იძენდნენ ევროპის უმეტეს ნაწილსა და აშშ-ის კი, სადაც სახალხო მოძრაობები აგიტაციას უწევდნენ ფართომასშტაბიან რეფორმებსა და სახელმწიფოს ინტერვენციებს. ეს კი, ცალსახად წამოადგენდა პოლიტიკურ საფრთხეს ეკონომიკური ელიტებისთვისა და მმართველი კლასებისთვის მთელს მსოფლიოში, როგორც მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და პორტუგალია), ასევე განვითარებად ქვეყნებშიც (როგორებიცაა ჩილე, მექსიკა და არგენტინა). მაგალითად, შვედეთში, რენ-მაიდნერის სახელით ცნობილი გეგმა მიზნად ისახავდა მფლობელებს მიერ წილების თანდათანობით გამოსყიდვას საკუთარი ბიზნესებიდან და ქვეყანაში მშრომელთა/მეწილეთა დემოკრატიის ჩამოყალიბებას. მაგრამ, ამას გარდა, მმართველი ელიტებისა და კლასებისთვის სულ უფრო მძაფრი ხდებოდა ეკონომიკური საფრთხე. ომის შემდგომი სიტუაციის გამოსწორების ერთ-ერთ გზად, თითქმის ყველა ქვეყანაში განიხილებოდა მდიდარი ფენების ეკონომიკური ძალაუფლების შეკავება და ეკონომიკაში შრომითი წილის საგრძნობი გაზრდა. მაგალითად, აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, ქვეყნის ყველაზე დიდი

შემოსავლის მქონე 1%-ის წილი ეროვნულ შემოსავალში დაეცა ომამდე არსებული 16%-იანი ნიშნულიდან 8%-მდე და შეინარჩუნა ეს მაჩვენებელი დაახლოებით სამი ათწლეულის განმავლობაში. მაშინ როდესაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები მაღალი იყო, ეს ცვლილება არსებითად არ მიიჩნეოდა. თუმცა როდესაც 1970-იან წლებში ამ ზრდას წყალი შეუდგა, რეალური საპროცენტო განაკვეთები უარყოფითი გახდა და მცირე დივიდენტები და მოგება ნორმად იქცა, საზოგადოების მდიდარმა ფენებმა საფრთხე სწორედ მაშინ იგრძნეს. შემოსავლებისგან განსხვავებით, სიმდიდრეზე კონტროლი აშშ-ში ქვეყნის 1%-მა პროცენტმა სტაბილურად შეინარჩუნა მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში, თუმცა 1970-იან წლებში იგი მკვეთრად დაეცა (გრაფიკი 1.2), მთელი რიგი აქტივების ღირებულებათა (აქციები, ქონება, დანაზოგები) შემცირების გამო. საზოგადოების მაღალ ფენებს პოლიტიკური და ეკონომიკური განადგურებისგან თავის დაცვის მიზნით, გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადაედგათ.

სახელმწიფო გადატრიალებამ ჩილეში და სამხედრო გადატრიალებამ არგენტინაში, რომლებიც სწორედ მაღალი ფენების მიერ, ამერიკის დახმარებით იყო წახალისებული, ერთგვარი გამოსავალი შემოგვთავაზა.




გრაფიკი 1.2 სიმდიდრის კრახი 1970-იან წლებში: აშშ-ს მოსახლეობის ზედა 1%-ის შემოსავლების წილი, 1922-1998 წწ.

წყარო: Duménil and Lévy, *Capital Resurgent*.

ჩილეში ნეოლიბერალიზმის სახით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა, აჩვენა რომ აღორძინებული კაპიტალის აკუმულირება იძულებითი პრივატიზაციისას იყო უაღრესად არაზუსტი. ეს კი, საწყის ეტაზე, ძალიან გამოადგათ ქვეყნის მმართველ ელიტებსა და უცხოელ ინვესტორებს. არათანაბარი გადანაწილების შედეგები და მზარდი სოციალური უთანასწორობა ნეოლიბერალიზაციის განუყრელ თავისებურებებად იქცა, იმდენად რომ შეიძლება მისი სტრუქტურის ნაწილადაც მიგვეჩნია. ეკონომისტები უფრო დუმენილი და დომინიკ ლევი მონაცემთა დეტალური ანალიზის შემდეგ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნეოლიბერალიზმის პროექტი მიზნად ისახავს ეკონომიკური ელიტის კლასობრივი ძალაუფლების გაზრდას. 1970-იანი წლების ბოლოს ნეოლიბერალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, აშშ-ში შემოსავლის მიმღებთა ზედა 1 პროცენტის წილი ეროვნულ შემოსავალში იზრდებოდა და საუკუნის ბოლოსთვის 15%-ს მიაღწია, რითაც მიუახლოვდა მეორე მსოფლიო ომამდე არსებულ ნიშნულს. აშშ-ში შემოსავლის მიმღებთა ზედა 0.1%-მა თავისი წილი ეროვნულ შემოსავალში 1978 წელს არსებული 2%-დან 1999 წლისთვის 6%-მდე გაზარდა, ხოლო მშრომელთა საშუალო ანაზღაურების შეფარდება აღმასრულებელი დირექტორების ხელფასთან 1970 წლის 30:1-დან 2000 წლისთვის თითქმის 500:1-მდე გაიზარდა (გრაფიკები 1.3 და 1.4). უდავოა რომ ბუშის ადმინისტრაციის ამჟამად მოქმედი საგადასახადო რეფორმების შედეგად, კვლავ გრძელდება შემოსავლისა და სიმდიდრის კონცენტრაცია საზოგადოების მაღალ ფენებში, ვინაიდან შეჩერებულია ქონების გადასახადი, შემცირებულია ინვესტიციებიდან

და კაპიტალიდან არსებული საშემოსავლო გადასახადი, ხოლო სახელფასო თანხები კვლავინდებურად იბეგრება.¹⁵




გრაფიკი 1.3 კლასობრივი ძალაუფლების ზრდა: შემოსავლის მიმღებთა ზედა 0.1%-ის წილი ეროვნულ შემოსავალში, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, 1913-1998 წწ.
წყარო: Task Force on Inequality and American Democracy, American Democracy in an Age of Rising Inequality.


აშშ ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წამოადგენს. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის შემოსავლის მიმღებთა ზედა 1%-ის წილი ეროვნულ შემოსავალში 1982 წლიდან ორჯერ გაიზარდა და 6.5%-დან 13%-ს მიაღწია. თუ სხვა ქვეყნებსაც გადავხედავთ, დავინახავთ სიმდიდრისა და ძალაუფლების უჩვეულო გადანაწილებას მთელს მსოფლიოში. 1990-იანი წლების „შოკური თერაპიის“ შემდეგ, მცირე, თუმცა გავლენიანი ოლიგარქია წარმოიშვა რუსეთშიც. უჩვეულო ცვლილებებს

¹⁵ G. Duménil and D. Lévy, 'Neoliberal Dynamics: Towards A New Phase?', in K. van der Pijl, L. Assassi, and D. Wigan (eds.), *Global Regulation: Managing Crises after the Imperial Turn* (New York: Palgrave Macmillan, 2004) 41-63. See also Task Force on Inequality and American Democracy, *American Democracy in an Age of Rising Inequality* (American Political Science Association, 2004); T. Piketty and E. Saez, 'Income Inequality in the United States, 1913-1998', *Quarterly Journal of Economics*, 118 (2003), 1-39.

შემოსავლების უთანასწორობისა და სიმდიდრის დაგროვების კუთხით ვხედავთ ჩინეთშიც, მას შემდეგ რაც ქვეყანამ თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული პრაქტიკები გამოიყენა. 1992 წლის შემდეგ პრივატიზაციის ტალღამ მექსიკაში სრულიად მოულოდნელად გაუხსნა გზა ისეთ ადამიანებს, როგორცაა, მაგალითად, კარლოს სლიმი, რომელმაც შეიძლება ითქვას, ერთი ხელის მოსმით მოიპოვა მონიწვე ადგილი მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაში. გლობალურად, „აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში ყველაზე მასშტაბური ზრდა დაფიქსირდა... სოციალური უთანასწორობის კუთხით.



პირველი სამი მრუდი აჩვენებს აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურების ზრდას, იმის მიხედვით, თუ რომელ რგოლს მიეკუთვნებიან სახელფასო იერარქიაში - დაბალ, საშუალოსა თუ მაღალს. ბოლო მრუდი (.—.—) აჩვენებს ყველაზე მაღალ რგოლში მომეშავე, ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონეთა საშუალო ანაზღაურებას. ყურადღება მიაქციეთ, რომ 1,000 აღნიშნავს საშუალოზე 1,000-ჯერ მაღალ ანაზღაურებას.



გრაფიკი 1.4 სიმდიდრისა და შემოსავლის კონცენტრაცია აშშ-ში: აღმასრულებელ რეგოლში მომუშავეთა ანაზღაურების თანაფარდობა აშშ-ს საშუალო ანაზღაურებასთან, 1970-2003 წწ. და უმდიდრესი ოჯახების სიმდიდრის წილი, 1982-2002 წწ.
 წყარო: Duménil and Lévy, 'Neoliberal Income Trends'.

1980-იანი წლების შემდეგ, უთანასწორობის მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნებოდა ასევე ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში (ეგთო) შემავალ ქვეყნებში, ხოლო სხვაობა სამყაროს ყველაზე მდიდარ და ყველაზე ღარიბ ქვეყნებში მცხოვრებთა მეხუთედის შემოსავლებს შორის 1997 წელს 74:1 თანაფარდობით იყო წარმოდგენილი, მაშინ როდესაც 1990 წელს ეს თანაფარდობა 60:1 იყო, ხოლო 1960- წელს - 30:1.¹⁶ ამ ტენდენციას თავისი გამონაკლისებიც გააჩნდა, მაგალითად, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე ქვეყანა, რომელმაც საფრანგეთის მსგავსად, მოახერხა უთანასწორობა გონივრულ საზღვრებში მოექცია (იხ. გრაფიკი 1.3). ამის მიუხედავად, მანამდე არსებული მტკიცებუ-

¹⁶ United Nations Development Program, Human Development Report, 1999 (New York: Oxford University Press, 1999), 3.

ლებები ნათლად მიანიშნებს, რომ ნეოლიბერალური მიდგომა გარკვეულწილად, რაღაც ფორმით, უკავშირდება ეკონომიკური ელიტების ძალაუფლების აღდგენასა და რეკონსტრუქციას.

შესაბამისად, ნეოლიბერალიზმი შეგვიძლია განვმარტოთ როგორც უტოპიური პროექტი, რომელიც ცდილობს საერთაშორისო კაპიტალიზმის რეორგანიზაციისთვის საჭირო თეორიული ჩარჩოს შექმნას, ისევე როგორც პოლიტიკური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალის დაგროვებისთვის საჭირო პირობების შექმნასა და პოლიტიკური ელიტების ძალაუფლების აღდგენას. შემდგომ ნაწილში ვეცდები დავამტკიცო, რომ ამ მიზნებს შორის მეორე ყოველთვის მეტად დომინირებდა პრაქტიკაში. ნეოლიბერალიზმი ვერ აღმოჩნდა ეფექტური გლობალური კაპიტალის დაგროვების აღორძინებაში, თუმცა მან შესამჩნევ შედეგებს მიაღწია ეკონომიკური ელიტის აღდგენასა და ზოგიერთ შემთხვევაში, ჩამოყალიბებაშიც კი, როგორც ეს მოხდა რუსეთსა და ჩინეთში. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ნეოლიბერალური არგუმენტის თეორიული უტოპიზმი თავდაპირველად მუშაობდა როგორც გამამართლებელი და ლეგიტიმაციის მიმნიჭებელი სისტემა იმ ღონისძიებებთან გასატარებლად, რომლებიც აუცილებელი იყო ამ მიზნების მისაღწევად. მეტიც, როგორც დავინახეთ, როცა ნეოლიბერალური პრინციპები წინააღმდეგობაში მოდის ელიტური კლასების ძალაუფლების შენარჩუნებასა თუ შექმნასთან, ეს პრინციპები უარყოფილია ან იმდენად შორდება თავის თავდაპირველ შინაარსს, რომ ძნელად საცნობი ხდება. ეს კი, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ისტორიულ-გეოგრაფიულ ცვლილებებში იდეური ჩარჩოს, როგორც გამწვავი ძალის მნიშვნელობას. თუმცა, ამავედროულად, ეს ნამდვილად მიანიშნებს უთანხმოებაზე ნეოლიბერ-

რალურ იდეებსა და ნეოლიბერალიზაციის რეალურ პრაქტიკებს შორის, რომლებმაც ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე გარდაქმნეს გლობალური კაპიტალიზმის მუშაობის პრინციპები.

ნეოლიბერალური თეორიის აღზევება

საჯარო პოლიტიკის წიაღში ნეოლიბერალიზმი დიდი ხნის მანძილზე მიიჩნეოდა კაპიტალისტური წესრიგის მოსალოდნელ საფრთხეთა და სირთულეთა პოტენციურ ანტიდოტად. 1947 წელს მისმა ყველაზე მგზნებარე დამცველებმა, რომლებსაც ძირითადად აკადემიური წრიდან წამოსული ეკონომისტები, ისტორიკოსები და ფილოსოფოსები წარმოადგენდნენ, ფრიდრიხ ჰაიეკის მეთაურობით დააფუძნეს მონ პელერინის საზოგადოება. სახელწოდება შვეიცარიაში არსებული გამაჯანსაღებელი ცენტრის სახელიდან მომდინარეობს, სადაც საზოგადოების წევრები ერთმანეთს შეხვდნენ. გამორჩეულ წევრთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ ლუდვიგ ფონ მიზესი, ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ფილოსოფოსი კარლ პოპერიც. საზოგადოების დამფუძნებელ განცხადებაში ნათქვამია:

„ცივილიზაციის ძირითად ფასეულობებს საფრთხე ემუქრება. მსოფლიოს ბევრ რეგიონში უკვე გაქრა ადამიანური კეთილშობილებისა და თავისუფლების არსებითი პირობები. სხვაგან ისინი პოლიტიკის ამჟამინდელი ტენდენციების მუდმივი ზეწოლის ქვეშ არიან. თვითნებური ძალაუფლების გაფართოება სულ უფრო უთხრის ძირს ინდივიდუალური და ნებაყოფლობითი ჯგუფების პოზიციებს. დასავ-

ლელო ადამიანის ყველაზე ძვირფას მონაპოვარს, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებასაც კი, საფრთხე ემუქრება ისეთი წარმოდგენების გავრცელებით, რომლებიც უმცირესობის აზრთან ტოლერანტობას უპირატესად მიიჩნევენ და ამას მხოლოდ ძალაუფლების მოსაპოვებლად იყენებენ, რითაც შეეძლება დათრგუნონ და გაანადგურონ ყველანაირი შეხედულება, გარდა საკუთარისა. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება გამოიწვია ისტორიის იმგვარმა ხედვამ, რომელიც სრულებით უარყოფს აბსოლუტურ მორალურ სტანდარტებს და იმ თეორიათა გავრცელებამ, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ კანონის უზენაესობას. ამას ასევე ხელს უწყობდა კერძო საკუთრებისა და კონკურენტული ბაზრის რწმენის უკუგდებაც. გადანაწილებული ძალაუფლებისა და ინიციატივების გარეშე, რაც ინსტიტუციებთან არის კავშირში, ძნელად წარმოსადგენია საზოგადოება, რომელშიც თავისუფლება ეფექტურად იქნება შენარჩუნებული“.

ჯგუფის წევრები თავიანთ თავს „ლიბერალებად“ მოიხსენიებდნენ, ამ სიტყვის ტრადიციული ევროპული გაგებით, რაც განპირობებული იყო ინდივიდუალური თავისუფლების იდეალებისადმი მათი ფუნდამენტური ერთგულებით. მონ პელერინის საზოგადოების ნეოლიბერალურ ხედვებში ხაზგასმული იყო თავდადება ნეოკლასიკოსი ეკონომისტების მიერ შემოთავაზებული თავისუფალი ბაზრის იმ პრინციპებისადმი, რომლებმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ალფრედ მარშალის, უილიამ სტენლი ჯევონსის და ლეონ ვალრასის ნაშრომებში იჩინეს თავი და ჩაანაცვლეს ადამ სმიტის, დევიდ რიკარდოსა და რა თქმა უნდა, კარლ მარქსის კლასიკური თეორიები.

თუმცა ისინი მაინც ემხრობოდნენ ადამ სმიტის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ბაზრის უხილავი ხელი საუკეთესო საშუალებაა ყველას სასარგებლოდ ადამიანის უმდაბლესი ინსტინქტების - სიხარბის, გაუმაძღრობის, სიმდიდრისა და ძალაუფლების სურვილის - მობილზიზებისთვის. შესაბამისად, ნეოლიბერალური დოქტრინა ეწინააღმდეგებოდა თეორიებს სახელმწიფოს ინტერვენციონიზმის თაობაზე, როგორებიც იყო, მაგალითად, ჯონ მენარდ კეინის თეორიები, რომლებმაც დიდი დეპრესიის საპასუხოდ, 1930-იან წლებში მზარდი პოპულარობა მოიპოვეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კეინსიანური თეორია არაერთმა პოლიტიკოსმა გაითვალისწინა და იგი ეკონომიკური ციკლისა და რეცესიების გასაკონტროლებლად გამოიყენა. ნეოლიბერალები ყველაზე მძაფრად ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფოს მხრიდან ცენტრალური დაგეგმარების პოლიტიკას, რომელიც მარქსისტული ტრადიციის კვალდაკვალ ოსკარ ლანგემ განავითარა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს გადანყვეტილებები პოლიტიკურად მიკერძოებული იქნებოდა და დამოკიდებული გახდებოდა ამ გადანყვეტილებებში ჩართული ჯგუფების (პროფესიული კავშირები, გარემოს დამცველები, ა.შ) გავლენების ხარისხზე. სახელმწიფოს მხრიდან მიღებული გადანყვეტილებები ინვესტიციებისა და კაპიტალის აკუმულაციის შესახებ ვერ იქნებოდა სწორი, რადგან სახელმწიფო, თავის ხელთ არსებული ინფორმაციით, ვერ შეიმეცნებდა საბაზრო ლოგიკას.

ეს თეორიული ჩარჩო, როგორც ამას რამდენიმე კომენტატორი აღნიშნავს, ბოლომდე თანმიმდევრული არ არის.¹⁷ ნეოკლასიკოსი

¹⁷ თანმიმდევრული მიმოხილვა შეგიძლიათ იხილოთ აქ: H.-J. Chang, Globalisation, Economic Development and the Role of the State (London: Zed Books, 2003).

ეკონომისტების მეცნიერული სიმკაცრე ბოლომდე ვერ თავსდება ამავე თეორიულ ჩარჩოში მოქცეული ინდივიდუალური თავისუფლებების იდეალებისადმი პოლიტიკურ ერთგულებასთან, ისევე როგორც სახელმწიფო ძალაუფლების ყველა ფორმისადმი უნდობლობა ვერ თანაარსებობს ძლიერი სახელმწიფოს აუცილებლობასთან, რომელმაც უნდა დაიცავს კერძო საკუთრების უფლება, ინდივიდუალური თუ სამეწარმეო თავისუფლება. იურიდიული ხრიკი, რომლის მიხედვითაც კორპორაციები შეიძლება სამართლებრივად ინდივიდებად განვიხილოთ, საკუთარ ტენდენციურობას ამჟღავნებს, რაც ირონიულს ხდის ნიუ-იორკში, როკფელერის ცენტრში, ქვაზე ამოტვიფრულ ჯონ როკფელერის ცხოვრებისეულ კრედოს, რომელიც ყველაფერზე მაღლა აყენებს „ინდივიდს, როგორც უმთავრეს ღირებულებას“. როგორც შემდომში ვიხილავთ, ნეოლიბერალურ მიდგომაში საკმარისზე მეტი წინააღმდეგობები არსებობს იმისათვის, რომ ცვალებადი ნეოლიბერალური პრაქტიკები (ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა მონოპოლიური ძალა და ბაზრის არაეფექტურობა) ძნელად ამოსაცნობი გახდეს ნეოლიბერალიზმის ერთი შეხედვით წმინდად კლასიკურ დოქტრინასთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ, ყურადღება სწორედ იმ იმ განსხვავებებზე უნდა გავამახვილოთ, რომლებიც თავს იჩენენ ნეოლიბერალიზმის თეორიასა და ნეოლიბერალიზაციის რეალურ პრაქტიკებს შორის.

ჰაიეკი, რომელიც არაერთი გავლენიანი ტექსტის ავტორია, რომელთა შორისაცაა „თავისუფლების კონსტიტუცია“, გარკვეულწილად წინასწარმეტყველებდა კიდევ, რომ იდეოლოგიურ ბრძოლას არა მხოლოდ მარქსიზმის, არამედ სოციალიზმის, სახელმწიფო დაგეგმარებისა და კენსიანური ინტერვენციონიზმის წინააღმდეგ, გამარჯვე-

ბისტვის სულ მცირე ერთი თაობა მაინც დასჭირდებოდა. მონ პელერინის საზოგადოება ამ დროს ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით იყო დაკავებული. მეტწილად ამერიკაში, მდიდარი ჯგუფები და კორპორაციის ლიდერები, რომლებიც პრიმიტიული არგუმენტებით უპირისპირდებოდნენ სახელმწიფოს ჩარევისა და რეგულაციის ყველანაირ ფორმას და აგრეთვე, ინტერნაციონალიზმს, ცდილობდნენ ეპოვათ წინააღმდეგობის ფორმა, რომელიც იმ დროისთვის შერეული პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობის გარშემო, არსებულ კონსენსუსს დაუპირისპირდებოდა. იმის შიშით, თუ რა პოლიტიკურ შედეგებს მოიტანდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სამყაროში ალიანსი საბჭოთა კავშირთან და ამერიკაში სწორედ ომის დროს აღმოცენებული გეგმიური ეკონომიკა, ისინი მზად იყვნენ მიეღოთ ნებისმიერი ზომა, დაწყებული მაკარტიზმით, დამთავრებული ნეოლიბერალური ანალიტიკური ცენტრების მხარდაჭერით, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი ძალაუფლება. ამ ყველაფერის პარალელურად, კრიზისულ 1970-იან წლებამდე მოძრაობა მყარად ინარჩუნებდა როგორც პოლიტიკურ, ისე აკადემიურ გავლენას. ამ პერიოდში მონ პელერინის საზოგადოება სულ უფრო ცენტრალურ ადგილს იკავებდა აშშ-სა და ბრიტანეთში სხვადასხვა ანალიტიკური ცენტრების დაფინანსებისა (ასეთი იყო საზოგადოების შვილობილი ცენტრები - ეკონომიკის ინსტიტუტი ლონდონში და მემპვიდრეობის ცენტრი ვაშინგტონში) და აკადემიურ წრეებში მზარდი გავლენის მემწეობით. ცხადია, განსკუთრებით გამოირჩეოდა, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, სადაც მილტონ ფრიდმანი მოღვაწეობდა. ნეოლიბერალურმა თეორიამ აკადემიური აღიარება მოიპოვა 1974 წელს ჰაიეკისა და 1976 წელს ფრიდმანისთვის ეკონომიკის დარგში მინიჭებული

ნობელის პრემიის საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონკრეტული პრემია ნობელის სახელს უკავშირდება, იგი ყოველთვის იყო შვეიცარიის საბანკო ელიტების კონტროლის ქვეშ. ნეოლიბერალურმა თეორიამ თავისი მონეტარული სახით თავი იჩინა პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში. მაგალითად, კარტერის პრეზიდენტობის დროს, ეკონომიკის დერეგულაცია 1970-იან წლებში აშშ-ში გაბატონებული ქრონიკული სტაგფლაციის ერთ-ერთ საპასუხო რეაქციად იქცა. თუმცა ნეოლიბერალიზმის, როგორც ორთოდოქსული ეკონომიკური ხედვის მკვეთრმა კონსოლიდაციამ, რომლის შედეგადაც იგი მონინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკის მაკონტროლებელ იარაღად იქცა, ამერიკასა და ბრიტანეთში, 1979 წელს იჩინა თავი.

ამ წლის მაისში დიდი მანდატითა და ეკონომიკის რეფორმის იმედით, დიდ ბრიტანეთში პრემიერ მინისტრად მარგარეტ ტეტჩერი აირჩიეს. ნეოლიბერალიზმის იდეის ერთგული და ძალიან აქტიური პუბლიცისტისა და პოლემისტის, კიტ ჯოზეფის გავლენით, რომელსაც ეკონომიკის ინსტიტუტთანაც ჰქონდა კავშირები, ტეტჩერმა მიიჩნია, რომ ბრიტანულ ეკონომიკაში 1970-იან წლებში გამეფებული სტაგფლაციის წინააღმდეგ ერთადერთი აუცილებელი სტრატეგია კეინსიანიზმის უარყოფა და „მიწოდებასთან დაკავშირებული“ მონეტარული ღონისძიებების გატარება იყო. მისივე სიტყვებით, ეს ნიშნავდა რევოლუციას ფისკალურ და სოციალურ პოლიტიკებში, ისევე როგორც იმ სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისა და ინსტიტუციების საქმიანობის კრიტიკული ანალიზის საჭიროებას, რომლებიც დიდ ბრიტანეთში 1945 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა. ამას მოჰყვა პირდაპირი კონფრონტაცია პროფკავშირულ ძალებთან,

თავდასხმა სოციალური სოლიდარობის ყველა ფორმაზე, რომელიც ხელს უშლიდა კონკურენციის მოქნილობას (ეს გამოიხატებოდა როგორც მუნიციპალურ მმართველობაში, ასევე სხვადასხვა პროფესიულ ასოციაციებში), კეთილდღეობის სახელმწიფოს ვალდებულებების სრული უარყოფა ან მათი შემცირება, სახელმწიფო სანარმოების პრივატიზაცია (მათ შორის, სოციალური საცხოვრისის), გადასახადების შემცირება, სამენარმეო ინიციატივების წახალისება და უცხოური ინვესტიციების (განსაკუთრებით იაპონიიდან) მოზიდვის მიზნით ხელსაყრელი კლიმატის შექმნა ბიზნესისთვის. როგორც ტეტჩერმა ერთ-ერთ თავის ცნობილ გამოთქმაში აღნიშნა, „არ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა საზოგადოება, არსებობენ მხოლოდ ინდივიდები - კაცები და ქალები” და ასევე, მათი ოჯახები. სოციალური სოლიდარობის ყველანაირი ფორმა უნდა გაუქმებულიყო ინდივიდუალიზმის, პირადი საკუთრების, ინდივიდუალური პასუხისმგებლობებისა და ოჯახური ღირებულებების სასარგებლოდ. ტეტჩერის რიტორიკით გამონვეული იდეოლოგიური შეტევა, უმკაცრესი და ულმობელი იყო.¹⁸ იგი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკა მეთოდია, რომლის მიზანიც სულიერების შეცვლაა და ეს ცვლილება სრულიად უგულებელყოფდა მძიმე პოლიტიკურ ფასს, რისი გაღებაც ხდებოდა საჭირო მისი ქმედებებისთვის, რომლებიც ეჭვგარეშეა, სრულყოფილი და ყოვლისმომცველი იყო.


1979 წლის ოქტომბერში, კარტერის პრეზიდენტობის დროს, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო ფონდის თავმჯდომარემ, პოლ ვოლკერ-

¹⁸ ტეტჩერის ნეოლიბერალიზმისაკენ მიმავალ გზას შეგიძლიათ გაეცნოთ აქ: D. Yergin and J. Stanislaw, *The Commanding Heights: The Battle Between Government and Market Place that is Remaking the Modern World* (New York: Simon & Schuster, 1999).

მა ამერიკის მონეტარულ პოლიტიკაში დრაკონული ცვლილებების პაკეტი შეიმუშავა.¹⁹ აშშ-ს დემოკრატიული სახელმწიფოს ჰქონდა ხანგრძლივი ვალდებულება ახალი კურსის (New Deal) ერთგული ყოფილიყო, რომელიც გულისხმობდა კენსიანურ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას, რომლის მთავარი პრიორიტეტიც სრული დასაქმება იქნებოდა. ეს ვალდებულება უარყოფილი იქნა და ჩანაცვლა იმგვარი პოლიტიკით, რომლის მთავარი მიზანაც, დასაქმებაზე გავლენის მიუხედავად, ინფლაციის შემცირება იქნებოდა. რეალური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც 1970-იანების ინფლაციის ორნიშნა რიცხვით ზრდის პარალელურად, ხშირ შემთხვევაში, უარყოფითი იყო, ფედერალური სარეზერვო ფონდის ბრძანებით, დადებითად იქნა მიღებული (გრაფიკი 1.5). ძალიან მცირე დროში გაიზარდა ნომინალური საპროცენტო განაკვეთიც და ზრდა-კლების რამდენიმე ეპიზოდის შემდეგ, 1981 წლის ივლისში 20%-იან ნიშნულს მიუახლოვდა. ამრიგად, ამით დაიწყო რეცესიის ხანგრძლივი და რთული პერიოდი, რომელმაც გამოიწვია ქარხნების დაცარიელება, გააჩინა ბზარები პროფესიულ გაერთიანებებს შორის ამერიკაში, ხოლო მოვალე ქვეყნები გაკოტრების პირას მიიყვანა, რითაც სათავე დაუდო სტრუქტურული გარდაქმნების ხანგრძლივ ერას.²⁰ როგორც ვოლკერი ამტკიცებდა, ეს იყო ერთადერთი გზა აშშ-სთვის და ზოგადად, გლობალური ეკონომიკისთვის, 1970-იან წლებში არსებული სტაგფლაციის კრიზისიდან გამოსასვლელად.

¹⁹ L. Panitch and S. Gindin, 'Finance and American Empire', in *The Empire Reloaded: Socialist Register 2005* (London: Merlin Press, 2005) 46–81.

²⁰ D. Henwood, *After the New Economy* (New York: New Press, 2003), 208.



გრაფიკი 1.5 „ვოლკერის შოკი“: რეალური საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები, აშშ და საფრანგეთი, 1965-2001 წწ.


წყარო: Duménil and Lévy, Capital Resurgent.

ვოლკერის შოკი, რა სახელითაც ამ მოვლენას დღეს ვიცნობთ, ინტერპრეტირებულ იქნა ნეოლიბერალიზაციის აუცილებელ, თუმცა არასაკმარის პირობად. ზოგიერთმა ცენტრალურმა ბანკმა დიდი ხნით ადრე აიღო საკუთარ თავზე ანტიინფლაციური ფისკალური პასუხისმგებლობა და იმგვარი პოლიტიკა განახორციელა, რომელიც უფრო ახლოს იყო მონეტარიზმთან, ვიდრე კეინსიანურ კლასიკურ მოდელთან. დასავლეთ გერმანიაში ეს განპირობებული იყო ისტორიული მესხიერებით უკონტროლო ინფლაციის შესახებ, რომელმაც 1920-იან წლებში ვაიმარის რესპუბლიკა გაანადგურა (და ასპარეზი დაუთმო ფაშიზმის აღმშენებელს), ისევე როგორც ინფლაციის არანაკლებ საგანგაშო მაჩვენებელით მეორე მსოფლიო ომის ბოლოს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი დიდი ხნის განმავლობაში იყო ჭარბი ვალის წარმოქმნის წინააღმდეგი და მოითხოვდა ფისკალურ შეზღუდვებსა და კლიენტის სახელმწიფოების საბიუჯეტო პოლიტიკის

სიმკაცრეს. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში, მონეტარიზმი პროფესიული კავშირების ძალაუფლების აღიარებისა და ძლიერი სოციალური სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკური ვალდებულების გვერდით თანაარსებობდა. ამრიგად, ნეოლიბერალიზმისთვის საკვანძო იყო არა მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის მიღება, არამედ სხვადასხვა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის გავლენების შემცირებაც.

მიუხედავად იმისა, რომ კარტერი თავისი პრეზიდენტობის დროს, სტაგფლაციის კრიზისის ნაწილობრივ დასაძლევად დერეგულაციისკენ (ავიაკომპანიებისა და სატვირთო კომპანიების) გადაიხარა, გადამწყვეტი მანძი 1980 წელს კარტერზე რონალდ რეიგანის გამარჯვება აღმოჩნდა. რეიგანის მრჩეველები დარწმუნებულნი იყვნენ რომ ვოლკერის „ნამალი“ სწეული და სტაგნაციური ეკონომიკისთვის თავიდანვე სწორად იყო შერჩეული. ვოლკერს მხარს უჭერდა პრეზიდენტის ადმინისტრაცია და იგი ხელმეორედ დაინიშნა ფედერალური სარეზერვო ფონდის თავმჯდომარედ. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო აუცილებელი პოლიტიკური მხარდაჭერა შემდგომი დერეგულაციისთვის, გადასახადების შემცირებისთვისა და პროფესიულ კავშირებზე თავდასხმისთვის. რეიგანმა ჩაახშო პროფესიონალი საჰაერო მიმოსვლის კონტროლიორების ორგანიზაციის (PATCO) პროფკავშირის ხანგრძლივი და რადიკალური გაფიცვა 1981 წელს. ეს ყველაფერი ნიშნავდა სრული ძალით შეტევას ორგანიზებულ სამუშაო ძალაზე, მაშინ როდესაც ვოლკერის მიერ შთაგონებული რეცესია უმუშევრობის მაღალ დონეს წამოშობდა (10% ან მეტი). თუმცა PATCO ჩვეულებრივ გაერთიანებაზე მეტი იყო: ეს იყო „თეთრსაყელოანთა“ ორგანიზებული კავშირი, რომელსაც

პროფესიონალური ასოციაციის ხასიათი ჰქონდა. შესაბამისად, ის მეტწილად არა მუშათა, არამედ საშუალო კლასის პროფკავშირების ხატს წარმოადგენდა. ამ ყველაფერს დრამატული ეფექტი ჰქონდა შრომის მდგომარეობასა და პირობებზე, ყველაზე კარგად აისახება იმ ფაქტის მეშვეობით, რომ ფედერალური მინიმალური ხელფასი, რომელიც 1980 წელს სიღარიბის ღონის მაჩვენებელს გაუთანაბრდა, 1990 წელს 30%-ით ჩამორჩა მას. დაიწყო რეალური ხელფასის ღონის სერიოზული კლება.




გრაფიკი 1.6 თავდასხმა შრომაზე: რეალური ხელფასები და პროდუქტიულობა აშშ-ში, 1960-2000 წწ.

წყარო: Pollin, Contours of Descent.

რეიგანის დროს თანამდებობების განაწილებამ გარემოსდაცვითი რეგულაციების, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო შეუწყო ხელი ხელისუფლების წინააღმდეგ არსებულ კამპანიას. ავიაკომპანიებისა და სატელევიზიო კომუნიკაციების ჩათვლით ყველაფრის დაფინანსების დერეგულაციამ გზა

გაუხსნა უკონტროლო თავისუფალ ბაზარზე გავლენიანი კორპორაციების ფინანსური ინტერესების წამახალისებელი ახალი კერების წარმოქმნას. შეღავათებმა საშემოსავლო გადასახადზე გამოიწვია სუბსიდირებული კაპიტალის გადასვლა პროფუკავშირებით შეკავშირებული ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ცენტრალური დასავლეთიდან სუსტად რეგულირებადი სამხრეთისა და დასავლეთისკენ. ფინანსური კაპიტალი სულ უფრო ხშირად იყო დამოკიდებული უცხოეთიდან შემოსული ინვესტიციების მაღალი უკუგების მაჩვენებლებზე. ადგილობრივ დონეზე დეინდუსტრიალიზაციისა და საზღვარგარეთ წარმოების გატანის შემთხვევები გახშირდა. ბაზარი, რომელიც იდეოლოგიურად კონკურენციისა და ინოვაციების წახალისების მეშვეობით იყო განსაზღვრული, იქცა მონოპოლიური ძალების კონსოლიდაციის მექანიზმად. თვალშისაცემად შემცირდა კორპორატიული გადასახადები და ფიზიკური პირებისთვის დაკისრებული ყველაზე მაღალი გადასახადი შემცირდა 70%-დან 28%-მდე, რაც ისტორიაში გადასახადების ყველაზე დიდი შემცირების სახელით შევიდა (გრაფიკი 1.7).

სწორედ ასე გადაიდგა უფრო ქმედითი ნაბიჯები კიდევ უფრო ძლიერი სოციალური უთანასწორობის დამყარებისა და მაღალი კლასების ეკონომიკური ძალაუფლების აღდგენისაკენ.



გრაფიკი 1.7 საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება მაღალი ფენისთვის: საგადასახადო განაკვეთები ყველაზე მაღალი და დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობისთვის აშშ-ში, 1913-2000 წწ.

წყარო: Duménil and Lévy, 'Neoliberal Income Trends'.

ამასთანავე, 1970-იან წლებში ნეოლიბერალიზაციისკენ შემობრუნება კიდევ ერთმა თანმხლებლმა ცვლილებამ განაპირობა. 1973 წელს ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის (ოპეკი) ემბარგოს შემდეგ, ნავთობის ფასის ზრდამ ფინანსური ძალაუფლების უდიდესი ნაწილი ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების - საუდის არაბეთის, ქუვეითისა და აბუ დაბის - განკარგულებაში მოაქცია. დღესდღეობით, ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის ცნობებზე დაყრდნობით, ცნობილია რომ 1973 წელს ამერიკა ნავთობის მიმოცვლის აღდგენისა და ფასების შემცირების მიზნით, აქტიურად ემზადებოდა ამ ქვეყნებში შეჭრისათვის. ასევე ცნობილია, რომ იმ დროს, აშშ-ს მხრიდან სავარაუდო სამხედრო ზეწოლის შედეგად, საფრთხის თავიდან არიდების მიზნით, საუდის არაბეთი დათანხმდა ნავთობიდან მიღებული

თანხები ნიუ-იორკის საინვესტიციო ბანკებში დაებანდებინა.²¹ იმ პერიოდში ნიუ-იორკის საინვესტიციო ბანკების განკარგულებაში აღმოჩნდა დიდი ფულადი სახსრები, რომელთა გასაღებისთვისაც მომგებიანი ბაზარი უნდა ეპოვათ. დიდი დეპრესიით გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობა და 1970-იან წლებში საინვესტიციო კაპიტალიდან მოგების დაბალი მაჩვენებელი აშშ-ს საშინაო მდგომარეობას არც ისე სახარბიელოს ხდიდა, განსხვავებით საგარეო შესაძლებლობებისგან. ამ შემთხვევაში, ყველაზე უსაფრთხო პარტნიორებად მოიაზრებოდნენ მთავრობები, ვინაიდან, როგორც უოლტერ ურისტონმა, „სითბანკის“ ხელმძღვანელმა აღნიშნა, „მთავრობები არც მიდიან და არც ქრებიან“. და მართლაც, განვითარებადი ქვეყნების მთავრობები, რომელთაც აქამდე სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდათ ფულადი სახსრები, ახლა მზად იყვნენ სესხი აეღოთ. ცხადია, ამისთვის სესხის გაცემის უსაფრთხო და გონივრული პირობები იყო საჭირო. ნიუ-იორკის საინვესტიციო ბანკებმა აშშ-ის იმპერიალისტური პოლიტიკის ტრადიციებს მიმართეს, რაც გულისხმობდა ახალი საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნას და ასევე, საგარეო ოპერაციების დაცვას.

აშშ-ს იმპერიალისტური ტრადიცია დიდი ხნით აღრე ჩამოყალიბდა და დიდწილად ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და სხვა ევროპული ქვეყნების იმპერიალისტური ტრადიციებისგან განსხვავე-

²¹ L. Alvarez, 'Britain Says U.S. Planned to Seize Oil in '73 Crisis', New York Times, 4 Jan. 2004, A6. საულის არაბეთთან მოლაპარაკების შესახებ შეგიძლიათ ნახოთ P. Gowan, The Global Gamble: Washington's Faustian Bid for World Dominance (London: Verso, 1999), 20.

ბული იყო.²² მიხედვად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს აშშ ჩართული იყო კოლონიურ ბრძოლაში, მე-20 საუკუნეში მან განავითარა უფრო ღია იმპერიალისტური სისტემა კოლონიების გარეშე. ეს პარადიგმული შემთხვევა გვხვდება ნიკარაგუაში 1920-იან და 30-იან წლებში, სადაც ამერიკის ინტერესების დამცველი ფლოტები რთული და ხანგრძლივი პარტიზანული ამბოხის შემსწრენი გახდნენ, რომელსაც სანდინო ედგა სათავეში. ამის პასუხად, ამერიკამ ადგილობრივ დონეზე ძლიერი და გავლენიანი ადამიანი იპოვა (ამ შემთხვევაში ასეთი სონომოზა იყო) და მისთვის და მისი ოჯახისთვის ეკონომიკური და სამხედრო დახმარების განწევა დაიწყო, ისევე როგორც ოპოზიციის მოსასყიდად და რეპრესიებისთვის პირდაპირი მოკავშირეების მოძიება. ამის სანაცვლოდ, ქვეყანა ყოველთვის ღია იყო აშშ-ს ცენტრალური ხელისუფლების ოპერაციებისთვის და მხარდაჭერისთვის, აშშ-ს ინტერესების გატარებისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ზოგადად, რეგიონში (ნიკარაგუას შემთხვევაში, ცენტრალურ ამერიკაში). მსგავსი მიდგომები განსაკუთრებით გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გლობალური დეკოლონიზაციის ფაზაში. მაგალითად, ამერიკის სადაზვერვო სააგენტოს მიერ 1953 წელს დაგეგმილმა გადატრიალებამ ირანში დაამხო დემოკრატიულად არჩეული მოსადეყის მთავრობა და მმართველად ირანის შაჰი დაინიშნა, რომელმაც ნავთობთან დაკავშირებული ურთიერთობები ამერიკულ კომპანიებთან დაამყარა (და არ დაუბრუნა აქტივები ბრიტანულ კომპანიებს, რომელთა ნაციონალიზაციაც მოსადეყმა

²² D. Harvey, *The New Imperialism* (Oxford: Oxford University Press, 2003); N. Smith, *American Empire, Roosevelt's Geographer and the Prelude to Globalization* (Berkeley: University of California Press, 2003); N. Smith, *The Endgame of Globalization* (New York: Routledge, 2005).

მოახდინა). შაჰი, ამასთანავე, იქცა ახლო აღმოსავლეთში, ნავთობით ძლიერ რეგიონში, აშშ-ს ინტერესების მთავარ გამტარად.

ომის შემდგომ, არაკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობა ღია იყო ამგვარი ტაქტიკის დახმარებით ამერიკის დომინაციისთვის. ეს მეთოდი იქცა საბჭოთა საფრთხეებთან და რევოლუციასთან ბრძოლის მექანიზმად, რასაც მოჰყვა ამერიკის მხრიდან ანტი-დემოკრატიული (უფრო კონკრეტულად კი, ანტი-სოციალისტური და ანტისოციალისტური/ კომუნისტური) სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, რამაც ქვეყანა სულ უფრო ჩაითრია ალიანსში სამხედრო დიქტატურებთან და ავტორიტარულ რეჟიმებთან (ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ლათინური ამერიკა). ჯონ პერკინსი თავის წიგნში „ეკონომიკური განვითარების აღსარება“ დაუფარავად, უსიამოვნო დეტალებით გაჭერებული ისტორიების მეშვეობით მოგვითხრობს, თუ რამდენად ხშირად მიმართავდა აშშ ამგვარ საშუალებებს. ადგილობრივ მმართველ ელიტებთან შეთანხმებული მოქმედების მიღწევა ადვილი იყო, ხოლო ოპოზიციური ან სოციალ-დემოკრატიული მოძრაობების (როგორც იყო ალიენდეს მოძრაობა ჩილეში) იძულების გზით გადმობირების მცდელობებმა აშშ-ს მთელი მსოფლიოს მასშტაბით პოპულარული მოძრაობების წინააღმდეგ ფარული ძალადობის მრავალწლიანი ისტორია შეუქმნა.

სწორედ ამ კონტექსტში ხდებოდა ნიუ-იორკის საინვესტიციო ბანკებში არსებული ჭარბი თანხების მიმოცვლა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 1973 წლამდე ევროპასა და ლათინურ ამერიკაში აშშ-ს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი წილი ძირითადად ნედლი მასალის (ნავთობი, მინერალები, სოფლის მეურნეობის პროდუქცია) ექსპლუატაციასა და სპეციფიკური ბაზრების (ტელეკომუნიკაციები,

ავტომობილები, ა.შ) ჩამოყალიბებაზე მოდიოდა. ნიუ-იორკის საინვესტიციო ბანკები აქამდეც საკმაოდ აქტიურები იყვნენ საერთაშორისო ასპარეზზე, თუმცა 1973 წლიდან კიდევ უფრო მეტად გააქტიურდნენ და ძირითადად სხვა ქვეყნის მთავრობებისთვის სესხის გაცემაზე კონცენტრირდნენ. ამისთვის კი, საჭირო იყო საერთაშორისო საკრედიტო და ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია, რისი მხარდაჭერაც ამერიკის მთავრობამ საერთაშორისო დონეზე 1970-იანი წლებიდან დაიწყო. ფინანსურ რესურსებს მონყურებული განვითარებადი ქვეყნები წაქეზებულები იყვნენ აეღოთ დიდი თანხები ვალად ნიუ-იორკელი ბანკირებისთვის ხელსაყრელი საპროცენტო განაკვეთით.²³ ვინაიდან ვალი აშშ დოლარში ფიქსირდებოდა, ნებისმიერ მცირედ და მითუმეტეს, მნიშვნელოვან ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში მონყვლადი ქვეყნების გადახდის უუნარობა შეეძლო გამოეწვია, რითაც ნიუ-იორკის საინვესტიციო ბანკები სერიოზულ დანაკარგს განიცდიდნენ.

პირველი შემთხვევა ვოლკერის შოკის შემდგომ მოხდა, რამაც 1982-4 წლებში მექსიკის გადამხდელუნარიანობა შეიწირა. რეიგანის ადმინისტრაციამ, რომელიც მმართველობის პირველ წელს სერიოზულად ფიქრობდა სავალუტო ფონდისთვის დაფინანსების შეწყვეტას, ამ კრიზისიდან გამოსასვლელად მექსიკას ხელახალი სესხის აღება შესთავაზა, რაც აშშ-ს ფინანსთა სამინისტროსა და სავალუტო ფონდის გაერთიანებული ძალებით გახდა შესაძლებელი. თუმცა ეს ყველაფერი სანაცვლოდ ნეოლიბერალური რეფორმების გატარების მოითხოვდა. პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა დროთა განმავლო-


²³ 1980-იანი წლების ბევრი სავალუო კრიზისი აღწერილია წიგნში Gowan, The Global Gamble.

ბაში სტანდარტად იქცა, რასაც სტიგლიცმა 1982 წელს სავალუტო ფონდის ყოველგვარი კეინსიანური გავლენისგან „წმენდა“ უწოდა. ამ დროიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი იქცნენ „თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტალიზმისა“ და ორთოდოქსული ნეოლიბერალიზმის იდეების მთავარ გამტარებლებად და გამავრცელებლებად. ვალების გადავადების სანაცვლოდ, ვალის მქონე ქვეყნებს მოეთხოვებოდათ ისეთი ინსტიტუციური რეფორმების გატარება, როგორებიცაა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების შემცირება, მოქნილი შრომითი ბაზრის კანონები და პრივატიზაცია. მექსიკა ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელშიც საფუძველი ჩაეყარა იმგვარ პოლიტიკას, რომელიც შემდგომ ნეოლიბერალური სახელმწიფოს მოდელად იქცა მთელს მსოფლიოში.²⁴


მექსიკის შემთხვევამ აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავება ლიბერალურ და ნეოლიბერალურ პრაქტიკებს შორის: პირველ შემთხვევაში, გამსესხებლები არასწორი ინვესტიციის შედეგად ზარალს თავადაც ნახულობენ, ხოლო მეორე შემთხვევაში, მსესხებლები ვალდებულები არიან სახელმწიფოსა და საერთაშორისო ინსტიტუციების წინაშე წინაშე, რომ ვალი დაფარონ იმის მიუხედავად, თუ როგორ აისახება ეს ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო გარემოსა და კეთილდღეობაზე. ეს ხდება მაშინაც კი, თუ ფულის გადაუდებელი საჭიროების გამო, გარდაუვალი ხდება გარიგების ფასად აქტივების გადაბარება უცხოური კომპანიებისთვის. ეს კი, როგორც აღმოჩნდა, არ შეესაბამება ნეოლიბერალურ თეორიას. შედეგად, როგორც უერარ დუმენილი და დომინიკ ლევი მიიჩნევენ, 1980-იან და 1990-იან წლებში აშშ-ში კაპიტალის მფლობელებს საშუალება მიეცათ

²⁴ J. Stiglitz, *Globalization and its Discontents* (New York: Norton, 2002).

უკუდგების მაღალი მაჩვენებლები მიეღოთ დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებიდან (გრაფიკები 1.8 და 1.9).²⁵



გრაფიკი 1.8 ჭარბნამატი უცხოეთიდან: მოგების პროცენტი ადგილობრივი და უცხოური საინვესტიციო კაპიტალიდან
 წყარო: Duménil and Lévy, 'The Economics of US Imperialism'



გრაფიკი 1.9 სავალო თანხების შემოდინება აშშ-ში: მოგება და კაპიტალის შემოსავალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შიდა მოგებასთან შეფარდებით
 წყარო: Duménil and Lévy, 'Neoliberal Dynamics: Towards A New Phase?'

²⁵ G. Duménil and D. Lévy, 'The Economics of U.S. Imperialism at the Turn of the 21st Century', Review of International Political Economy, 11/ 4 (2004), 657–76.

მაღალი კლასისა და ეკონომიკური ელიტების ძალაუფლების აღდგენა ამერიკასა და სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდწილად განპირობებული იყო ჭარბნამატი თანხებით, რომლებსაც დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნებიდან საერთაშორისო ფულადი მიმოცვლისა და სტრუქტურული რეგულირების პოლიტიკის გზით იღებდნენ.

კლასობრივი ძალაუფლების მნიშვნელობა

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რა იგულისხმება აქ სიტყვაში „კლასი“, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანი და ბევრის აზრით, საკამათო კონცეპტაც კია. ნებისმიერ შემთხვევაში, ნეოლიბერალიზაციამ მისი ხელახალი განსაზღვრის საჭიროება შემოიტანა, რაც გარკვეული პრობლემის წინაშე გვაყენებს. თუ ნეოლიბერალიზაცია კლასობრივი ძალაუფლების აღდგენის იარაღია, მაშინ უნდა შეგვეძლოს კონკრეტული კლასობრივი ინტერესების ამოცნობა და იმის განსაზღვრა, თუ ვინ ღებულობს სარგებელს ამ პროცესიდან. მაგრამ ამის გაკეთება რთულია, როდესაც „კლასი“ სტაბილურ სოციალურ კონსტრუქტს არ წამოადგენს. რიგ შემთხვევებში, „ტრადიციულმა“ ფენებმა ძლიერი ძალაუფლებრივი საფუძვლის შექმნა და შენარჩუნება ოჯახისა და ნათესაობის გზით შესძლეს. მაგრამ, სხვა შემთხვევებში ნეოლიბერალიზაციას თან ახლდა მაღალი კლასის მაკონსტრუირებელი თავისებურებების ხელახალი მოხელთების საჭიროება. მაგალითად, თავისი მმართველობის პერიოდში მარგარეტ ტეტჩერი თავს ესხმოდა კლასობრივი ძალაუფლების ზოგიერთ

დამკვიდრებულ ფორმას. იგი ეწინააღმდეგებოდა იმდროინდელი ლონდონის სამხედრო, სასამართლო და ფინანსურ ელიტაში გაბატონებულ არისტოკრატიულ ტრადიციას და მეტწილად მხარს უჭერდა გამბედავ, ახლად გამდიდრებული მენარმეებს, რომელთა შორისაც იმხანად იყვნენ რიჩარდ ბრენსონი, ლორდ ჰანსონი და ჯორჯ სოროსი. ამგვარი ქმედებებით იგი შემფოთებას იწვევდა საკუთარი კონსერვატიული პარტიის ტრადიციულ ფრთაში. ფინანსისტებისა და დიდი კორპორაციების დირექტორების მზარდმა ძალაუფლებამ და გავლენამ, სრულიად ახალი სექტორების (როგორცაა კომპიუტერული მეცნიერებები და ინტერნეტი, მედია და საცალო ვაჭრობა) საქმიანობის უცაბედ აფეთქებასთან ერთად, ძლიერ შეეცვალა მაღალი კლასების ეკონომიკური მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ ნეოლიბერალიზაცია კლასობრივი ძალაუფლების აღდგენას გულისხმობდა, ეს სულაც არ ნიშნავდა ძალაუფლების აღდგენას იმავე ხალხისათვის, რომელსაც იგი მანამდე ეკუთვნოდა.

მაგრამ როგორც აშშ-სა და ბრიტანეთის კონტრასტული მაგალითები გვიჩვენებს, „კლასი“ სხვადასხვა გეოგრაფიულ მოცემულობებში განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია და ზოგიერთ, მაგალითად აშშ-ს, შემთხვევაში საერთოდაც მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს. პარალელურად, კლასობრივი იდენტობის ჩამოყალიბებისა და გარდაქმნის მნიშვნელოვანი პროცესები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში მიმდინარეობდა. მაგალითად, ინდოეთში, მალაიზიასა და ფილიპინებზე ეკონომიკური ძალაუფლება მკაცრად იყო კონცენტრირებული რამდენიმე, ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი ჩინელის ხელში და ძალაუფლების მოპოვების გზებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ავსტრალიასა და აშშ-ში არსებული გზებისგან,

სადაც ისინი გადაჯაჭვული იყო სავაჭრო საქმიანობასა და ბაზრებზე გავლენის ქონასთან.²⁶ აქვე უნდა ვახსენოთ რუსეთში შვიდი ოლიგარქის გამოჩენაც, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებულმა განსაკუთრებულმა გარემოებებმა გამოიწვია.

ასეთი განსხვავებების მიუხედავად, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ზოგად ტენდენციებზე კლასობრივ მიმართებასთან დაკავშირებით. პირველ ასეთი ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალისტური სანარმოებში მანამდე დაყოფილი საკუთრებისა და განკარგვის პრივილეგიების გაერთიანება აღმასრულებელი დირექტორებისთვის (მენეჯერებისთვის) აქციების მიყიდვით (მფლობელობაში გადაცემით). ეკონომიკური საქმიანობის წარმმართველ ძალად წარმოების მაგივრად საფონდო ღირებულებები იქცა. როგორც შემდგომ „ენრონის“ მსგავსი კომპანიების დახურვამ აჩვენა, ამით გამოწვეული სპეკულაციები შესაძლოა დაუძლეველი გამხდარიყო. მეორე ტენდენციას წარმოადგენდა ისტორიული განსხვავების შემცირება ფინანსური კაპიტალის მომტან დივიდენდებს და პროცენტებსა და წარმოებას ან/და სავაჭრო კაპიტალს შორის, რომელიც მოგების მიღწევას სხვისი დახმარებით ცდილობდა. ამგვარი დაყოფა სხვადასხვა დროს წარსულში წარმოშობდა კონფლიქტებს ფინანსისტებს, მწარმოებლებსა და ვაჭრებს შორის. მაგალითად, 1960-იანი წლების ბრიტანეთის სამთავრობო პოლიტიკა ითვალისწინებდა ლონდონის ფინანსისტთა მოთხოვნებს, რომლებიც ხშირად ზიანის მომტანი იყო მწარმეებისთვის, რაც კონფლიქტის საფუძველი ხდებოდა. იმავე წლებში ხშირი იყო დაპირისპირებები აშშ-შიც. 1970-იან წლებში ამ

²⁶ მაგალითებისთვის იხილეთ: A. Chua, *World on Fire: How Exporting Free Market Democracy Breeds Ethnic Hatred and Global Instability* (New York: Doubleday, 2003).

კონფლიქტების უმრავლესობა გაქრა ან ფორმა იცვალა. დიდი კორპორაციები სულ უფრო მეტად გახდნენ ორიენტირებულნი ფინანსებზე, მაშინაც კი, როდესაც მათი საქმიანობა წარმოებასაც მოიცავდა, როგორც მაგალითად საავტომობილო სექტორი. 1980-იანი წლებიდან კორპორაციებისთვის დამახასიათებელი გახდა წარმოების შემცირება, რაც კომპენსირდებოდა ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული სარგებლით (იგულისხმება ყველაფერი, დაწყებული საკრედიტო და სადაზღვეო ოპერაციებით, დამთავრებული სამომავლო ბაზრებითა და მერყევი სავალუტო სპეკულაციებით). წარმოების, ვაჭრობის, უძრავი ქონებისა და ფინანსური ინტერესების გაერთიანებით, სხვადასხვა სექტორებში არსებულმა კორპორაციებმა დივერსიფიცირებული კონგლომერატების შექმნა დაიწყეს. „US Steel“-მა სადაზღვევო აქციების ყიდვის პარალელურად, თავისი სახელწოდებას შეცვალა და „USX“-ად იქცა. კითხვაზე, თუ რას ნიშნავდა აბრევიატურაში ასო X, საბჭოს თავჯდომარემ, ჯიმს როდერიკმა მარტივი პასუხი გასცა - ფულს.²⁷

ეს ყველაფერი დაკავშირებული იყო ფინანსურ სექტორში აქტივობისა და ძალაუფლების მოულოდნელ ზრდასთან. მანამდე არსებული შემლუღვებისა და ბარიერებისგან გათავისუფლება ფართოდ უხსნიდა გზას ფინანსურ სექტორში აქტივობის ჯერ არნახულ ტემპებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ინოვაციების ტალღამ მოიცვა ფინანსური მომსახურების სფეროც, რომელიც უფრო დახვეწილი გლობალური ურთიერთკავშირების გარდა, ქმნიდა ახალი ტიპის - სექიურიტიზაციასა და წარმოებულზე დამოკიდებულ ფინანსური ბაზრებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ნეოლიბერალიზაცია თავის თავში გულისხ-

²⁷ Cited in Harvey, Condition of Postmodernity, 158.

მობდა ყველაფრის ფინანსიალიზაციას. ამან კი გააძლიერა ფინანსების გავლენა ეკონომიკაზე, ისევე როგორც სახელმწიფო აპარატსა, და როგორც რენდი მარტინი აღნიშნავს, ყოველდღიურ ცხოვრებაზეც.²⁸ ასევე, შემოიტანა არასტაბილურობა გლობალურ გაცვლით ურთიერთობებშიც. ძალაუფლების კომპასის მიმართულების ცვლა წარმოებიდან ფინანსთა სამყაროსკენ უდავო იყო. წარმოებიდან მიღებული მოგება, ფინანსური სერვისების გაძლიერებისგან განსხვავებით, უკვე აღარ ნიშნავდა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის აუცილებელ ზრდას. სწორედ ამიტომ, ნეოლიბერალური ქვეყნების (როგორებიცაა მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები, რომლებიც ცნობილია G7-ის სახელწოდებით) მთავარ საზრუნავად ფინანსური ინსტიტუციების მხარდაჭერა და ფინანსური სისტემის ერთიანობა იქცა. „მეინ სტრატისა“ და „უოლ სტრატის“ შორის არსებულ კონფლიქტში უპირატესობა „უოლ სტრატის“ მხარეს გადაიხარა, რამაც შემდგომ წარმოშვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ, თუ „უოლ სტრატის“ საქმეები კარგად მიდის, ამერიკის სხვა ნაწილი (ისევე, როგორც დანარჩენი მსოფლიო), არც ისე კარგ დღეშია და რამდენიმე წლის მანძილზე, 1990-ან წლებში, მოვლენები სწორედ ასე ვითარდებოდა. 1960-იანი წლებიდან არსებული სლოგანი „რაც კარგია „ჯენერალ მოტორ-სისთვის“, კარგია ამერიკისთვის“ 1990-იან წლებში გარდაიქმნა სლოგანად „მხოლოდ იმას აქვს მნიშვნელობა, რაც „უოლ სტრატისთვის“ არის კარგი“.

ნეოლიბერალიზმის დროს კლასობრივი ძალაუფლების ზრდის მთავარ ბირთვად აღმასრულებელი დირექტორები გვევლინებიან,

²⁸ R. Martin, *The Financialization of Daily Life* (Philadelphia: Temple University Press, 2002).

კორპორატიული საბჭოს ცენტრალური ფიგურები თუ ფინანსური, იურიდიული და ტექნიკური განყოფილებების უფროსები, რომელთა საქმეც კაპიტალისტური საქმიანობის მფარველობაა. კომპანიის პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხმის უფლების მინიჭების მოპოვებამდე, კაპიტალის რეალური მფლობელების, აქციონერების ძალაუფლება უმეტესწილად შეზღუდული იყო. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა აღმასრულებელი დირექტორებისა და მათი მრჩეველების ფინანსური ოპერაციების გამო აქციონერები თაღლითობის მსხვერპლებიც კი გამხდარან და მილიონობით ზარალი უნახავთ. სპეკულატიური შემოსავლების საშუალებით კი, ღროის ძალიან მცირე მონაკვეთში შესაძლებელი გახდა დიდი თანხების აკუმულაცია (ამის მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ უორენ ბაფეტი და ჯორჯ სოროსი).

თუმცა არ იქნებოდა უპრიანი მაღალი კლასი მხოლოდ ამ ადამიანთა ჯგუფით შემოფარგლოთ. სამენარმეო შესაძლებლობებმა, ისევე როგორც სავაჭრო ურთიერთობებში გამოჩენილმა ახლებურმა სტრუქტურებმა, გზა გაუხსნეს კლასობრივი ფორმაციის სრულიად ახალ პროცესებს. სხვადასხვა ადამიანებმა, მაგალითად, ბილ გეთსმა და პოლ ალენმა, მალევე შეძლეს წარმატების მიღწევა ეკონომიკის ახალ სექტორებში, როგორებიცაა ინფორმაციული და ბიოტექნოლოგიები. ახალმა ბაზარმა შესაძლებელი გახდა შეიძინო იაფად და გაყიდო ძვირად. მეტიც, რეალური გახდა ბაზარზე იმგვარი მონოპოლიის შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მოგების მიღება როგორც კომპანიის ჰორიზონტალური გაფართოებით (რუპერტ მარდოკის გლობალური მედიის იმპერია), ისე მისი დივერსიფიკაციით სხვადასხვა სფეროებში, როგორებიცაა რესურსე-

ბის მოპოვება და წარმოება, ისევე, როგორც სავაჭრო ბაზისიდან ფინანსურ სერვისებზე, უძრავი ქონების განვითარებასა და საცალო ვაჭრობაზე გადასვლა. ამ პროცესში ხშირად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოსთან პრივილეგირებული ურთიერთობის ქონაც. მაგალითად, ორი ბიზნესმენი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ინდონეზიის პრეზიდენტ სუჰატოსთან, მაქსიმალური გამდიდრების მიზნით იძულებული იყო სუჰატოს ოჯახის ფინანსურ ინტერესებთან ერთად, სახელმწიფო აპარატის ფინანსებზეც ეზრუნა. შედეგად, 1997 წლისთვის, ერთ-ერთი მათგანი, „სალიმ გრუფი“ იქცა ჩინეთის მფლობელობაში მყოფ მსოფლიოში ყველაზე დიდ კონგლომერატად, \$20-მილიარდიანი აქტივებითა და დაახლოებით 500-მდე კომპანიით. კარლოს სლიმმა შედარებით მცირე ინვესტიციებით წამოწყებული კომპანიით მექსიკაში ახლადპრივატიზირებულ სატელეკომუნიკაციო სისტემაზე სრული კონტროლი მოიპოვა და მალევე აქცია მსხვილ კორპორაციად, რომელიც აკონტროლებდა არა მხოლოდ მექსიკის ეკონომიკის უდიდეს ნაწილს, არამედ ძლიერი ინტერესები ჰქონდა ამერიკისა („Circuit City“ და „Barnes and Noble“) და სრულიად ლათინური ამერიკის საცალო ვაჭრობაში. ამერიკაში უოლტონის კომპანია მას შემდეგ გამდიდრდა, რაც ჰიპერმარკეტების ქსელი „ვალ-მარტმა“ ამერიკაში მზარდი პოპულარობა და ბაზრის უდიდესი წილი მოიპოვა, რაც შესაძლებელი გახდა ჩინური საწარმოო ხაზებისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით საცალო მაღაზიებში ინტეგრაციის მეშვეობით. იმასთან ერთად, რომ ამ ტიპის საწმინაობა აშკარა გავლენას ახდენს ფინანსთა სამყაროზე, პირადი კაპიტალის დაგროვების პარალელურად, ეკონომიკის დიდ სექტორებზე ძალაუფლების ქონა, ერთეულ პირებს ანიჭებს უზარმაზარ ეკონომიკურ

შესაძლებლობას გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე. საოცრების ტოლფასია იმის წარმოდგენა, რომ 1996 წელს მსოფლიოს 358 უმდიდრესი ადამიანის ფინანსები უტოლდებოდა მსოფლიოს მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 45%-ის ერთობლივ შემოსავალს. მეტიც, „1998 წლისთვის მსოფლიოს უმდიდრესმა 200-მა ადამიანმა მინიმუმ გააორმაგა თავისი ფინანსები, დაახლოებით \$1 ტრილიონამდე. იმ დროისთვის სამი მილიარდერის აქტივებმა ჯამში გადააჭარბა ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა და მათი 600 მილიონიანი მოსახლეობის მეპ-ს“.²⁹ კლასობრივი ურთიერთობების ამ რადიკალურ კონფიგურაციაში სამომავლოდ გასათვალისწინებელია ერთი საკითხი, რომელიც ხშირად ხდება განხილვის საგანი - უნდა ჩაითვალოს თუ არა ეს ახლებური კლასობრივი კონფიგურაცია ტრანსნაციონალურად, თუ იგი ექსკლუზიურად კონკრეტული ერი-სახელმწიფოს ლიმიტების ფარგლებში მოიაზრება.³⁰ ჩემი აზრით, ისტორიულად, წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სადღაც, ოდესმე, მმართველ კლასს თავისი მოქმედების არეალი კონკრეტული სახელმწიფოს სასიკეთოდ შეუზღუდავს, გადაჭარბებულია. კაპიტალისტური კლასზე საუბრისას არასდროს ჰქონია აზრი გამორჩეულად გვესაუბრა ამერიკის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა, თუ კორეის კაპიტალისტურ კლასზე. საერთაშორისო ურთიერთობები და კავშირები ყოველთვის დიდ როლს

²⁹ United Nations Development Program, Human Development Report, 1996 (New York: Oxford University Press, 1996), 2, and United Nations Development Program, Human Development Report, 1999, 3.

³⁰ W. Robinson, A Theory of Global Capitalism: Production, Class, and State in a Transnational World (Baltimore: Johns Hopkins University Press, 2004), makes an outstanding case for this argument.

თამაშობდა, განსაკუთრებით, კოლონიური და ნეოკოლონიური საქმიანობის, ისევე, როგორც ტრანსნაციონალური კავშირების გზით, რომლებიც ფესვებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იღებს. თუმცა, ცხადია, ნეოლიბერალური გლობალიზაციის პირობებში ეს ტრანსნაციონალური კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდა და მნიშვნელოვანი გახდა ამ კავშირების აღიარებაც. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ კლასის წარმომადგენლები საკუთარ თავს კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფო აპარატს არ უკავშირებდნენ და მათგან სარგებელსა და კონკრეტულ გარანტიებს არ ელოდნენ. საყურადღებო სწორედ ისაა, თუ სად უკავშირებდნენ ისინი საკუთარ თავს სახელმწიფო აპარატს, ვინაიდან ეს სულაც არ იყო დამოკიდებული იმ კაპიტალისტური საქმიანობის მდგომარეობასთან. რუპერტ მარდოკს შეეძლო საქმიანობა დაეწყო ავსტალიაში, მოგვიანებით გაეგრძელებინა დიდ ბრიტანეთში, შემდგომ კი, დაჩქარებული წესით, უარი ეთქვა მოქალაქეობაზე და ამერიკაში დაფუძნებულიყო. იგი არ არის დაახლოებული კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფო ძალაუფლებასთან, თუმცა, ამავე დროს, თავისი მედია ინტერესებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ბრიტანეთის, ისე აშშ-სა და ავსტრალიის პოლიტიკაზე. მსოფლიოს მასშტაბით მისი 247 გაზეთის ყველა, ვითომდა დამოუკიდებელმა რედაქტორმა, მხარი დაუჭირა აშშ-ის შეჭრას ერაყში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აშშ-ის, ბრიტანეთის, თუ კორეის კაპიტალისტურ კლასობრივ ინტერესებზე ლაპარაკს მაინც აქვს აზრი, ვინაიდან მერდოკისა თუ კარლოს სლიმის მსგავსი წარმონაქმნების კორპორატიული ინტერესები კვებავს კონკრეტულ სახელმწიფო აპარატებს. ამასთანავე, თითოეულს შეუძლია კლასობ-

რივი ძალაუფლების ქონა ერთდროულად ერთზე მეტ ქვეყანაში, რის მაგალითსაც ხშირად ვაწყდებით.

არ არის აუცილებელი კორპორატიულ, სავაჭრო და დეველოპერულ სამყაროში ჩართული ეს განსხვავებული ინდივიდუალური ჯგუფები შეთანხმებულად მოქმედებდნენ ისე, როგორც კლასი. მათ შორის ხშირია დაძაბულობებიც, თუმცა, ამის მიუხედავად, მათი ინტერესები ყოველთვის გარკვეულ შესაბამისობაშია ნეოლიბერალიზაციისაგან მიღებულ პრივილეგიებთან (და ახლა უკვე საფრთხეებთანაც). ამასთანავე, „დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ მსგავსი ორგანიზაციების საშუალებით, მათ ქვეყნების ლიდერებთან იდეებისა და რჩევების გაცვლისთვის საჭირო სივრცეც აქვთ. ისინი უდიდეს გავლენას ახდენენ საერთაშორისო პროცესებზე და ამასთანავე, ფლობენ მოქმედების თავისუფლებას, რომელსაც არ გააჩნია არცერთ რიგით მოქალაქეს.

თავისუფლების პერსპექტივა

ნეოლიბერალიზაციისა და კლასობრივი ფორმირების ისტორია, ისევე როგორც მონ პელერინის საზოგადოების იდეების იმ პერიოდის მმართველ იდეებად ქცევა, საინტერესოდ შეიძლება განვიხილოთ იმ კონტრარგუმენტების ფონზე, რომლებიც საზოგადოების შექმნამდე ცოტა ხნით ადრე, 1944 წელს კარლ პოლანიმ ჩამოაყალიბა. იგი აღნიშნავდა, რომ კოპლექსურ საზოგადოებაში, თავისუფლების მნიშვნელობა შეიძლება გახდეს ისეთივე წინააღმდეგობრივი და სახიფათო, როგორც მისი გამონწვევი ფაქტორები - დაუძლეველი.

მისი აზრით, არსებობს ორი სახის - „კარგი“ და „ცუდი“ თავისუფლება. „ცუდი“ თავისუფლებას იგი ამგვარად განმარტავს: „თავისუფლება სხვისი თანადგომა საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენო ან ნახო უზარმაზარი ფინანსური მოგება საზოგადოებისთვის შესაბამისი შრომის განწვევის გარეშე; თავისუფლება არ დაუშვა ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება საჯარო სიკეთისთვის, ან ისარგებლო პირადი გამორჩენის მიზნით ხელოვნურად შექმნილი სახალხო უბედურებებით“. თუმცა ამასთანავე, პოლანი აღნიშნავს რომ „საბაზრო ეკონომიკამ, რომელმაც შექმნა ამ ტიპის თავისუფლებები, ასევე გვიბოძა ის თავისუფლებები, რომლებსაც ასე ვაფასებთ - სინდისის, სიტყვის, შეკრების, გაერთიანების, სამსახურის არჩევის თავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეიძლება ამ თავისუფლებებს თავის-თავად ვაფასებდეთ, როგორც ამას, სავარაუდოდ, უმრავლესობა აღიქვამს, თუმცა ისინი დიდწილად იმავე ეკონომიკის შედეგია, რომელიც პასუხისმგებელია „ცუდი“ თავისუფლებებზე.³¹ პოლანის პასუხი ამ დუალიზმზე, დღევანდელი ნეოლიბერალური აზროვნების ჰეგემონიის პირობებში, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს:

„საბაზრო ეკონომიკის შეცვლა შეიძლება იქცეს აქამდე არნახული თავისუფლების ეპოქის დასაწყისად. უფლებრივი და რეალური თავისუფლების ცნება შეიძლება უფრო გაფართოვდეს და ზოგადი ხასიათი შეიძინოს, ხოლო რეგულაციებისა და კონტროლის მეშვეობით, თავისუფლების მიღწევა შეეძლებათ არა მხოლოდ ერთეულებს, არამედ ყველას. თავისუფლება იქცევა არა დასაწყისშივე დაბინძურებულ კუთვნილებად მხოლოდ პრივილეგირებულთათვის, არამედ სამართალზე დაფუძნებულ უფლებად, რომელიც გასცდება

³¹ K. Polanyi, *The Great Transformation* (Boston: Beacon Press, 1954 edn.).

ვინრო პოლიტიკურ საზღვრებს და საზოგადოების ფორმირების პროცესში მიიღებს მონაწილეობას. ამგვარად ძველი თავისუფლებები და სამოქალაქო უფლებები დაემატება ახალ თავისუფლებათა ფონდს, რომელიც დაფუძნებული იქნება თავისუფალ დროსა და უსაფრთხო გარემოს გარანტიებზე, რომელთაც ინდუსტრიული საზოგადოება ყველას სთავაზობს. მხოლოდ ასეთ საზოგადოებას შეუძლია იყოს ერთდროულად თავისუფალი და სამართლიანი”.

სამწუხაროდ, პოლანი აღნიშნავს იმასაც, რომ ასეთი მომავლისკენ მიმავალ გზას ლიბერალური უტოპიზმის „მორალური დაბრკოლებები“ გვიხერგავს (და იგი არაერთხელ ციტირებს ჰაიეკს, როგორც ამ ტრადიციის ნიმუშს):

„დაგვემარებასა და კონტროლის მექანიზმებს თავს ესხმიან თავისუფლების უარყოფის ბრალდებით; თავისუფალი საწარმოები და პირადი საკუთრება თავისუფლების საფუძვლად გამოაცხადეს. სხვა ფუნდამენტზე დაფუძნებული არცერთი საზოგადოება არ იმსახურებს თავისუფალი საზოგადოების სახელს. თავისუფლებას, რომელიც რეგულირებულ გარემოს მოაქვს, გამობენ როგორც თავისუფლების შემღუფღავს; სამართლიანობა, თავისუფლება და კეთილდღეობა, რომელთაც ის გვთავაზობს, მკაცრადაა გაკრიტიკებული და შენიღბულ მონობად არის გამოცხადებული“.

ამ პირობებში, თავისუფლების არსი გადაგვარდება და „მხოლოდ თავისუფალი საწარმოების ინტერესების დაცვის“ როლს შეასრულებს, რაც ნიშნავს „სრულ თავისუფლებას მათთვის, ვისი შემოსავალი, თავისუფალი დრო და უსაფრთხო გარემო კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება და მხოლოდ ნაგლეჯს თავისუფლებისა იმ ადამიანთათვის, რომლებიც ამაოდ ცდილობენ საკუთარი დემოკრატიული უფლე-

ბების გამოყენებას საკუთრებისა და შესაბამისად, ძალაუფლების მქონე ჯგუფებისგან თავშესაფრის მისაღებად“. მაგრამ თუ, როგორც ეს ყოველთვის ხდება, „ვერ იარსებებს ძალაუფლებისა და იძულებისგან თავისუფალი საზოგადოება, ისევე როგორც სამყარო, რომელშიც ავტორიტეტს ფუნქცია არ აქვს“, ერთადერთი გზა, რითაც ეს ლიბერალური უტოპია შეიძლება განხორციელდეს, არის ძალდატანება, ძალადობა და ავტორიტარიზმი. პოლანის აზრით, ლიბერალური თუ ნეოლიბერალური უპოტიპიზმი განწირულია ავტორიტარიზმისთვის ან სულაც ფაშიზმისთვისაც კი. ასეთ გარემოში „კარგ“ თავისუფლებებს ჩრდილი ადგება და ასპარეზი ეთმობა „ცუდ“ თავისუფლებებს.

პოლანის დასკვნა სრულიად მიესადაგება ჩვენს თანამედროვე მდგომარეობას. თუ საკითხს ამ გადმოსახედიდან შევხედავთ, მშვენივრად მივხვდებით, თუ რას გულისხმობს პრეზიდენტი ბუში, როდესაც ამტკიცებს რომ „როგორც მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ძალას, ჩვენ [აშშ] გვაქვს ვალდებულება ყველანაირი ძალისხმევა ჩავდოთ თავისუფლების გავრცელებაში“. ის გვაძლევს საშუალებას ავხსნათ თუ რატომ გახდა ნეოლიბერალიზმი ასეთი ავტორიტარული, ძალადობრივი და ანტი-დემოკრატიული, იმ მომენტიდან, რაც „კაცობრიობას ხელთ უპყრია შესაძლებლობა, დაგვანახოს თავისუფლების ტრიუმფი მის ყველა საუკუნოვან მტერზე“. ეს გვაიძულებს ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ როგორ სპეკულირებდა არაერთი კომპანია საჯარო სივრცეში საკუთარ ტექნოლოგიებზე უარის თქმითა (მაგალითად, შიდსის სამკურნალო მედიკამენტების შემთხვევაში) და ომით გამოწვეული უბედურებებით (როგორც ეს მოხდა „ჰალიბარტონის“ შემთხვევაში), საყოველთაო შიმშილითა და გარე-

მოსდაცვითი კატასტროფებით. ეს ბუნებრივად ბადებს შფოთსა და კითხვებს იმის შესახებ, ხომ არ არის სამყაროში არსებული მრავალი უბედურება (შეიარაღებული ბრძოლა, ისევე როგორც რეალურ და წარმოსახვით მტრებთან კონფრონტაციის აუცილებლობა) შექმნილი კორპორატიული სარგებლისთვის. ეს ყველაფერი ნათელს ხდის თუ რატომ უჭერენ გარკვეულ უფლებებსა და თავისუფლებებზე დაფუძნებულ კონცეფციებს ასე აქტიურად მხარს სიმდიდრისა და ძალაუფლების მქონე ჯგუფები, რომლებიც, ამასთანავე, ცდილობენ დაგვარწმუნონ თავიანთ უნივერსალურობასა და სიკეთეში. ნეოლიბერალურმა თავისუფლებებმა 30 წლის მანძილზე აღადგინეს ვიწროდ განსაზღვრული კაპიტალისტური კლასის ძალაუფლება და ასევე წარმოქმნეს კორპორატიული ძალაუფლება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ენერჯეტიკა, მედია, ფარმაცია, ტრანსპორტი და საცალო ვაჭრობაც კი (როგორც ეს მოხდა „ვალ-მარტის“ შემთხვევაში). საბაზრო თავისუფლება, რომელსაც ბუმი ადამიანური მისწრაფებების უმაღლეს წერტილად წარმოგვიჩენს, აღმოჩნდება, რომ სხვა არაფერია, თუ არა ხელსაყრელი საშუალება კორპორატიული მონოპოლიური ძალებისა და „კოკა-კოლას“ შეუმღუდავი გავრცელებისათვის. მედიასა და პოლიტიკურ პროცესებზე არათანაზომიერი გავლენით ამ კლასს (რუპერტ მერდოკითა და „ფოქს ნიუსით“ სათავეში) გააჩნია ძალაუფლება და მოტივი დაგვარწმუნოს, რომ ნეოლიბერალური თავისუფლებების ქვეშ ჩვენ, ყველანი ბევრად უკეთ ვიქნებით. როგორც პოლანი აღნიშნავდა, ნეოლიბერალიზმი ანიჭებს უფლებებსა და თავისუფლებებს მათ, „ვისი შემოსავალი, თავისუფალი დროცა და უსაფრთხო გარემოც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას“, ხოლო ჩვენ, საზოგადოების დანარჩენ ნაწილს, მხოლოდ მისი

ნაგლეჯის ანაბარა გვტოვებს. როგორ მოხდა, რომ ჩვენ, „დანარჩენი ნაწილი“, ასე ადვილად, უსიტყვოდ შევეურიგდით ამ მოცემულობას?



კაპიტალისტური ერა

ავტორი: იუერგენ კოჩკა

თარგმნა სანდრო ცხველიანმა.

კაპიტალიზმის, როგორც ცივილიზატორული მისიის მთავარი ღერძის ინტერპრეტაცია, ისევე ნაკლები შანსით შეიძლებოდა გაგრძელებულიყო განმანათლებლობის ეპოქის დასრულების შემდეგ, როგორც ამ ეპოქის ოპტიმიზმი პროგრესთან მიმართებით. კაპიტალიზმის ამგვარი იმედისმომცემი გაგება პრეინდუსტრიული კაპიტალიზმის წიაღიდან წარმოიშვა, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის ინდუსტრიული კაპიტალიზმის აღზევებას ვერ გაუძლო. მეოცე საუკუნის დასაწყისში ისეთ ინტელექტუალებს, როგორებიც იყვნენ ვერნერ ზომბარტი და მაქს ვებერი, კაპიტალიზმის უპირატესი ეკონომიკური რაციონალიზმის მართლაც სწამდათ, თუმცა ცივილიზაციის პროცესში მას განვითარებისა და პროგრესის წამმართველ ძალად არ მიიჩნევდნენ. პირიქით, ისეთი ლიბერალები, როგორიც იყო ვებერი, შიშობდნენ რომ კაპიტალისტური სისტემის წყობა და მისი მიდრეკილება ქველყოფილი ძალადობრივ და ამასთანავე უშინაარსო ერთეულად, საფრთხეს შეუქმნიდა თავისუფლებას, სპონტანურობასა და ფართო გაგებით - კაცობრიობას. კონსერვატორებსა და მემარცხენეებსაც ეშინოდათ კაპიტალიზმის, როგორც შეუჩერებელი ეროზიული ძალის, რომელიც

ჩაანაცვლებდა ტრადიციულ მორალს კონტრაქტებით, თემს – საზოგადოებით და სოციალურ კავშირებს – საბაზრო ხარჯთაღრიცხვებით. სოციალისტური კრიტიკა კიცხავდა კაპიტალიზმში არსებულ ექსპლუატაციას, შრომისადმი გაუცხოებასა და უსამართლობას, და, ამავედროულად, მასში არსებული წინააღმდეგობების შედეგად, მის კოლაფსს პროგნოზირებდა. დღესდღეობით, კაპიტალიზმის მიმართ დამოკიდებულება მიმღებლობასა და მკაცრ კრიტიკას შორის მერყეობს. ბევრი მიიჩნევს, რომ სამომავლო გამონგვევების გადასაჭრელად იგი გამოუსადეგარია. კაპიტალიზმის, როგორც უტოპიის იდეა, სულ მცირე, ევროპის შემთხვევაში მაინც, უკვე მოძველებულია. ამ თავის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ისაა, რომ გაიაზროს ეს ცვლილება და შეფასების პერსპექტივები დასახოს.

ინდუსტრიალიზაციისა და გლობალიზაციის კონტურები 1800 წლიდან დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ განვითარება, რომელიც წინა საუკუნეებში დაიწყო, გარკვეულწილად 1800-2000-იან წლებში გაგრძელდა. აგრარულმა კაპიტალიზმმა ახალი რეგიონები მოიცვა და ამის კვალდაკვალ ფეოდალური წყობა ეტაპობრივად გააქრო. ეს პროცესი, მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ფაქტობრივად, მთელი ევროპის კონტინენტზე მიმდინარეობდა. მეოცე საუკუნეში კი აგრარული კაპიტალიზმი გლობალური მასშტაბით „აგრობიზნესად“ გადაიქცა. იმ მზარდ ურბანიზაციასა და ინოვაციებთან ერთად, რამაც მკვეთრად შეცვალა ვაჭრობა, ტრანსპორტირება და კომუნიკაციები, სავაჭრო კაპიტალიზმმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში; მასობრივი მოხმარების დინამიკურმა ზრდამ, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის განმავლობაში, ხელი შეუწყო ახალი და მაღალი მომგებიანობის მქონე შესაძლებლობების გაჩენას, რამაც თავისმხრივ, ბევრი ადამიანის ყოფა შეცვალა. ფინანსური კაპიტალიზმის გარეშე, ბევრის მიღწევა შეუძლებელი იყო. მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ, იგი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და დიფერენცირდებოდა: დაწყებული ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციებით – ბანკებით, საფონდო ბირჟებითა და სადაზღვევო კომპანიებით – და დამთავრებული საინვესტიციო კომპანიებითა და საზიარო სარგებლობის ფონდებით. სავარაუდოდ, რომ არა მეოცე საუკუნის

ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ფინანსური კაპიტალიზმის გადაჭარბებული ზრდა, 2008 წლის საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი არ მოხდებოდა. მაგრამ, რაც დანამდვილებით გარდამტეხსა და ახალს წარმოადგენდა 1800 წლის შემდგომ, ეს იყო ინდუსტრიალიზაცია, პროცესი, რომელმაც სხვა მოვლენებთან ერთად, საფუძვლიანად შეცვალა კაპიტალიზმი და მას ახალი მნიშვნელობა შესძინა.

ინდუსტრიალიზაცია გულისხმობს კომპლექსურ და ფართო სოციო-ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესს, რომელსაც სათავეში უდგას სამი ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენა: პირველ რიგში ესაა ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ინოვაციები, რაშიც

მოიაზრება მეთვრამეტე საუკუნეში ორთქლის ძრავის განვითარებითა და საფეიქრო მრეწველობის მექანიზაციით დაწყებული და მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში წარმოებისა და კომუნიკაციების დიგიტალიზაციით დასრულებული პროცესები. მეორე მხრივ, ენერჯის ახალი წყაროების (თავდაპირველად, ქვანახშირის, მოგვიანებით – სხვადასხვა წყაროდან მიღებული ელექტროენერჯის, შემდგომში კი ნავთობის, ატომური ენერჯისა და განახლებადი ენერჯების) მასობრივი გამოყენება, რამაც ფუნდამენტურად შეცვალა და საფრთხის ქვეშ დააყენა კაცობრიობის ურთიერთობა ბუნებასთან. მესამე – ქარხნის, როგორც მანუფაქტურული საწარმოს გავრცელება, რომელიც ძველი ამქრული წარმოების სისტემისგან განსხვავებით, ცენტრალიზებული იყო და საამქროსგან განსხვავებით იყენებდა ძრავსა და ჩარხებს. ამ პროცესებმა მკაფიოდ გამოიჩინა სამუშაო ფუნქციები მენეჯმენტსა და შემსრულებელ დასაქმებულებს შორის. მუდმივად დაჩქარებული ინოვაციური პროცესის ადგილი პირველ რიგში, ინდუსტრიული წარმოების სფერო იყო, თუმცა ამ პროცესმა მალევე მოახდინა ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე (კულტივირების ახალი მეთოდები, განაყოფიერება, მექანიზაცია), ტრანსპორტირებაზე (ენერჯისა და ძრავების ახალი ფორმების გამოყენება გადაადგილების ახლებურ სახეობებში რკინიგზითა და გემებით დაწყებული, საჰაერო მიმოსვლითა და თანამედროვე ურთიერთდამოუკიდებელი სატრანსპორტო სისტემით დასრულებული), კომუნიკაციებზე (მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის ტელე-

გრაფებიდან ინტერნეტამდე და ახალ მედიამდე) და ასევე, სხვადასხვა ადმინისტრაციული სერვისის სფეროზე, რომელიც მალე არაპროპორციულად გაიზარდა საყოველთაო შრომის გადანაწილების სულ უფრო მეტად დიფერენცირებულობის გამო. ამ ყველაფერმა გამოიწვია წარმოებისა და შრომის პროდუქტიულობის უპრეცედენტო ზრდა. ადამიანური შრომა უფრო და უფრო იხვეწებოდა, მაგრამ ამავდროულად ხდებოდა ბევრად ინტენსიური და დისციპლინირებული. მიმდინარე პროცესებმა ასევე განაპირობა ეკონომიკური ზრდაც, თუმცა იგი ხორციელდებოდა არათანაბრად და იცვლებოდა ციკლურად. მოსახლეობის ზრდის მიუხედავად, შენარჩუნებული იყო სტაბილურობა ერთ სულ მოსახლეზე. ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს ამპროცესებით გამოიწვეული საცხოვრებელი პირობების ფუნდამენტური გაუმჯობესება, რომელიც ცხადი ხდება რეალურ შემოსავლებზე დაკვირვებით. აღსაღნიშნავია, რომ ეს მოხდა არამყარი სანყისი ფაზის შემდგომ, სადაც დეფიციტი და სიღატაკე უფრო მეტად იყო გაზრდილი. წინსვლა ასევე გამოვლინდა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მატერიალური შესაძლებლობების სახითაც. ამან მოსახლეობას, მათ შორის ფართო მასებს, საშუალება მისცა გაეზიარებინა ის პროგრესი, რომელიც მიმდინარეობდა ჯანდაცვის, სიცოცხლის გახანგრძლივების, მზარდი მოხმარებისა და ყოველდღიური არჩევანის გამრავალფეროვნების მიმართულებით. ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია ყველგან ერთად ვითარდებოდა და ასევე ყველგან იკლებდა მინათმოქმე-

დებამი ჩართული მოსახლეობის წილი. სოფლის მეურნეობის სექტორმა დაკარგა პირველი ადგილი და მის ნაცვლად ინდუსტრიული სექტორი დაწინაურდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, „მესამეულმა სექტორმა“ (განსაკუთრებით ვაჭრობამ და მომსახურებამ) გამოაძევა ის, რასაც დღეს შემცირებულ ინდუსტრიულ სექტორად მოვიხსენიებთ. ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში „პოსტინდუსტრიულ“ ანმყოფე ვილაპარაკოთ.

ინდუსტრიალიზაციას საფუძველი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისში ჩაეყარა. შემდგომ, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ან მეორე მესამედის დასაწყისში, გავრცელდა ევროპის კონტინენტისა და ჩრდილოეთ ამერიკის დიდ ნაწილში. ამას თან ახლდა განმტოებები აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაშიც. იაპონია იყო პირველი აზიური ქვეყანა, რომელმაც განიცადა ინდუსტრიალიზაცია და ეს პროცესი გვიან მე-19 საუკუნეში დაიწყო. მეოცე საუკუნის გვიან ხანებში მას მიჰყვა აზიის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და დაჩქარებული ტემპებით 1980-იან წლებში – ჩინეთი. ინდუსტრიალიზაცია იშვიათად თუ ფარავდა მთლიანი ქვეყნის ტერიტორიას. ეს ხდებოდა მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში. ინდუსტრიალიზაციის პროცესი, ინდუსტრიალიზაციის დროისა და ასევე ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პირობების მიხედვით, მკაფიოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ამ სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიალიზაციის ყველა მოდელს

ერთმანეთზე გავლენა ჰქონდა ურთიერთდაკვირვებისა და ცოდნის ტრანსფერის გზით, ინგლისური, ამერიკული თუ გერმანული მოდელები არასად არ იყო უბრალოდ იმიტირებული. იმის მიუხედავად, რომ ინდუსტრიალიზაცია ეკონომიკური განვითარების მისაღწევ ერთადერთ საშუალებად შეიძლება არ ჩათვალოს, სხვაობა ინდუსტრიული და არაინდუსტრიული რეგიონების ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის საგრძნობლად გაიზარდა ბოლო 200 წლის განმავლობაში როგორც ევროპაში, ასევე – მსოფლიოში. როგორც წესი, რაიმე ფორმის ინდუსტრიალიზაციის ქონა ერთადერთი გზაა ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად (1). სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის საფუძველზე, ინდუსტრიალიზაციამ ერთგვარად მაინც იმუშავა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და ეფექტურად შეცვალა სამყარო მოკლე დროში ისე, რომ ზოგიერთი ავტორი ინდუსტრიალიზაციას განიხილავს, ან როგორც „კაცობრიობის არსებობის ყველაზე ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას წერილობით დოკუმენტებში აღწერილი სამყაროს ისტორიაში“ (ჰობსბაუმი) ან როგორც „ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას კაცობრიობის ისტორიაში ნეოლითის პერიოდიდან მოყოლებული“ (ჩიპოლა).(2). ინდუსტრიალიზაციის საკითხი სიღრმისეულად არის გამოკვლეული. და რა აკავშირებს მას კაპიტალიზმთან?

ერთი მხრივ, როდესაც ინდუსტრიალიზაცია დაიწყო, კაპიტალიზმს არსებობის უკვე საკმაოდ ვრცელი ისტორია ჰქონდა. კომერციული (მერკანტილური) კაპიტალიზმი თავისი ვრცელი პროტო-ინდუსტრიუ-

ლი ფორმითაც კი, რომელიც მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული, ვერ მივიდა დასრულებულ ინდუსტრიალიზაციამდე. ამის საილუსტრაციოდ მრავალი შემთხვევის მოხმობაა შესაძლებელი. ამის საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირის შემთხვევა ასახულებს, თუ როგორ არის ინდუსტრიალიზაციის არსებობა შესაძლებელი არაკაპიტალისტური ფორმით. ინდუსტრიალიზაციისა და კაპიტალიზმის კონცეპტები განისაზღვრება სხვადასხვა შტრიხით და მიზანშეწონილია ამ ორის ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნა.

მეორე მხრივ, კაპიტალიზმის პრეინდუსტრიულ-კომერციულმა ტრადიციებმა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ინდუსტრიალიზაციისკენ სწრაფვას. მეცხრამეტე საუკუნეში კაპიტალისტურ სტრუქტურებში ინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობდა ყველგან. კომუნისტური ხელისუფლების მფარველობით 1917-1991 წლებში სცადეს ცენტრალიზებულად მართული ეკონომიკის ალტერნატიული მოდელების გამოყენება. შედეგი უარესი იყო. (3) ჩინეთის დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ წინსვლა მხოლოდ მაშინ განიცადა, როდესაც ქვეყნის პარტიულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ნაბიჯ-ნაბიჯ შეესუსტებინა პოლიტიკური კონტროლი და კაპიტალისტური პრინციპებისთვის მიეცა სივრცე. კაპიტალიზმსა და ინდუსტრიალიზაციას შორის მკაფიო კავშირი აშკარად არსებობდა (და არსებობს კიდევ): ინვესტიციებს ორივესთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ახალი პროექტების პერმანენტული მოძიება, როგორც არის მუდმივი ჩართულობა ახალ კონფიგურაციებში, ინდუს-

ტრიალიზაციის დამახასიათებელი ნაწილია; ამიტომაც, საბაზრო მაჩვენებლებსა და გამოხმაურებებს შეუცვლელი ღირებულება ჰქონდა და აქვს. დეცენტრალიზებული სტრუქტურა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების უფლებას ანაწილებს სხვადასხვა მენარმეზე, განსაკუთრებული აღმოჩნდა. შესაბამისად, ინდუსტრიალიზაციაში ნებისმიერ ძალისხმევას, რომელსაც შესაძლოა დიდხინანი წარმატება ხვდეს წილად, აუცილებელ წინაპირობად უდევს კაპიტალიზმი.

საბოლოოდ, ინდუსტრიალიზაციამ კაპიტალიზმი შეცვალა:

1. ხელშეკრულების საფუძველზე ანაზღაურებადი შრომა მასობრივ ფენომენად იქცა. ეს მოიაზრებდა იმას, რომ, ისტორიაში პირველად, კაპიტალისტური სასაქონლო ფორმა - რაც გულისხმობდა ანაზღაურების მიღებას შრომითი ძალის სანაცვლოდ - მთლიანად გავრცელდა ადამიანურ შრომაზე. შრომითი ურთიერთობები გახდა კაპიტალისტური - ე.ი გახდა დამოკიდებული ცვალებად შრომით ბაზრებზე; დაემორჩილა კაპიტალისტური მიზნებისათვის საჭირო მკაცრ განგარიშებას; და დაექვემდებარა დამსაქმებლისა და მმართველის პირდაპირ ზედამხეველობას.

ამგვარად, კაპიტალიზმისთვის თანდაყოლილი კლასობრივი განსხვავება აშკარა გახდა, მიიღო ხელშესახები ფორმა ძალაუფლებასა და შემოსავლების განაწილებას შორის არსებული კონფლიქტისა და იქცა სოციალური მობილიზაციის საფუძველად.

2. ფიქსირებული კაპიტალის დაგროვებამ არნახულ დონეს მიაღწია ქარხნებით, მალაროებით, ახალი სატრანსპორტო სისტემით, მექანიზაციითა და მანუფაქტურული საწარმოების გავრცელებით. მრავალი მცირე და საშუალო ბიზნესის პარალელურად აღმოცენდა ფართო მასშტაბის კომპანიები და დაიწყო საწარმოთა შერწყმა. ამან თან მოიტანა შემოსავლიანობის ზუსტი კონტროლის მზარდი საჭიროება და პრინციპი, რომელსაც მნიშვნელოვანი თავისებურებები გააჩნდა, რათა სამენარმეო სტრუქტურა უფრო სისტემური გამხდარიყო. შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული, დაგეგმილი, იერარქიული ორგანიზაცია, საბაზრო პრინციპებთან ერთად, თანდათანობით იქცა კაპიტალიზმის ელემენტად.
3. ტექნოლოგიურმა და ორგანიზაციულმა ინოვაციებმა შეიძინა გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა იმასთან შედარებით, რაც მათ ჰქონდა კაპიტალიზმის სხვადასხვა პრეინდუსტრიულ ფორმაში. დაჩქარდა ინოვაციების ტემპი. შუმპეტერის ანალიზის მიხედვით, კაპიტალისტური წარმოების მეთოდის ბირთვად „შემოქმედებითი დესტრუქცია“ ჩამოყალიბდა. ეს სწორედ ინდუსტრიულ კაპიტალიზმში მოხდა. ფაბრიკებმა ჩაანაცვლა ძაფის რთვისა და სამოსის ქსოვის პროტოინდუსტრიული ფორმა - საშინაო მრეწველობა. ორთქლის ძრავაზე მომუშავე გემების გზებით შეიცვალა მდინარეებისა და არხების გასწვრივ გაყვანილი ბილიკები, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენებოდა ტრანს-

პორტირებისათვის. ელექტრონული სინათლის მომწოდებლები დანინაურდნენ გაზის განათების კომპანიებთან შედარებით. ასი წლის შემდეგ, საბჭოთა მანქანების მწარმოებლებმა დაკარგეს გასაღების ბაზარი, რადგანაც ტექსტის ელექტრონული დამუშავება კომპიუტერით გახდა შესაძლებელი. დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ ამგვარმა ცვლილებებმა, წარმატებისა და ფულის გამომუშავების ახალი შესაძლებლობები გააჩინა მენარმეებისთვის და მათი დასაქმებულებისათვის. როგორც წესი, მომხმარებელმა იხიერა. თუმცა, ამავდროულად ბევრიც წაგებული დარჩა. „წარმოების მუდმივი და რადიკალური გარდაქმნები, ყველა სოციალური პირობის უწყვეტი რღვევა, მუდმივი ცვალებადობა და მღელვარება განასხვავებს ბურჟუაზიულ ეპოქას სხვა ყველა მანამდე არსებული ეპოქისაგან.“ (4) ამან კაპიტალიზმისთვის პოპულარობის დაკარგვას და მის მუდმივად განახლებად დელეგირებისა და შეუწყობ ხელი, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა კაპიტალიზმის მასშტაბური და განმეორებადი კრიზისების დროს, მათ შორის 1873, 1929 და 2008 წლებში.

4. ჩვეულებრივ, ამ კრიზისებს განაპირობებდა გადაჭარბებული სპეკულაციები და არასწორი ტენდენციები ფინანსურ სექტორში, თუმცა ასევე ზეგავლენას ახდენდა ეკონომიკის რეალურ სექტორზეც. კრიზისებმა საფრთხე შეუქმნეს არა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის სპეკულიანტებს, არამედ მოსახლეობის მასშტაბური ნაწილის ცხოვრების გაუმჯობესების შესაძლებ-

ლობებსაც. ამ კრიზისებს შეეძლო გამოეწვია ძირფესვიანი სოციალური და პოლიტიკური ნგრევა. ამრიგად, კრიზისებმა წარმოქმნა კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ინდუსტრიული კაპიტალიზმსა და კაპიტალიზმის ადრინდელ ფორმებს შორის - კერძოდ, ის გახდა ეკონომიკის მარეგულირებელი დომინანტი მექანიზმი, რომელიც აქტიურად ზემოქმედებდა სოციუმზე, კულტურასა და პოლიტიკაზე ერთბაშად. ეს განსხვავდებოდა წარსული საუკუნეებისაგან, როცა კაპიტალიზმი შეზღუდული ფორმით არსებობდა და ჩაშენებული იყო არაკაპიტალისტურ სტრუქტურებსა და მენტალობებში.

თუ კაპიტალიზმის განვითარებული ფორმა 1800 წლის ეპოქალურ გარდატეხამდე შემოიფარგლებოდა ჩრდილო-დასავლეთ ევროპის რამდენიმე რეგიონით, ინდუსტრიალიზაციით გაძლიერებულმა კაპიტალიზმმა გლობალური მასშტაბები მიიღო მე-19 საუკუნეში, და კიდევ უფრო მეტად კი - მეოცეში. როგორც უკვე აღინიშნა, ეს პროცესი მხოლოდ იმით არ არის თვალსაჩინო, რომ კაპიტალიზმმა ახალ ქვეყნებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ აზიაში შეაღწია. ეს თვალსაჩინო გახდა იმითაც, რომ ქვეყნებსა

და კონტინენტებზე მიმდინარე კაპიტალისტური პროცესები სულ უფრო მეტად გახდა ერთმანეთზე დამოკიდებული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოხდა კაპიტალიზმის გლობალიზაცია. 1860 წლიდან 1914 წლამდე, შემდეგ - 1970-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი 1990

წლიდან დადგა ისეთი ფაზები, როდესაც გლობალიზაცია მნიშვნელოვნად დაჩქარდა. გლობალიზაციის ეს დაჩქარებული ტემპი მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებაში, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სასაქონლო ფასების გარკვეულ კონვერგენციაში, სწრაფად მზარდ მსოფლიო ფინანსურ ტრანზაქციებში, მულტინაციონალური საწარმოების ზრდასა და ფართოდ გავრცელებაში, საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის გაზრდასა და კრიზისების გლობალურ დიაპაზონში შეინიშნება. გლობალიზაცია ნამდვილად არ არის მხოლოდ ეკონომიკური ფენომენი. ის ასევე საზღვართშორისი კავშირია, რომელიც აერთიანებს კომუნიკაციის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროებს. კაპიტალიზმი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გლობალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალა; კაპიტალიზმი არის ის სივრცე, რომელშიც მიმდინარეობს გლობალიზაცია, მაშინაც კი, როცა ის არ გულისხმობს პირდაპირ საზღვრის გადაკვეთას ან ერი სახელმწიფოების პირვანდელი მნიშვნელობის დაკარგვას.⁵

მესაკუთრეობიდან მენეჯერულ კაპიტალიზმამდე ანალიტიკურად, კაპიტალისა და შრომის ურთიერთობას ყველა სახის ინდუსტრიულ კაპიტალიზმში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ისტორიულად, ის მნიშვნელოვან სახესხვაობებს ავლენს. ამის მიზეზი აღქმის ის უცვლადი ცვლილებაა (gestalt switch), რომელიც გამოვლინდა საწარმოების სტრატეგიებსა და სტრუქტურებში უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში.

ერთმანეთისგან კონცეპტუალურად უნდა განვასხვავოთ მენარმეები და კაპიტალისტები. კაპიტალისტი უზრუნველყოფს კაპიტალს და ზოგადად წყვეტს, სად და რისთვის უნდა იქნეს გამოყენებული, აფასებს არსებულ რისკებს (თეორიულად მაინც) და ითვისებს მოგებას. მენარმის ძირითადი პასუხისმგებლობაა მართოს სანარმო, ამ მიზნიდან გამომდინარე წარმოების დეტალური ამოცანები შეიმუშავოს, განსაზღვროს მისი ადგილი ბაზარზე, მისი შიდა სტრუქტურა და ასევე ის, თუ როგორ დაასაქმოს მუშახელი.⁶

ინდუსტრიალიზაციის პირველ ფაზაში, ზოგჯერ რომ ინდუსტრიულ რევოლუციად მოიხსენიებენ, წარმოების სათავეში ერთი ადამიანი ითავსებდა როგორც კაპიტალისტის, ასევე მენარმის როლს. ეს ძირითადად იყო მამაკაცი, თუმცა მენარმეები ქალებიც იყვნენ ხოლმე. იგი ფლობდა თავის სანარმოს და მართავდა მას. ის, როგორც წესი, კაპიტალს უშუალოდ თავისი დანაზოგებითა და პირადი სესხებით უყრიდა თავს, უფრო იშვიათად - საბანკო სესხით, ზოგჯერ - პარტნიორთან თანამშრომლობით და, შესაბამისად, პასუხისმგებელი იყო მთელი თავის ქონებით. მაშინაც კი, როდესაც ქარხანა სრულად იზრდებოდა - მაგალითად, მექანიკური საფეიქრო ფაბრიკა ასი ან ორასი მუშახელით - ის კომპანიონობაზე დაფუძნებულ მართვად სანარმოდ რჩებოდა, რომელსაც განაგებდა მესაკუთრე-მენარმე. იგი თავს აღიქვამდა „ციხე- სიმაგრის მეფედ“ და სარგებლობდა განუსაზღვრელი ავტორიტეტით. ის, რომ უფროსი ერთდროულად იყო კაპიტალისტიც და მენარმეც, ლეგიტიმურად აძლევდა მას უპირა-

ტესობებს. მენარმის პრეტენზია ხელმძღვანელობასთან შეიძლება გადასაწყვეტი იყოს იმით, თუ რა რისკს იღებდა კაპიტალისტი თავის თავზე, ხოლო სარგებლის მიღებაზე პრეტენზია უკავშირდებოდა წარმატებული მენარმის მუშაობას.

ინდუსტრიალიზაციის ადრეულ ფაზებში მენარმეებს საკუთარ სოციალურ გარემოცვასთან მჭიდრო კავშირები ჰქონდათ თითქმის ყველგან, განსაკუთრებით თავიანთი ოჯახების საშუალებით. სანცის კაპიტალს ხშირად ოჯახური წრისა და ნათესაობის გარემოცვაში ეყრებოდა თავი. როტშილდების საერთაშორისო საბანკო სახლის ისტორია; საკუთარი წარმოების დაარსებისას ძმები სიმენსების მჭიდრო თანამშრომლობა ბერლინში, ლონდონსა და პეტერბურგში; ან ბრაუნების ოჯახის როლი კომერციული წარმოების ქსელის ჩამოყალიბებაში დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში (ლივერპული, ნიუ იორკი, ფილადელფია და ბალტიმორი) - ნათელი მაგალითებია იმისა, თუ როგორ უწყობდა ხელს მენარმე ოჯახების შეთანხმებული მოქმედებები მმართველობითი პრობლემების გადაწყვეტას, ტრანსსასაზღვრო ბიზნეს კავშირების დამყარებასა და შესაბამის სოციალურ გარემოცვასთან

ქსელის გაბმას მეცხრამეტე საუკუნის მეორე მესამედში. ამგვარად, ოჯახი იყო როგორც წინაპირობა, ისე – საშუალება, რათა ბაზარზე წარმატება მოგვეპოვებინა. ეკონომიკური და კულტურული კაპიტალის გადაცემა ოჯახის საშუალებით ხდებოდა: ოჯახური ფირმები ხშირად

მემკვიდრეობის შედეგად არსდებოდა, რაც ასევე მათ მიზანსაც წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ამ მოლოდინმა მრავალ მესაკუთრე-მენარმეს გაუჩინა სურვილი, რომ მომავალზე ორიენტირებული ინვესტიციები გაეკეთებინა. უმეტესად, ასეთი მესაკუთრე-მენარმეები იყვნენ ენერჯიული, გულგრილად მოანგარიშე ადამიანები, რომლებიც დაუნდობლად მიისწრაფოდნენ სარგებლის მიღებისკენ. ძირითადად იყვნენ მამრობითი სქესის წარმომადგენლები, იშვიათად ქალები, რომლებმაც კონკურენტების დამარცხებაც იცოდნენ და მუშახელის ექსპლუატირებაც. სუფთა სარგებლის მიღების მოტივის გარდა, ეს მჭიდრო ოჯახური კავშირები დამატებით მნიშვნელობას სძენდა მათ ძალისხმევას, კონკურენტებთან ბრძოლასა და მუშახელის ექსპლუატირებას. მოგებას, როგორც აბსოლუტურ ღირებულებას, საკმაოდ მცირე მნიშვნელობა რომ ენიჭებოდა, მონაშობს ისეთი სიტუაციები, რომლებშიც საოჯახო მენარმეები ხშირად უარს ამბობდნენ სანარმოების გაფართოებისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმაზე. უარი განზრახ ითქმებოდა იმისათვის, რომ ბიზნესზე კონტროლი არ დაეკარგა ოჯახს, რაც იმ შემთხვევაში იქნებოდა მოსალოდნელი, თუ კაპიტალს გააფართოებდნენ ბანკის დახმარებით ან საფონდო ბირჟაზე მიმოქცევაში ჩაუშვებდნენ სანარმოს წილებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაზარი მაინც აქცევდა გარკვეულ საზღვრებში ამგვარ არაეკონომიკურ პრიორიტეტებს. ის, ვინც უარს განზრახ ამბობდა დინამიურობაზე, თავისი ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობას რისკის ქვეშ აყენებდა. აუცილებელი იყო წინსვლა, რომ

არ ჩამორჩენილიყავი. მხოლოდ არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ან არ იყო ნებადართული ამ მუდმივცვალებადი კონკურენტუნარიანი სისტემის მიერ, ან ნებადართული იყო მხოლოდ ვინრო ჩარჩოებში.⁷

ოჯახსა და ბიზნესს შორის კავშირზე დაკვირვებისას შეიმჩნევა, რომ კაპიტალიზმში არ ანაცვლებდა ახალი სოციალური ინსტიტუტებით იმ ძველს, რომელიც საბოლოოდ თავად გაანადგურა. პირიქით, სულ მცირე, ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მაინც, კაპიტალიზმმა ის სოციალური სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ თავად შექმნა, მანამდე არსებულთან გააერთიანა, დანერგა რა თავისი თავი უფრო ძველ სტრუქტურებში და საბოლოოდ შეცვალა ისინი მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში. ამგვარად, ის მოქმედებდა და აგრძელებს მოქმედებას ისეთი ფორმით, რომელიც მაინცდამაინც არ არის რევოლუციური. ის ცოცხლობს სხვადასხვა სოციალურ რეალობაში. ამით აიხსნება მრავალფეროვნება იმ გარეგნული ფორმებისა, რომლებშიც დღემდე გვევლინება ინდუსტრიული კაპიტალიზმი.

დღემდე ხშირია ოჯახსა და წარმოებას შორის მჭიდრო კავშირი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო წარმოებებში, რომლებიც დღესაც კი სანარმოების უმეტესობას შეადგენს ყველგან და მუდმივად ივსება ახალ-ახალი “სტარტაპებით”. დიდი კომპანიების მმართველობით ორგანოებშიც კი, რომლებიც თავდაპირველი ფორმიდან – პარტნი-

ორობიდან – დიდი ხნის წინ ტრანსფორმირდნენ, ან რომლებიც დასაწყისშივე დაარსდნენ როგორც სააქციო კომპანიები, მესაკუთრე ოჯახების (როგორც დამაარსებლების, ასევე ახლანდელის) ზეგავლენა კვლავ მნიშვნელოვანი იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარშიც კი, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში.⁸ საერთო ჯამში, მენეჯერული კაპიტალიზმი იყო ის, რაც მსხვილი და გიგანტური წარმოების მზარდ სფეროში გაბატონდა. ეს საწარმოები, როგორც წესი, ფუნქციონირებდნენ როგორც სააქციო კომპანიები, რომლებიც ეფუძნებოდა აქციებსა და წილებს (ან როგორც მსგავსი ტიპის შებენიანი პასუხისმგებლობის მქონე კორპორაციები). ეს ნიშნავს, რომ მენეჯერული ფუნქცია თანდათანობით გადავიდა ხელფასის მქონე მენარმეების („მენეჯერების“) ხელში, რომლებსაც შებენიანი ვალდებულებები გააჩნდათ. ეს ასევე ნიშნავს, რომ კაპიტალისტისა და მენარმის ფუნქციები გაიმიჯნა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, არსებობდა გრძელვადიანი კოოპერაციის ფორმები მესაკუთრე ოჯახის წევრებსა და მენეჯერებს შორის. ყოველ შემთხვევაში, კაპიტალის მფლობელები, როგორც დაინტერესებული მხარეები, ისევ სარგებლობენ დიდი გავლენით წარმოებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების მიღებისას სრულყოფილად ფორმირებულ მენეჯერულ კაპიტალიზმშიც კი. მენეჯერული კაპიტალიზმის გზაზე პიონერობდნენ გერმანია და შვედეთელი შტატები, იაპონიასთან ერთად. თუმცა კი, იაპონია თავისებური გზით განვითარდა. მამოძ-

რავებელ ძალეზად მოიზრებოდა ზრდა, კაპიტალის მოთხოვნილებები და ორგანიზაციული მოწყობა.

გერმანულმა ელექტრო-საინჟინრო ფირმა სიმენსმა (Siemens) 1854 წელს შინ დაასაქმა 90 ადამიანი, 1874 წელს - 650, 1894 წელს მათი რიცხვი 4000-მდე გაზარდა, ხოლო 1914 წლისთვის მას უკვე 57 000 ადამიანი ჰყავდა დაქირავებული. დასაქმებული მუშახელის რაოდენობამ უდიდეს გერმანულ საწარმო „კრუპ“-ში (Krupp) 1887 წელს 20 000-ს მიაღწია და 1907 წლისთვის - 64 000-ს, მაშინ როცა „თისენის“ (Thyssen) ბაზაზე არსებულ კორპორაციას „Vereinigte Stahlwerke“ (ფოლადის მუშათა გაერთიანება) 1927 წლისთვის ჰყავდა 200 000 დაქირავებული მუშახელი, უდიდეს ამერიკულ საწარმოს - „ამერიკულ ფოლადს“ (U.S. Steel) 1901 წელს 100 000, ხოლო 1929 წლისთვის - 440 000. გვიან 1960-იან წლებში მსოფლიო მასშტაბით სიმენსში მომუშავე ადამიანთა რიცხვმა 270 000 შეადგინა მაშინ, როდესაც „გერმანიის ბანკში“ (Deutsche Bank) მუშებისა და ანაზღაურებადი დაქირავებულების რიცხვი 30 000 იყო. 2010 წლისთვის ეს რიცხვები შესაბამისად გაიზარდა - 370 000 და 98 000. იმავე წელს გერმანულმა ფოსტამ (Deutsche Post) 425 000 დასაქმებულით და სიმენსმა 405 000 დასაქმებულით გერმანულ რეიტინგებში საუკეთესო ადგილები დაიკავა, თუმცა მსოფლიოს უდიდეს საწარმოთა სიაში მხოლოდ მეთერთმეტე და მეცამეტე ადგილებს იკავებდნენ. ამ სიის სათავეში მოქცეულნი იყვნენ საცალო ვაჭრობის კონგლომერატი „ვოლმარტი“ (Walmart) (2.1 მილიონი დასაქმებულით) და „ჩინეთის

ეროვნული ნავთობი“ (China National Petroleum) (1.65 მილიონი დასაქმებულით). დასაქმების ამ მეტისმეტ ზრდას იწვევდა სხვადასხვა მოვლენათა ერთობლიობა - ფირმების გაზრდა- გაფართოება და რაც მთავარია, ერთმანეთთან შერწყმა - და ასევე სხვადასხვა მიზანთა ერთობლიობა: “მასშტაბით განპირობებული ეკონომია“ (economies of scale)”, რაც ნიშნავს სარგებლის ნახვას საქონლის რეალიზებისა და მოგების ახალი შესაძლებლობებიდან, როცა იცვლება ტექნოლო- გიური და საბაზრო პირობები (მასობრივი პროდუქცია და მასობრივი ბაზრები); სწრაფვა სიდიდისკენ და შესაბამისად, სიმდიდრის, პრეს- ტიჟისა და ძალაუფლებისკენ მიუხედავად იმისა, რომ ამ სურვილებს ყოველთვის არ მოაქვს რენტაბელური შედეგი ბიზნესისთვის. ხშირად ეს გაფართოება გამონვეული იყო თავდაცვითი მოტივებით, რად- განაც აგრესიული კონკურენციის დროს თვითშეკავების პოლიტიკამ მარტივად შეიძლება გამოიწვიოს ფირმის გაკოტრება.

ინდუსტრიალიზაციის პირველ ფაზაში, ყველაზე ძვირადღირებულ წარმოებებსაც კი მოკრძალებული კაპიტალით გაჰქონდათ თავი, როგორც, მაგალითად, გერმანიის სამთო მრეწველობას 1850-იანი წლების განმავლობაში, სადაც სიდიდის თანმიმდევრობა მერყეობდა 1-დან 2 ან მაქსიმუმ 3 მილიონ მარკამდე. კაპიტალი ქარხნებისთვის სხვა სექტორებში, განსაკუთრებით ტექსტილის დარგში უგამო- ნაკლისოდ იყო გაცილებით დაბალი. მაგრამ 1887 და 1927 წლებში ასი უდიდესი გერმანული საწარმოს საშუალო კაპიტალი 9.4 მილიონი მარკადან 59 მილიონამდე გაიზარდა. 1901 წელს „ამერიკული

ფოლადის“ კაპიტალმა 1.4 მილიარდი დოლარი შეადგინა. 1970 წელს Deutsche Bank-ის კუთვნილი კაპიტალ-რესურსი 1.4 მილიარდ გერმანულ მარკას აღწევდა, მაგრამ უკვე 2010 წლისთვის 47 მილიარდ ევრომდე გაიზარდა. იმავე წელს “სიმენსის” კუთვნილი კაპიტალის რესურსი იყო 28 მილიარდი ევრო. როგორც წესი, ამხელა თანხა აღემატებოდა და დღემდე აღემატება ინდივიდუალური მესაკუთრე-ოჯახისათვის ხელმისაწვდომ სიმდიდრეს. დაფინანსების მიღება კაპიტალის ბაზრისგან და შესაბამისად, სააქციო კომპანიის ორგანიზაციული ფორმის სახით არსებობა სავალდებულო გახდა.

ზოგჯერ თვლიან, რომ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედსა და მეოცე საუკუნის პირველ დეკადებში მოხდა „მეორე ინდუსტრიული რევოლუცია“, კერძოდ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის იმ ქვეყნებში, რომლებმაც ინდუსტრიალიზაციის პირველი ციკლი ადრეულად და წარმატებულად დაიწყეს. ამაში გულისხმობენ „ახალი ინდუსტრიების“ თვალწარმტაც აღზევებას ელექტრონულ წარმოებაში, ქიმიურ მრეწველობასა და მანქანათმშენებლობაში; ნავთობის ენერჯის წყაროდ გამოყენების დაწყებას; ტექნოლოგიისა და მეცნიერების მნიშვნელობის გასაოცარ ზრდას ინდუსტრიულ წარმოებაში. მაგრამ ეს სახელდება ასევე ცდილობს დააფიქსიროს კაპიტალის ცენტრალიზება, რომელიც განხორციელდა კომპლექსური კომბინაციების საშუალებით, იქნებოდა ეს გაერთიანებები, კონგლომერატები, ჰოლდინგები, კარტელები თუ ინტერესთა ასოციაციები. ეს გაერთიანებები და ალიანსები, რომლებიც ნაწილობრივ გამოჩნდა 1870-

იანი წლების ციკლური ეკონომიკური ვარდნების საპასუხოდ, ცდილობდნენ შეეზღუდათ ან საერთოდ მოესპოთ კონკურენცია. მამოძრავებელ ძალათა შორის იყვნენ ისეთი მსხვილი მენარმეები, როგორცაა ჯონ დ. როკფელერი, ნიუ ჯერსის Standard Oil-ის არქიტექტორი (ჩამოყალიბდა 1870-იან წლებში) ან ემილ კირლოფი, Gelsenkirchen Mining Company Inc-ის გენერალური დირექტორი და 1893 წლის Rhenish-Westphalian Coal Syndicate-ის არქიტექტორი.

მსხვილი ბანკები ხშირად ითავსებდნენ მხარდამჭერ ფუნქციას - მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ინდუსტრიაში ინვესტიციებს აქტიურად დებდნენ და ცალკეულ ინდუსტრიულ წარმოებებთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. ინტეგრაცია, აქციათა საკუთრებისა და აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლობის გზით, აპრობირებული მეთოდი აღმოჩნდა, რომელიც საფუძველს უყრიდა ინდუსტრიული და საბანკო კაპიტალის ფართო ქსელს. შეუძლებელია იმის თქმა (თუმცა კი ხშირად შეცდომით მიიჩნევენ), რომ ერთი მხარე (ან ინდუსტრია ან ბანკები) მეორეზე დომინირებდა. თუმცა, ასეთი თანამშრომლობის შედეგად, ძალაუფლება და სიმდიდრე უპრეცედენტოდ კონცენტრირდა რამდენიმე უმსხვილესი მენარმის ხელში. განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც როკფელერს - მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანს, რომლის ქონება შეადგენდა დაახლოებით 330 მლრდ დოლარს (2008 წლის ღირებულებით) - და მასთან ერთად კარნეგს, ვანდერბილტს, დუკს, სტენფორდს და სხვებს თანამედროვეები

კრიტიკულ და პოლემიკურ სახელს - „მძარცველ ბარონებს“ უწოდებდნენ. ამ უმსხვილესი კომპანიებიდან ზოგიერთი ტრანს-სასაზღვრო ბიზნესზე კონცენტრირდა და მულტინაციონალური სტრუქტურები განავითარა. ამის მაგალითია 1902 წელს დაარსებული British American Tobacco Corporation. დიდი ფირმების უმრავლესობა ფუნქციურად მაქსიმალურად ინტეგრირდა და პროდუქცია გაიმრავალფეროვნა: ეს გულისხმობს, რომ ცალკეული კომპანიის შიგნით, ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ აერთიანებდნენ ნედლეულის მიწოდების, წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ფუნქციებს; ამავდროულად, ისინი აწარმოებდნენ სხვადასხვა საქონელს და სთავაზობდნენ სხვადასხვა სერვისს. ამგვარად, ისინი ორგანიზაციული საშუალებებით აერთიანებდნენ იმას, რაც ადრე უფრო მეტად სპეციალიზებული და ერთმანეთთან საბაზრო გზებით დაკავშირებული დამოუკიდებელი საწარმოების ხელთ იყო.

ამის შედეგად, წამოიქმნა უაღრესად კომპლექსური, სისტემატურად სტრუქტურირებული, საგულდაგულოდ კოორდინირებული მეგასტრუქტურები, რომლებიც დაკომპლექტებული იყო იმგვარი მენეჯერული კადრებით, რომლებიც სულ უფრო მეტად იყვნენ აკადემიურად სერთიფიცირებულნი. გვიან მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ადრეულ წლებში, ეს კორპორატიული სტრუქტურები ვერტიკალურად ინტეგრირდა, ცენტრალიზდა და უფრო მეტად იერარქიული სახე მიიღო. 1945 წლის შემდეგ, ისინი დასავლეთში დეცენტრალიზდნენ და სტრუქტურირდნენ, როგორც ნახევრადავტონო-

მიური ერთეულების ფედერაციები. მთლიანობაში, ეს იყო კაპიტალიზმის ფორმის მნიშვნელოვანი ცვლილება. იქ, სადაც წინათ საბაზრო მექანიზმების საშუალებით კოორდინაცია იყო გაბატონებული, ახლა ადგილი დაიკავა უფრო ძლიერმა კოორდინაციის ფორმამ - კოორდინაციამ ორგანიზაციული და კვაზიპოლიტიკური მეთოდების საშუალებით. ამას ეწოდებოდა ორგანიზებული კაპიტალიზმი, თუმცა, მიუხედავად ყველა ალიანსისა და მონოპოლისტური ტენდენციებისა, მკაცრი კონკურენცია კვლავ არსებობდა ამ გიგანტურ საწარმოებს შორის. ეს იყო ისეთი კონკურენტული გამოწვევები, რომლებსაც ფირმების ავტონომიისა და არსებობისათვის, შესაძლოა, საფრთხე შეექმნათ. მრავალრიცხოვან მცირე და საშუალო წარმოებისგან განსხვავებით, მსხვილი წარმოება ყველგან უმცირესობაში რჩებოდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ინარჩუნებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. 1962 წელს 50 უდიდეს ამერიკულ ინდუსტრიულ საწარმოს, ქვეყნის კომერციულ-ინდუსტრიული კაპიტალიდან მესამედზე მეტი წილი, ხოლო ერთად აღებულ 500 უმსხვილეს საწარმოს, ორ მესამედზე მეტი წილი ჰქონდა. ამ საწარმოებს, უგამონაკლისოდ, თეთრკანიანი, უმეტესად - მინიმუმ საშუალო კლასისგან წარმომდგარი და მინიმუმ კოლეჯის კურსდამთავრებული პროტესტანტი მამაკაცები მართავდნენ.⁹

მენეჯერული კაპიტალიზმის აღმასვლას, დიდ იმედებთან ერთად თან ახლდა დიდი შიშები. როგორც წესი, ორივე გადაჭარბებული აღმოჩნდა.

არსებობდა იმედი, რომ მენეჯერული კაპიტალიზმი - იმის წყალობით, რომ მესაკუთრეობა დაანაწილა და შეამცირა მესაკუთრეთა მნიშვნელობა მმართველი რგოლის დაკომპლექტებაში - გარკვეული სახის დემოკრატიზაციას მოიტანდა. ერთი მხრივ, აქციონერული საკუთრების დანაწევრებამ, მისმა მზარდმა მიმზიდველობამ მცირე და მსხვილი ინვესტორებისთვის, ასევე მისმა მნიშვნელობამ სიცოცხლის რისკებისგან დასაზღვევად და ხანდაზმულთა მზრუნველობისთვის, მართლაც უფრო ძლიერად და ფართოდ დაამკვიდრა საზოგადოებაში კაპიტალიზმი. მან უფრო მჭიდროდ და მკაფიოდ დაუკავშირა უმრავლესობის ცხოვრება კაპიტალისტური ბიზნესის აღმასვლებსა და დაღმასვლებს. ამის მაგალითად ხანდაზმულთათვის განკუთვნილი პოლისები - საპენსიო ფონდებიც კმარა, რომლებსაც ფინანსურ ბაზრებზე უმსხვილესი როლი უკავიათ. ამასთანავე, კრიტიკიუმი: „წარმოების საშუალებების საკუთრება“ მენეჯმენტის რეკრუტირებისა და დანინაურებისათვის უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა და გამოიკვეთა განსხვავება, ერთი მხრივ, მესაკუთრე - მენარმისა და, მეორე მხრივ, მენეჯერის ტიპურ კარიერულ გზებს შორის. თუმცაღა, ეკონომიკური ძალაუფლების ბასტიონების წვდომა ოდნავაც არ გამარტივებულა. ჭურჭლისმრეცხაობიდან მილიონერობამდე მიღწევა კვლავ გამონაკლისის წარმოადგენს. თაობათაშორისი სტატუსის მემკვიდრეობით მიღების მაღალი მაჩვენებელიც გამომწვეულია იმ სელექციური პროცესებით, რომელიც ახასიათებს მენეჯერულ კაპიტალიზმის. ეს პროცესი,

თეორიულ და პრაქტიკულ წვრთნასთან ერთად, დამატებით ღირებულებას სძენს კულტურულ კაპიტალს, რომელიც სოციალური წარმომავლობითა და ურთიერთობათა ქსელითაა მინიჭებული.

არსებობდა შიში, რომ მენეჯერთა აღზევება ფირმის უმაღლეს ემელონებში გაზრდიდა უპასუხისმგებლო ქმედებებს, რამდენადაც დაქირავებულ მენარმეებს აღარ მოუწევდათ საკუთარ შეცდომებზე პასუხისმგება და თავიანთი მთლიანი ეკონომიკური და სოციალური საარსებო საშუალებების რისკის ქვეშ დაყენება. პირიქით, ისინი ნებისმიერი სამენარმეო წარმატებიდან ლიმიტირებულად მიიღებდნენ პირად სარგებელს. თანამედროვე ფინანსური კაპიტალიზმში არსებული „სტრუქტურული უპასუხისმგებლობის“ ბოლოდროინდელი გამოცდილების შუქზე, მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რატომ არ გამართლდა ეს შიში მენეჯერული კაპიტალიზმის კლასიკური პერიოდის (რომელიც გრძელდებოდა 1970-1980-იანი წლების დასაველეთში) განმავლობაში. ერთი მხრივ, მენეჯერულ პასუხისმგებლობას ხელს უწყობდა კომპანიის წარმატებასთან დაკავშირებული მენეჯერული შემოსავლების კომპონენტები, მათ შორის მენეჯერების აქციები კაპიტალში. მეორე მხრივ, მათ, ვინც ამ თანამდებობას იკავებდა, შეიმუშავეს პროფესიონალური მიმართება - შესაბამისი მექანიზმები საერთო სოციალური კონტროლისთვის. მაგრამ, რაც მთავარია, მობილობის გაზრდილი საშუალებების მიუხედავად, ანაზღაურებადი მენარმეების თვალშიც კი, მენეჯერებისა თუ სხვათა წარმატება თუ მარცხი ისევ მჭიდროდ ებმოდა კონკრეტული

საწარმოს - „მათი“ საწარმოს - წარმატებასა და მარცხს. ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი (მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ფინანსურ საბაზრო კაპიტალიზმში საქმე სხვაგვარადაა). 1910 წლისთვის, ემილ რათენა (Emil Rathenau) „თავის“ მიერ მართული საწარმო „AEG“-სთან („საყოველთაო ელექტრო კომპანია“) თავს ისევე ძლიერ აიდენტიფიცირებდა, როგორც მეტოქე კომპანიის დამაარსებლის შვილი, ვილჰელმ ფონ სიმენსი „თავის“ ტრადიციულ წარმოებასთან, რომელსაც სააქციო კომპანიად გახდომის შემდეგაც მისი ოჯახი მართავდა.

თუმცაღა, მთლიანობაში, მენეჯერები, მესაკუთრე-მენარმეებთან შედარებით, ნაკლებად ექცეოდნენ ეკონომიკის მიღმა არსებული (მაგალითად, ოჯახთან დაკავშირებული) ფაქტორების გავლენის ქვეშ. ამგვარად, მენეჯერული კაპიტალიზმის იმ მენარმეებისათვის, ვინც შრომის სანაცვლოდ ხელფასს იღებდა, ეკონომიკური მოტივები უფრო ნათელი იყო, ვიდრე ინდუსტრიული რევოლუციის მესაკუთრე-მენარმეებისათვის. შესაბამისად, მთლიანობაში, მესაკუთრე-კაპიტალისტებთან შედარებით, ანაზღაურებად მენარმეებს გადაწყვეტილებები უფრო დინამიურად უნდა მიეღოთ და უფრო თამამად ემოქმედათ. (10)

შენიშვნები:

1. დასავლური ინდუსტრიალიზაციისა და ბლოკირებული ინდუსტრიალიზაციის (ჩინეთში, ინდოეთსა და აფრიკაში) კომპლექსური კავშირის შესახებ იხ. ოსტერჰამელი 2014, 662 გვ.; კუპერი 2009 (განსაკუთრებით 47: აფრიკის წინააღმდეგობა კაპიტალიზმთან მიმართებით); ინიკორი 2002; მეცხრამეტე საუკუნის შიდაევროპული უთანასწორობის შესახებ, ბერენდი 2013a, 462 გვ.
2. ჰობსბაუმი 1999 (1968 წლის ხელახალი გამოცემა), გვ. xi; ჩიპოლა 1973. ინდუსტრიალიზაციის ყველაზე სრულყოფილი მიმოხილვისას ტერმინ „კაპიტალიზმს“ მხოლოდ შეზღუდულად გამოიყენებს, თუკი ეს შესაძლებელია. იხ. შტერნსი 1993; ბუკჰაიმი 1994; ტაიჩი/პორტერი 1996; ლანდესი 1998.
3. იხ. კორნაი 1992.
4. მარქსი/ენგელსი, “Manifest der Kommunistischen Partei,“ MEW IV, 465. იხ: <https://www.marxists.org/archive/marx/works/1848/communist-manifesto/ch01.htm> კომუნისტების მანიფესტის ინგლისურენოვანი ვერსიისთვის იხ. On crises: სპრი 2011; ფლამფი 2010.
5. ოსტერჰამელი/ პეტერსონი 2007; ფინდლეი/ ო'რურკი 2007; მანი IV:2013, 1–12.
6. რედლიხი 1964, 97 გვ.
7. ეს გაანალიზებულია სიმენსების ოჯახური გაერთიანებასა და მენეჯერულ გაერთიანება AEG-ს შორის არსებული შეჯიბრის მაგალითზე, კოჩკა 1972; ჯახისა და ბიზნესის ურთიერთობის შესახებ: შენდლერი 1977, 28 გვ.; კოჩკა 1979; ჯეიმსი 2006; Budde in Budde, 2011, 97-115; საბინი 2011. როთშილდის შესახებ: ფერგიუსონი 1999.
8. მიჩნეულია, რომ 1950-იან წლებში ყველაზე დიდი ბრიტანული საწარმოების ნახევარი კონტროლდებოდა ინდივიდუალური ოჯახების მიერ (1970-იან წლებში კი მხოლოდ მათი მესამედი). ამისა და დიდ იაპონურ კომპანიებში ოჯახის გავლენის მნიშვნელობის შესახებ (ზაიბაცუ და კეირეცუ), ბლეკფორდი 2008, 205–16.
9. კარგი მიმოხილვა: ბლეკფორდი 2008 (200 on the gures for the United States); შენდლერი 1977 და 1990; ფოლსონი/ მაკ-დონალდი 2010; კოჩკა 1978, 555–89; ვინკლერი 1974.
10. ორი კლასიკოსი: ბერლი / მისი 1932; ბურნამი 1941; იხ. ასევე კოჩკა 1983.

მომხმარებლური საზოგადოების გაკვეთილები

წიგნიდან „თავდაყირა“

ავტორი: ედუარდო გალუანო

თარგმნა გიორგი ხასაიაძე.



ტანტალოსის სასჯელი ღარიბთა ხვედრია. შიმშილითა და წყურვილით დასჯილები, იმითიც ისჯებიან, რომ მათ წინაშე რეკლამებად დაკიდებულ სიამოვნებებს უყურონ. როგორც კი თავს წამოიწევიან, რომ მიწვდნენ, ეს საოცრებები მაშინვე უფრო შორს იწევენ. და თუ მოახერხებენ და რომელიმეს ჩაბლუჯავენ, ციხეში ან სასაფლაოზე აღმოჩნდებიან. პლასტიკური სიამოვნებები, პლასტიკური ოცნებები. სამოთხეში, რომელიც ყველას შეპირდნენ, მაგრამ ცოტასთვის დაჯავშნეს, ნივთები უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ადამიანები კი - უფრო და უფრო უმნიშვნელო. მიზნები დათრგუნულია საშუალებების მიერ: ნივთები გვყიდულობენ, მანქანები გვმართავენ, კომპიუტერები გვაპროგრამებენ, ტელევიზიები გვიყურებენ.

გლობალიზაცია, გლობოლი

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ადამიანი, რომელსაც ვალი არ ქონდა, პატიოსან და ბეჭით ადამიანად მიიჩნეოდა. დღეს ასეთი ადამიანი უცხოპლანეტელად გამოიყურება. ვისაც ვალი არ აქვს, არც არსებობს. მაქვს ვალი, მაშასადამე ვარსებობ. ვინც კრედიტუნარიანი არაა, ვერც სახეს და ვერც სახელს დაიმსახურებს. საკრედიტო ბარათი არსებობის უფლებას ადასტურებს. ვალი აქვს მასაც, ვისაც არაფერი აქვს. ყოველი ადამიანი ან ქვეყანა, რომელიც ამ სამყაროს ეკუთვნის, ცალი ფეხით მინც ამ ხაფანგშია გაბმული.

მწარმოებლური სისტემა, რომელიც ფინანსურ სისტემად იქცა, ამრავლებს მოვალეს, რათა გამრავლოს მომხმარებელი. კარლ მარქსი, რომელმაც ეს ვითარება საუკუნის წინ განჭვრიტა, გვაფრთხილებდა, რომ მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია და წარმოების ჭარბწარმოების კრიზისად ქცევის ტენდენცია აიძულებდა სისტემას, ულიმიტო ზრდისკენ და მისცემდა უსაზღვრო ძალაუფლებას „თანამედროვე ბანკოკრატის“ პარაზიტებს, მარქსის თქმით „ბანდას“, რომელსაც „წარმოების არაფერი გაეგება და მასთან საერთო არაფერი აქვს“.

მოხმარების ამჟამინდელი აფეთქება უფრო ხმაურიანია, ვიდრე ყველა ომი, რომელიც ოდესმე ყოფილა და უფრო ხმაურიანი, ვიდრე მარდი გრას ყველა კარნავალი ერთდროულად. როგორც ძველი თურქული ანდაზა გვასწავლის, ის ვინც სვამს ნისიად, ორჯერ უფრო მაგრად თვრება. ეს ფიქსტა, ეს ღიღი გლობალური

ნაყოფანება, გვარეტიანებს და მზერას გვიბინდავს. მას არ აქვს საზღვრები დროსა და სივრცეში. მომხმარებლური კულტურა დოლივითაა: ასეთ ხმაურს იმიტომ იწვევს, რომ ცარიელია. მაგრამ ჭეშმარიტების მომენტში, როცა აურზაური ცხრება და წვეულება სრულდება, მთვრალი ფიზილდება და საკუთარი აჩრდილის ამარა

თავს მართობაში პოულობს, ხედავს დამსხვრეულ ჭურჭელს, რომელიც უნდა აანაზღაუროს. სისტემა, რომელიც ამოძრავებს მოთხოვნას და აიძულებს გაფართოვდეს, ასევე კედლებსაც უშენებს, რომ მიანარცხოს. ერთის მხრივ სისტემას ჭირდება ბაზრები - სულ უფრო თავისუფალი და ღია, როგორც ფილტვებს ჰაერი, და მეორე მხრივ, ის ითხოვს სულ უფრო იაფ ნედლეულს და ადამიანის შრომას. ეს სისტემა ყველას სახელით ლაპარაკობს, უბრძანებს ყველას, რომ მოიხმარონ და აავადებს დაუფლებების ციებ-ცხელებით. მაგრამ ეს არ მუშაობს: უმეტესობისთვის ეს თავგადასავალი ტელევიზორის ეკრანთან იწყება და მთავრდება. ადამიანთა უმეტესობას, ვინც ვალს იღებს, რომ ნივთებს დაეუფლოს, სულ მალე არაფერი რჩება ვალის გარდა, რომელიც აღებულია ვალის გასასტუმრებლად, რომელიც ახალ ვალებს იწვევს და მათ საბოლოოდ ხელში რჩებათ სამომხმარებლო ფანტაზიები, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ ძარცვით შეიძლება.

სიღარიბენი

- ჭეშმარიტად ღარიბებს დროის გასათვლანგი დროც არ რჩებათ. ჭეშმარიტად ღარიბებს არა აქვთ სიჩუმე და ვერ ყიდულობენ მას.
- ჭეშმარიტად ღარიბებს აქვთ ფეხები, რომლებსაც არ ახსოვთ, როგორ ისეირნონ, როგორც ქათმის ფრთებს აღარ ახსოვთ, როგორ იფრინონ.
- ჭეშმარიტად ღარიბები ჭამენ ნაგავს, თითქოს ეს საჭმელი იყოს და ამაში ფულს იხდიან.
- ჭეშმარიტად ღარიბებს აძლევენ უფლებას ისუნთქონ ქაქი თითქოს ეს ჰაერი იყოს მაგრამ ამისთვის არ ახდევინებენ.

- ჭეშმარიტად ღარიბებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება - სატელევიზიო არხებს შორის.
- ჭეშმარიტად ღარიბებს ვნებიანი დრამები აქვთ საკუთარ მანქანებთან.
- ჭეშმარიტად ღარიბები ყოველთვის მჭიდროდ არიან, მაგრამ ყოველთვის მართო.
- ჭეშმარიტად ღარიბებმა არ იციან, რომ ღარიბები არიან.

კრედიტის მასობრივ ზრდასთან ერთად, შიშობს სოციოლოგი ტომას მოლიანი, ჩილეს ყოველდღიური კულტურა მომხმარებლური სიმბოლოების გარშემო იწყებს ბრუნვას: გარეგნობა, როგორც პიროვნების არსი, მოხერხებულობა, როგორც ცხოვრების წესი, “განვადების გეგმის უტოპია”. კონსუმერიზმი თავს გვეხვეოდა ნაბიჯ-ნაბიჯ, წლიდან წლამდე, მას მერე რაც ჰოკერ ჰანტერის ბომბ-დამშენები ბომბავდნენ სალვადორ ალიენდეს პრეზიდენტის სასახლეს 1973-ში და გენერალი აუგუსტო პინოჩეტი საზეიმოდ აცხადებდა სასწაულების ეპოქის დადგომას. საუკუნის მეოთხედის გასვლის შემდეგ, ნიუ იორკ თაიმზი გვიხსნიდა, რომ ეს იყო „გადატრიალება, რომლითაც დაიწყო ჩილეს გარდაქმნა დაჭაობებული ბანანის რესპუბლიკიდან ლათინური ამერიკის ეკონომიკურ ვარსკვლავობამდე“.

რამდენი ჩილელისთვის ანათებს ეს ვარსკვლავი? მოსახლეობის ერთი მეოთხედი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს და როგორც ქრისტიან-დემოკრატმა სენატორმა ხორხე ლავანდერომ შენიშნა, ასი ყველაზე მდიდარი ჩილელი გამოიმუშავებს ბევრად მეტს ყოველწლიურად, ვიდრე სოციალური სერვისების მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი. უურნალისტმა აშშ-დან მარკ კუპერმა, სამომხმარებლო

სამოთხეში ბევრი თვითმარქვია აღმოაჩინა : ჩილელები, რომლებიც ინგებიან მანქანებში იმის ნაცვლად, რომ მინები ჩამოწიონ, რათა არ გამჟღავნდეს, რომ მანქანაში კონდიციონერა არ აქვთ. ისეთები, რომლებიც სათამაშო მობილურ ტელეფონებზე საუბრობენ, ან ისინი, ვინც საკრედიტო ბარათს იყენებს კარტოფილის შესაძენად ან შარვლის საყიდლად, 12 თვიანი განვადებით. კუპერმა ასევე აღმოაჩინა გაბრაზებული მშრომელები ჯამბოს სუპერმარკეტების ქსელში. ბევრია ისეთი, ვინც შაბათ დილით მაღაზიის კალათებს ყველაზე ძვირფასი პროდუქციით ავსებს და დემონსტრაციულად სეირნობს სუპერმარკეტების დახლებს შორის, მაგრამ შემდეგ ტოვებს საფე კალათებს და გადის უკანა კარებიდან ისე, რომ საღეჭი რეზინის შეკვრასაც კი არ ყიდულობს. ფლანგვის უფლება მცირეთა პრივილეგიაა, რომელსაც ყველას თავისუფლებად გვასაძებენ. მითხარი რამდენს მოიხმარ და გეტყვი რამდენი ღირხარ. ეს ცივილიზაცია ძილის საშუალებას არ აძლევს არც ყვავილებს, არც ქათმებს და არც ადამიანებს. სათბურებში ყვავილები ექვემდებარებიან 24 საათიან განათებას, რათა სწრაფად გაიზარდონ. კვერცხის საწარმოებში ქათმებს ძილს არ აღირსებენ და ადამიანებსაც ძილს უფროთხობს ყიდვით მოგვრილი დარდი და გადახდით მოგვრილი ტკივილი.

წამებული

1998 წლის შემოდგომას, ბუენოს აირესის ცენტრში საქალაქო ავტობუსმა დაბნეული ფეხით მოსიარულე გაიტანა. მსხვერპლი ქუჩაზე გადასვლისას ტელეფონზე საუბრობდა - თავს იკატუნებდა რომ საუბრობდა: ტელეფონი სათამაშო იყო.

ჯადოქრობა

სერო ნორტეს რაიონში, მონტევიდეოს ღარიბ გარეუბანში ჯადოქარმა ქუჩის სანახაობა გამართა. ჯოხის შეხებით ჯერ საკუთარი მუშტიდან, შემდეგ კი ქუდიდან დოლარის კუპიურა აღმოაცენა. სანახაობის დასრულების შემდეგ ჯოხი გაქრა. მომდევნო დღეს მეზობლებმა შენიშნეს ქუჩაში მოსეირნე ფეხშიშველა პატარა ბიჭი ჯადოსნური ჯოხით ხელში. ბიჭი ჯოხს ახებდა ყველაფერს რაც გზად შეხვდებოდა და შემდეგ სასწაულს უცდიდა.

ამ უბანში მცხოვრები სხვა ბავშვების მსგავსად, ამ 9 წლის ბიჭსაც უყვარდა ცხვირის ჩაყოფა წებოთი სავსე ცელოფნის პარკში. ერხელ მან განმარტა რატომ: „ამას სხვა ქვეყანაში მიყვარდა“.

ცხოვრების ეს წესი შეიძლება არაჯანსაღი იყოს, მაგრამ შესანიშნავია ფარმაცევტული ბიზნესისთვის. შეერთებულ შტატებში ადამიანები მოიხმარენ მსოფლიოში გაყიდული საძილე აბების, ტრანკვილიზატორების და სხვა ლეგალური წამლების ნახევარს. ისევე როგორც არალეგალური ნარკოტიკების ნახევარს, ცოტა ნამდვილად არ არის, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 5%-ია. „უბედურია ხალხი, რომელიც სხვების მიბაძვით ცხოვრობს“, ჩივის ქალი მონტევიდეოს გარეუბან ბუსეოში. არყოფნის ტკივილი, რომელზეც ტანგო გვიყვებოდა, შეიცვალა არქონის სირცხვილით. ღარიბი ადამიანი სიბრაღეულის ობიექტია. „როცა არაფერი გაგაჩნია, ფიქრობ რომ არაფრად არ ღირხარ“ - ამბობს ახალგაზრდა კაცი ბუენოს აირესის უბნიდან ვილა ფიორიტო. და მეორე ახალგაზრდა სან ფრანცისკო დე მაკორისიდან (დომინიკელთა რეპუბლიკა), დაამატებს: „ჩემი ძმები ბრენდებისთვის

მუშაობენ. ისინი ცხოვრობენ, რათა შეიძინონ ეტიკეტები, და ისინი მუშაობენ დილიდან დაღამებამდე რომ გადახდა შეძლონ.

ეს ხუმრობაა/2

მოსკოვის გარეუბანში მანქანა დაიმტვრა. ნამსხვრევეებიდან გადმო-
ბობღებული მძღოლი ქვითინებდა: „ჩემი მერსედესი... ჩემი მერ-
სედესი...“

მას უთხრეს: „მეგობარო, მანქანას ჩივიხარ? მკლავი მოგძვრა!“ კაცმა
თვალი შეავლო საკუთარ სისხლიან მხარს და გააგრძელა: „ჩემი
როლექსი, ჩემი როლექსი!“

ბაზრის უხილავი ძალადობა : მრავალფეროვნება მოგების მტერია,
ხოლო ერთფეროვნება - წესი. გიგანტური მასშტაბის მასობრივი
წარმოება ყველგან ანესებს მოხმარების სავალდებულო სტანდარ-
ტებს. ნებისმიერ ერთპარტიულ დიქტატურაზე აუტანელი იძულებითი
ერთფეროვნებაა. ის მთელ მსოფლიოს თავს ახვევს ცხოვრების წესს,
რომელიც ადამიანებს კვლავწარმოებს ისე, თითქოს ისინი სრულ-
ფასოვანი მომხმარებლის ფოტოასლები იყვნენ.

სრულფასოვანი მომხმარებელი არის ადამიანი, რომელიც მშვიდად
ზის. ამ ცივილიზაციას ერთმანეთში ერევა რაოდენობა და ხარისხი,
ასევე სიმსუქნე და ჯანსაღი კვება. ბრიტანული სამეცნიერო ჟურნალის
ლანცეტის მიხედვით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე
განვითარებულ ქვეყნებში „მძიმე ფორმის სიმსუქნე“ ახალგაზრდებში
30 %-თ გაიზარდა. აშშ-ში მცხოვრებ ბავშვებში კი ბოლო 16 წლის
განმავლობაში სიმსუქნე 40 %-თ გაიზარდა. ქვეყანაში, რომელმაც
გამოიგონა „მსუბუქი“, „დიეტური“ და „უცხიმი“ საკვები, მსოფლიოში
ყველაზე მეტი მსუქანი ადამიანი ცხოვრობს. სრულფასოვანი მომხმარ-

რებელი მანქანიდან მხოლოდ მაშინ გადმოდის, როცა სამუშაო აქვს, ან როცა ტელევიზორის ყურება უნდა. ის ყოველდღიურად 4 საათს ატარებს პატარა ეკრანის წინ და მიირთმევს პლასტიკურ საკვებს.

ეს არ არის ხუმრობა/2

1998 წლის გაზაფხულზე, ვენაში ახლად შექმნილი სუნამო მონათლა. კამერებმა გადაიღეს ცერემონია, რომელიც ავსტრიის ბანკის საცავში ჩატარდა. ახალშობილს ეწოდა ქეში და იგი ფულის სურნელს აფრქვევდა. სხვა ნათლობებიც იგეგმება გერმანიის ღოიჩე ბანკში და შვეიცარიის იუნიონ დე ბანკ სუისში.

ქეშის შექმნა მხოლოდ ინტერნეტით ან ექსკლუზიურ ბუტიკებშია შესაძლებელია. „ჩვენ გვსურს რომ ქეში პარაფიუმერიის ფერარი გახდეს“ - აცხადებენ შემქმნელები.

საკვებად გასაღებული ნაგავი იპყრობს გემოვნებას ყველგან და აქრობს ადგილობრივ კულინარიულ ტრადიციებს. კვების ნატიფი ტრადიცია, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ათასობით წლის განმავლობაში ვითარდებოდა და მკვიდრდებოდა, წარმოადგენს კოლექტიურ მემკვიდრეობას, რომელიც ყველას უნდა ეკუთვნოდეს და არა მხოლოდ მდიდრების მაგიდას. ამგვარი ტრადიციები, კულტურული იდენტობის ამგვარი ნიშნები, ცხოვრების ასეთი ზემოეზი იჩაგრება ჰამბურგერების გლობალიზაციით, სწრაფი კვების დიქტატურით. საკვების მსოფლიო მასშტაბის კოკა-კოლონიზაცია, რომელიც მაკდონალდსის, ბურგერ კინგის და მსგავსთა მიერ ხორციელდება, არღვევს კულინარიის თვითგამორკვევის უფლებას - წმინდა უფლებას, რამდენადაც პირი, როგორც ვიცით, სულის ერთ-ერთი კარიბჭეა.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა ფეხბურთში დაადასტურა, რომ მასტერქარდი აყენებს კუნთებს, კოკა-კოლა უზრუნველყოფს მარადიულ სიჭაბუკეს, ხოლო კარგი

ათლეტი ვერაფერს გახდება მაკდონალდსის კარტოფილი ფრის გარეშე. მაკდონალდსის ოქროს თაღები იქცა სტანდარტად აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიის ათვისებისას. როცა 1990 წელს მოსკოვში პირველი მაკდონალდსი პომპეზურად გაიხსნა, მასთან მდგარი მოქალაქეების უსასრულო რიგი დასავლეთის გამარჯვების ისეთივე მეტყველი სიმბოლო იყო, როგორც ბერლინის კედლის დანგრევა.

კომპანია, რომელიც თავისუფალ სამყაროს განასახიერებს, საკუთარ თანამშრომლებს პროფესიულ კავშირში განეწვრიანებას უკრძალავს - ეს დროის ნიშანია. ამგვარად, მაკდონალდსი არღვევს ლეგალურად დაშვებულ უფლებებს მრავალ ქვეყანაში, სადაც ის წარმოდგენილია. 1997 წელს მშრომელების მცირე ჯგუფმა (რომლებსაც კომპანია მაკფემილის უწოდებს) მონრეალში პროფკავშირის შექმნა განიზრახა. რესტორანი დაიხურა. ერთი წლის შემდეგ დასაქმებულებმა ვანკუვერთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქში მიზანს მიაღწიეს, რაც გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის ღირსი გმირობაა.

1996 წელს, ორმა ბრიტანელმა გარემოსდამცველმა აქტივისტმა, ჰელენ სტილმა და დევიდ მორისმა მაკდონალდსს უჩივლეს თანამშრომლებისთვის ცუდი მოპყრობის, ბუნების განადგურებისა და ბავშვების ემოციებით მანიპულაციისთვის. კომპანიის თანამშრომლებს ცუდად უხდიან და საშინელ პირობებში ამუშავებენ და მათ პროფესიული კავშირის შექმნის უფლებას არ აძლევენ. ტროპიკული ხეები იჩეხება და ადგილობრივი მოსახლეობა იძულებულია გადასახლდეს და ეს ყველაფერი ჰამბურგერების მოსამზადებლად საჭირო ხორცის გამო ხდება. გარდა ამისა, მაკდონალდსი მისი

მრავალმილიონიანი სარეკლამო კამპანიებით ემუქრება საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ბავშვებს ანდომებს რა საეჭვო საკვები ღირებულების საჭმელს.

სარჩელს, რომელიც თავიდან კოლოს ნაკბენს გავდა სპილოს ზურგზე, მოულოდნელი ეფექტი აღმოაჩნდა - ინფორმირებული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რომელიც ხანგრძლივ და ძვირადღირებულ თავის ტკივილად ექცა კომპანიას, რომლის ძალაუფლებაც აქამდე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. შეერთებულ შტატებში მაკდონალდსში უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე ფოლადის ინდუსტრიაში და 1997 წელს გაყიდვები უფრო მეტი ქონდა, ვიდრე არგენტინისა და უნგრეთის ექსპორტი იყო ერთად აღებული. მისი მთავარი პროდუქტი ბიგ მაკი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მისი ფასი გამოიყენება, როგორც ღირებულების ერთეული საერთაშორისო ფინანსური გადარიცხვებისას: ვირტუალური ეკონომიკა სწორდება ვირტუალურ საკვებზე.

მაკდონალდსის ბრაზილიური რეკლამის თანახმად, ბიგ მაკი ჰგავს სიყვარულს. ყველითა და კიტრის მწნილით აღვზნებული ორი სხეული, ეხვევიან და კოცნიან ერთმანეთს და გამოყოფენ თავისებურ სოუსს, იმავდროულად კი მათი ხახვის გულელები აღელვებით მიიწევენ სალათის მწვანე იმედისკენ.

იაფი ფასები, სწრაფი მომსახურება: ადამიანის სხეულის მექანიზმი კვლავ იქოქება და უბრუნდება სამუშაოს. გერმანელი მწერალი გიუნტერ ვალრაფი მუშაობდა ერთერთ ასეთ გაზგასამართ სადგურზე 1983 წელს, მაკდონალდსში ქალაქ ჰამბურგში, რომელიც რა თქმა უნდა უბრალოა ყველაფერში რაც მისი სახელით ვაკეთდა. ის მუშაობდა, შესვენების გარეშე მაღალ ტემპში, აღუღებული ზეთის შეხეფებით სამუშაო ტანაცმელზე: გამლღვარ ჰამბურგერებს 10 წუთის სიცოცხლე აქვთ, შემდეგ ისინი ყარს. ამიტომ მაშინვე ღუმელზე უნდა

გადაიტანოთ. კარტოფილს, ბოსტნეულს, ხორცს, თევზს, ქათამს - ყველაფერს ერთი გემო აქვს, ქიმიური ინდუსტრიის მიერ ნაკარნახევი გემო, რომელიც საღებავების საშუალებით ხორცის 25%-იან ცხიმის შემადგენლობას ფარავს. ნაგავი ახალი ათასწლეულის ყველაზე წარმატებული საკვებია. მისი შეფები სწავლობენ ჰამბურგერის უნივერსიტეტში ელკ გრუეში, ილინოისი. მაგრამ ბიზნესის მფლობელები, კარგად ინფორმირებული წყაროების მიხედვით, ამჯობინებენ ელეგანტურ რესტორნებს, ე.წ. „ეთნიკური სამზარეულოთი“: იაპონური, ტაილანდური, სპარსული, ინდური, მექსიკური... დემოკრატიაში სასაცილო არაფერია.

სახეები და ნიღბები/1

მხოლოდ ღარიბები არიან დასჯილები სიმახინჯით და სიბერით. მდიდრებს შეუძლიათ, იყიდონ თმები, ცხვირები, ქუთუთოები, ტუჩები, ღანვები, ძუძუები, მუცლები, ტრაკები, ბარძაყები ან წვივები, რათა გამოასწორონ ბუნების შეცდომები და შეანელონ ჟამთა სვლა. პლასტიკური ქირურგიის საოპერაციო ოთახები თავისებური სავაჭრო ცენტრებია, სადაც შეგიძლიათ იპოვოთ სასურველი სახე, სხეული და ასაკი. „ქირურგია სულის საჭიროებაა“ - გვიხსნის როდენის არგენტინელი მოპასუხე რობერტო ზელიკოვიჩი. ლიმაში ბილბორდები გთავაზობენ სრულყოფილ ცხვირებს და თეთრ კანს - ყოველ საფულეს, რომელიც მათ განვდება. პერუს ტელევიზია ინტერვიუს იღებს ახალგაზრდა კაცისგან, რომელმაც თავისი არწივისებრი ინდური ცხვირი შეცვალა ხორცის პატარა ბურთით და ამყად დემონსტრირებს კამერების წინ. ამბობს, რომ გოგოებს ახლა უფრო მოწონთ.

ლოს-ანჟელესის, სან პაულოს და ბუენოს აირესის მსგავს ქალაქებში მდიდრებს აქვთ ფუფუნება ეწვიონ პლასტიკური ქირურგიის ოთახებს,

ისე როგორც სხვები სტომატოლოგიურ კაბინეტებს სტუმრობენ. რამდენიმე წლისა და რამდენიმე ოპერაციის შემდეგ ისინი ყველანი ერთმანეთს ემსგავსებიან. კაცი გავს მუმიას ნაოჭების გარეშე, ქალი - დრაკულას შეყვარებულს და ყველა მათგანს ზღუდავს თვით-გამოხატვის პრობლემები. როცა ისინი თვალს გიკრავენ, მათი ჭიპები ხტუნავენ.

სახეები და ნიღბები/2

ლათინური ამერიკის ქალაქები ასევე იჭიმავენ სახის კანს, რომ გააქრონ ასაკი და წაშალონ იდეტობა. მაგრამ საკუთარი ნაოჭებისა და გრძელი ცხვირების გარეშე, ეს ქალაქები მესხიერებასაც კარგავენ. ისინი სულ უფრო და უფრო აღარ ჰგვანან საკუთარ თავს და სულ უფრო და უფრო ემსგავსებიან სხვას.

ქალაქის ჰორიზონტს აყალიბებენ მაღალი პრიზმები, კუბები და ცილინდრები - საერთაშორისო ბრენდების სახელებით გიგანტური ასოებით დაგვირგვინებულები. სავალდებულო კლონირების ეპოქაში, ქალაქის ნამდვილი დამგვემარებლები სარეკლამო სააგენტოები არიან.

მომხმარებელი მასები ბრძანებებს უნივერსალურ ენაზე იღებენ. რეკლამამ შეძლო ის, რაც ვერ შეძლო ესპერანტომ. ყოველი ადამიანი ყოველ წერტილში იგებს, რას იუწყება ტელევიზია. საუკუნის ბოლო მეოთხედში რეკლამაში გლობალურად განეული ხარჯი გაორმაგდა. ამ ფაქტის წყალობით ღარიბი ბავშვები სვამენ უფრო მეტ კოკა-კოლას ვიდრე რძეს და მოცალეობა შთანთქმულია სავალდებულო მოხმარებით. თავისუფალი დრო დატუსაღებულია: ღარიბებს არ აქვთ ლოგინები, მაგრამ შეიძლება ქონდეთ ტელევიზორები.

კრედიტით ნაყიდი ეს პატარა მხეცი პროგრესის დემოკრატიული ბუნების დადასტურებაა - ის არავის უსმენს, მაგრამ ყველასთვის ლაპარაკობს. ამგვარად, მდიდრები და ღარიბები ერთნაირად შეიყნობენ უახლესი ავტომობილის სიკეთეებს და ერთნაირად აღმოაჩენენ რომელიმე ბანკის მიერ შემოთავაზებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. „ღარიბი ის არის, ვისაც არავინ ჰყავს“ - გაუთავებლად იმეორებს მოხუცი ქალი სან პაულოს ქუჩებში, რომელიც საკუთარ თავს ელაპარაკება. ადამიანების რაოდენობა პლანეტაზე უფრო მეტია ვიდრე ოდესმე, მაგრამ უფრო მარტონი არიან ვიდრე აქამდე. დიდი ქალაქები გადავსებულია ამ მარტოსულებით. „უკაცრავად, ხომ ვერ განვედით თქვენს იდაყვს ჩემი თვალიდან?“ - კითხულობენ ისინი.

ექსპერტებმა იციან, როგორ აქციონ ნივთები მაგიურ თილისმებად მარტოობის წინააღმდეგ. ნივთებს აქვს ადამიანის თვისებები: ისინი ზრუნავენ, დაგემგზავრებიან, გაგიგებენ, გეხმარებიან. სუნამო გეამბორება, მანქანა არასდროს გიღალატებს. მომხმარებლური კულტურა მარტოობაში ყველაზე მომგებიან ბაზარს პოულობს. გულის იარებს ნივთები ამოგივსებენ, ან ნივთებზე ოცნება - სულერთია. ნივთებს შეუძლიათ იყვნენ ჩახუტებაზე მეტი, მათ შეუძლიათ იყვნენ სოციალური მობილობის სიმბოლოები, პასპორტები, რომლითაც კლასობრივი საზოგადოების საზღვრის მცველებს გვერდს აუვლი, გასაღებები, რომლითაც მჭიდროდ დახურულ კარებს გააღებ. რაც უფრო ექსკლუზიურია, მით უკეთესი. ნივთები გამოგარჩევენ მასიდან და არარაობად ყოფნისგან დაგაზღვევენ. რეკლამა იშვიათად გვიყვება გაყიდულ პროდუქტებზე. რეკლამის მთავარი ფუნქცია იმედგაცრუებების კომპენსირება და ფანტაზიების გამოკვებაა. ვინ გინდა გახდე ამ გაპარსვის შემდგომი ლოსიონის შექმნით?

კრიმინოლოგი ენტონი პლატი ამტკიცებს, რომ ქუჩის კრიმინალი უკიდურესი სიღარიბის ღვიძლი შვილია. ის ასევე ინდივიდუალიზმის ეთიკის შედეგაცაა. წარმატებულობით შეპყრობილობა , ამბობს პლატი, გადამწყვეტ როლს თამაშობს

ნივთების არალეგალური მითვისების პრაქტიკაში. ყოველთვის მეს-
მოდა, რომ ფულით ბედნიერებას ვერ იყიდი, მაგრამ ყოველ დარბი
ტელევიზორის მაყურებელს აქვს საფუძველი ჯეროდეს, რომ ფულს
შეუძლია იყიდოს რაღაც, რაც ისე ახლოსაა ბედნიერებასთან, რომ
განსხვავება შეგვიძლია სპეციალისტებს მივანდოთ. ისტორიკოს ერიკ
ჰობსბაუმის მიხედვით, მე-20-ე საუკუნემ დაასრულა ადამიანთა 7000
წლიანი, მინათმოქმედებაზე (ან სოფლის მეურნეობაზე) დაფუძ-
ნებული ცხოვრება, რომელიც პალეოლითის ხანის ბოლოს დაიწყო.
სოფლიოს მოსახლეობა ურბანული ხდება, გლეხები მოქალაქეები
ხდებიან. ლათინურ ამერიკაში ჩვენ გვაქვს ცარიელი ველები და
არანორმალური ურბანული ჭიანჭველის ბუდეები, თანამედროვე
საექსპორტო სოფლის მეურნეობითა და თავიანთი მიწის ნაკვეთების
ეროზიით შევიწროებული და გაგდებული გლეხები ბარაკებს ავსებენ.
მათ წამთ, რომ ღმერთი ყველგანაა, მაგრამ გამოცდილება კარ-
ნახობთ, რომ მთავარი ოფისი ქალაქში აქვს. ქალაქები პირდება მათ
სამუშაოს, კეთილდღეობას, შვილების მომავალს. სოფელში, იმე-
დიანად უყურებენ როგორ გადის ცხოვრება და მოქნარებით კვდე-
ბიან. ქალაქში ცხოვრება ჩქევს და გიხმობს. ქალაქში ახლად-
ჩამოსულები, ბარაკებსა და ჯურღმულებში შეყუჟულები მალევე
აღმოაჩენენ, რომ სამუშაო ყველასთვის არაა, რომ არაფერია უფასო
და რომ

ყველაზე ძვირადღირებული ფუფუნება ჰაერი და სიჩუმეა.

მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულს, მამა ჯიორდანო და რივალტომ
ფლორენციიდან, ქალაქებს ელევები მიუძღვნა. ის ამბობდა, რომ

ქალაქები შენდება „რადგან ადამიანებს სიამოვნებთ ერთად ყოფნა“. ერთად ყოფნა, შეხვედრები. ვინ ვის ხვდება ახლა? ასახავს თუ არა იმედი რეალობას? სურვილები თუ არის საქმესთან თანხვედრაში და ადამიანები თუ ხვდებიან სხვა ადამიანებს? თუ ადამიანური ურთიერთობები ნივთებს შორის ურთიერთობამდე დავიდა, რამდენი ადამიანი ხვდება ნივთებს?

სამყარო ერთი დიდი ტელევიზორის ეკრანი ხდება: უყურე და უსმინე, მაგრამ არ შეეხო. გამოფენილი ნივთები იკავებენ და ყიდიან საჯარო სივრცეებს. ავტობუსებისა და მეტროს სადგურები, არც ისე დიდი ხნის წინ ადამიანების შეხვედრის ადგილები, კომერციულ ბაზრებად იქცა.

სავაჭრო მოლი, ყველაზე მაღალი ვიტრინა ვიტრინათა შორის, თავს გვეხვევა და ბატონობს ჩვენს ცხოვრებაზე. ადამიანთა ნაკადები მოსალოცად მიდიან იქ, ტაძართა შორის უდიადესში, მასობრივი მოხმარების აღსანიშნავად. მიმდევართა უმეტესობა ექსტაზში მყოფი ჭვრეტს ნივთებს, რომელსაც ვერ წვდება, ხოლო მყიდველი უმცირესობა კი ფასდაკლების რეკლამის შეებრალებელ, გამანადგურებელ დაბომბვამია მოყოლილი. ზევით და ქვევით ესკალატორებით მოძრავი მასები ათვალთქვებიან მანეკენებს, პარიზულ ან მილანურ მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილებს და უსმენენ სტერეო სისტემებს, რომლებიც ისე უღერს, როგორც ჩიკაგოში იუღერებდა და ამ ყველაფრის ნახვა და მოსმენა უფასოა. ტურისტები რეგიონებიდან და სოფლებიდან, ამ თანამედროვე ბედნიერების წყალობისგან ჯერ კიდევ თავისუფალნი, სურათების გადასაღებად პოზირებენ საერთაშორისო ბრენდების სიახლოვეს, ისევე როგორც მოედნებზე

პოზირებენ ეროვნული გმირის ქანდაკების ქვეშ. გარეუბნების უქონელი მაცხოვრებლებისთვის, შენიშნავს არგენტინელი სოციოლოგი ბეატრის სარლო, ტრადიციული შაბათ-კვირის გასვლები თანდათან ჩაანაცვლა ამგვარ ურბანულ ოაზისებში ექსკურსიებმა. თავიანთ

საუკეთესო გამოსასვლელ ტანსაცმელში გამოწყობილი სტუმრები მიდიან წვეულებაზე და კარგად იციან, რომ ამ წვეულებაზე მხოლოდ დეკორატიული ყვავილის ფუნქციას თუ შეასრულებენ. ოჯახები სხდებიან კოსმოსურ კაფსულებში, რათა მოხმარების სამყაროში იმოგზაურონ და ჰალუცინატორულ ეკრანზე ათვალეირონ ბაზრის ესთეტიკის მიერ შემოთავაზებული მოდელები, ბრენდები და ეტიკეტები.

დღევები

გაუგებარია, შობას ქრისტეს დაბადებას აღვნიშნავთ თუ ვაჭრობის ღმერთის, მერკურის. ალბათ მერკური თუ მოიგონებდა სავალდებულო შოპინგის დღეებს: მამის დღე, დედის დღე, ბავშვთა დღე, ბებიების და ბაბუების დღე, ვალენთინის დღე, მეგობრობის დღე, მდივნის დღე, პოლიციელის დღე, მედლის დღე. ყოველ წელს სულ უფრო მეტი ვილაცის დღეა კალენდარზე. ამ ტემპით, ჩვენ ალბათ მალე აღვნიშნავთ უცნობი არამზადას, ანონიმი კორუმპირებული ჩინოვნიკის და უკანასკნელი გადარჩენილი მშრომელის დღეებსაც.

დიდი დღე

მათ თავი გააქვთ ნავით, ჭამენ ნაგავს და ცხოვრობენ ნავის სახლებში. მაგრამ წელიწადში ერთხელ მანაგუას ნავის შემგროვებლები ჩნდებიან სატელევიზიო შოუში, რომელიც მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. „ბენ ჰურის რბოლები“ ბიზნესმენის შთაგონებით შეიქმნა, რომელიც მაიამიდან ნიკარაგუაში დაბრუნდა, რათა „ნიკარაგუას ამერიკანიზაციაში“ საკუთარი წვლილი შეიტანოს. აჭენებენ რა ნავისგან დამზადებულ ეტლებს, ნავის შემგროვებლები აწეული მუშტებით ესალმებიან ქვეყნის პრეზიდენტს, აშშ-ს ელჩს და სხვა ღირსეულ ფიგურებს, რომლებიც შეკრებილან პატივცემულთა

პედესტალზე. მონაწილეებს ყოველდღიური ძონძები ფართო ჭრელი ტანსაცმლით აქვთ დაფარული, ხოლო თავებს რომაელი ჯარისკაცების ბუმბულიანი ჩაფხუტები უმშვენებთ. მათ მონჯღრეულ ეტლებზე კარგად ჩანს სპონსორების სახელები. გაძვალტყავებული ცხენები, ღია წყლულებით დაფარულები და დაბეჩავებულები, როგორც მათი პატრონები, ფინიშის ხაზისკენ დიდებისთვის და ერთი შეკვრა გაზიანი სასმელისთვის მიქრიან.

საყვირების გნისაში სასტარტო ალაში ეშვება და ეტლები ადგილებს წყდებიან. შოლტებს ტკაცანი გაუდით ცხენების გაძვალტყავებულ გვერდებზე და აღგზნებული ბრბო ყვირის: „კო-კა-კო-ლა! კო-კა-კო-ლა!“.

მომხმარებლური კულტურისთვის, ეფემერული კულტურისთვის ყველაფერი მალფუჭებადი. ყველაფერი იცვლება მოდის თავბრუდამხვევ ტემპთან ერთად,

გაყიდვის აუცილებლობასთან მორჩილებით. საგნები თვალის დახამხამებაში ძველდებიან, რათა შეიცვალონ სხვა, არანაკლებ მალფუჭებადი საგნებით. როცა მხოლოდ დაუცველობაა მუდმივი, გასაცვითად შექმნილი ნივთები ისეთივე არასტაბილურია, როგორც მისი დამფინანსებელი კაპიტალი და მისი შემქმნელი შრომა. ფული სინათლის სიჩქარით დაფრინავს - გუშინ იქ იყო, დღეს-აქაა, ხვალ არავინ იცის სად იქნება - და ყოველი მშრომელი პოტენციური ახალწვეულია უმუშევართა უზარმაზარ არმიამი. პარადოქსულად, სწორედ სავაჭრო მოღვლები, წარმავალი მოდის ეს სამეფოები გთავაზობენ დაცულობის ყველაზე წარმატებულ ილუზიას. ისინი თითქოს დროის მიღმა არსებობენ, ასაკისა და ფესვების გარეშე,

დღის, ღამისა და მესხიერების გარეშე, არასტაბილური და სახიფათო რეალობის მიღმა.

გლობალური მინდორი

არსებული სახით, ფეხბურთი საუკუნის წინ დაიბადა. ის დაბადებიდან ინგლისურად ლაპარაკობდა და კვლავ ინგლისურად ლაპარაკობს ყველგან, სადაც მას თამაშობენ. მაგრამ ახლა ჩვენ გვესმის მის მიერ კარგი „სპონსორებისთვის“ მიძღვნილი საქებარი სიმღერები და ხოტბა „მარკეტინგისადმი“, იმგვარივე ვნებით, როგორითაც ადრე კარგ „ფორვარდს“ და „დრიბლინგის“ ხელოვნებას აქებდნენ.

ტურნირებს იმათი სახელები ქვია ვინც იხდის და არა იმათი, ვინც თამაშობს. არგენტინის ჩემპიონატს პეპსი-კოლა ქვია. კოკა-კოლა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის სახელია. კონტინენტა-შორისი საკლუბო ტურნირის სახელი ტოიოტას თასია.

მსოფლიოს ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობის ფანისთვის, ყველაზე გავრცელებული ფანატიკური გზნების მიმდევრისთვის გუნდის მაისური წმინდა მანტიაა, მეორე კანია. მაგრამ ეს მაისურიც მოსიარულე ბილბორდად გადაიქცა. 1998 წელს ვენის რაპიდის ფეხბურთელები ერთდროულად ოთხ რეკლამას ატარებდნენ. მაისურზე დატანილი იყო ბანკის, კომპანიისა და მანქანების ბრენდის რეკლამა, ხოლო შორტებზე – საკრედიტო ბარათის. როცა ბუენოს აირესის დერბოში რივერ პლეიტი და ბოკა ხუნიორსი ერთმანეთს ეთამაშებიან, ეს არის ქილმესი ქილმესის წინააღმდეგ: ორივე გუნდი ლუდის ერთი და იგივე ბრენდის სახელს ატარებს. გლობალიზაციის ერაში რივერი ასევე თამაშობს ადიდასისთვის და ბოკა – ნაიკისთვის. ფაქტობრივად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადიდასმა დაამარცხა ნაიკი,

როცა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთმა ბრაზილიას მოუგო.

ამ კეთილდღეობის თავშესაფრებში, შენ შეგიძლია ყველაფერი აკეთო ისე, რომ არ შეეხო სიბინძურეს, რომელიც გარეთ ტრიალებს. ზოგიერთ მათგანში ძილიც კია შესაძლებელი. ლოს-ანჯელესა და ლას ვეგასში, ზოგიერთი ასეთი ადგილი მოიცავს სასტუმროსა და სავარჯიშო დარბაზებსაც კი. მოლები დაცულია დაბინძურებისა და ძალადობისგან. მაიკლ ა. პეტი აქვეყნებს სამეცნიერო რჩევას

სახელწოდებით „იყავი დღეგრძელი“. პეტის თქმით, ქალაქებში „დაბალი ხარისხის ჰაერით“, მათ ვისაც ხანგრძლივი სიცოცხლე უნდა, „შოპინგ ცენტრებში უნდა იაროს“. მეხიკოს, სან პაულოსა და სანტიაგოს თავზე ატომური ღრუბლები დაცურავენ და ქუჩების კუთხეებში მძარცველები არიან ჩასაფრებულები. მაშინ, როცა ამ, სამყაროს მიღმა გასულ უზრუნველ სივრცეებში - გაფილტრული ჰაერთა და დაცული დერეფნებით - შეგიძლია უვნებლად ისუნთყო და ისეირნო.

მოლები ასე თუ ისე ყველა ერთმანეთს გავს, ლოს ანჯელესში თუ ბანგკოკში, ბუენოს აირესსა თუ გლაზგოში. თუმცა ერთგვაროვნება არ გამოორიცხავს კონკურენციას კლიენტების მოსაზიდად და ამ პროცესში ახალ-ახალი სატყუარების გამოგონებას. მაგალითისთვის, 1991 წლის ბოლოს, უურნალი ვეჟა (ვეჯა) ხოტბას ასხამდა ახლად დანერგილ სიახლეს მოლში პრაია დე ბელა (პორტუ ალეგრი, ბრაზილია): „ჩვილების კომფორტისთვის, მათ მოიმარაგეს სპეციალური ეტლები, რომ ამ პატარა მომხმარებლებმა გადაადგილება შეძლონ“. მაგრამ მაინც უსაფრთხოებაა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რასაც შოპინგ ცენტრები გვთავაზობენ. უსაფრთხოდ ყოფნა შეუძლია ნებისმიერს,

ვინც ამ ბუნკერში შეაღწევს. თავისი უსაზღვროდ გაშლილი ხელით მომხმარებლური კულტურა

გასცემს უსაფრთხოების საშვებს რათა ქუჩების ჯოჯოხეთს თავი დავაღწიოთ. ავტოსადგომებით, როგორც უზარმაზარი თხრილებით გარშემორტყმული ეს კუნძულის სამეფოები ქმნიან დახურულ და დაცულ სივრცეებს, რომლებშიც ადამიანები იკვეთებიან გადაუდებელი ფლობის სურვილით, ისევე როგორც ადრე იკვეთებოდნენ ურთიერთობის სურვილით, კაფეებსა თუ მოედნებზე, პარკებსა თუ ძველ ბაზრობებზე. საჯარო პოლიცია და კერძო პოლიცია, ხილული პოლიცია და უხილავი პოლიცია ყურადღებითაა, რომ ყველა ვინც საეჭვოა, ქუჩაში მოისროლოს, ან ციხეში ჩააგდოს. ღარიბები, რომლებიც ვერ ახერხებენ დამალონ თავიანთი ჩვეული გაბოროტება, როგორც წესი მუქვანიანები, დამნაშავეებად ითვლებიან, სანამ მათი უდანაშაულობა არ დამტკიცდება. და თუ ისინი ბავშვები არიან, უფრო უარესი - გაბოროტება ასაკის უკუპროპორციულია. 1979 წელს, კოლუმბიის პოლიცია სამხრეთ ამერიკის პოლიციის კონგრესს ატყობინებდა, რომ მათი ახალგაზრდული დანაყოფები იძულებულიები იყვნენ უარი ეთქვათ სოციალური მუშაკების პასუხისმგებლობაზე, რათა საშიშ არასრულწლოვანთა „ბოროტმოქმედებები აღეკვეთათ“ და „არ დაეშვათ შოპინგ ცენტრებში მათი ყოფნით გამოწვეული მავნებლობა“.

ინექცია

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, მწერალმა ფელისბერტო ჰერნანდესმა გამოაქვეყნა წინასწარმეტყველური მოთხრობა. თეთრ ტანსაცმელში ჩაცმული კაცი, შპრიციით ხელში, მონტევიდეოში ტრამვაებით მგზავრობს და ყველა მგზავრს მკლავზე ნემსით

ჩხვლეტს. შედეგად მათ მაშინვე საიდანღაც ესმით კანარის ავეჯის ქარხნის რეკლამების მუსიკა. საკუთარი ვენებიდან რეკლამის მოსაშორებლად ისინი იძულებულები არიან აფთიაქში კანარის აბები იყიდონ ჩხვლეტის ეფექტის შესამცირებლად.

მინიატურულ ქალაქებად გადაქცეულ ამ გიგანტურ სუპერმარკეტებს იცავს ელექტრონული კონტროლის სისტემები - თვალები, რომლებიც ხელავენ მაგრამ თავად შეუმჩნეველნი არიან, ფარული კამერები, რომლებიც ნივთებს შორის მოხეტიალე ბრბოს უთვალ-თვალევენ. კონტროლის ეს სისტემები გამოსადეგარია არა მხოლოდ თვალთვალისა და იმათი დასჯისთვის, ვინც შეიძლება აკრძალული ხილის ძლიერ ცდუნებას ვერ გაუძლოს, არამედ მეტი მოხმარების წახალისებისთვისაც. კიბერნეტიკის ეპოქაში, როცა მოქალაქეობის უფლება დამყარებულია მოხმარების ვალდებულებაზე, დიდი კომპანიები ფლობენ ინფორმაციას ყოველი მოქალაქის ჩვევების შესახებ, იღებენ რა მონაცემებს საკრედიტო ბარათებიდან, ბანკომატებიდან და ელექტრონული ფოსტებიდან რათა შეისწავლონ პოტენციური მომხმარებლის შემოსავლები და შემდეგ რეკლამებით დაბომბონ. ეს უფრო თვალშისაცემია მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც ონლაინ სამყაროს კომერციული მანიპულაცია თავისუფლად იჭრება პირად ცხოვრებაში და მას ბაზრის სამსახურში აყენებს. სულ უფრო შეუძლებელი ხდება, მაგ. აშშ-ს მოქალაქისთვის, საიდუმლოდ შეინახოს რას ყიდულობს, რა დაავადებები აწუხებს, რამდენი ფული აქვს და რამდენი - ვალი. მონაცემებზე დაყრდნობით ძნელი მისახვედრი არაა, რომელ ახალ მომსახურებებში გადაიხდიდა ფულს, აიღებდა თუ არა ახალ ვალს ან რომელ ახალ ნივთებს შეიძენდა.

არ აქვს მნიშვნელობა რამდენს ვყიდულობთ, ის მაინც ყოველთვის ცოტა იქნება იმასთან შედარებით, რაც უნდა გაიყიდოს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ავტომანქანების ინდუსტრიამ იმაზე მეტი მანქანა გამოუშვა, ვიდრე ბაზარს ათვისება შეუძლია. ლათინური ამერიკის დიდი ქალაქები აგრძელებენ მათ ყიდვას, მაგრამ გაჭედ-ლილები არიან იმას, რაც მსოფლიო ბაზარს მიაქვს და იმას შორის, რასაც მსოფლიო ბაზარი იძლევა -აკვიატებულ მოხმარებასა, რომელიც ითხოვს უფრო მაღალ ხელფასებს და კონკურენციის აუცილებლობას შორის, რომელსაც ხელფასების შემცირება ჭირდება.

ავიღოთ მანქანის მაგალითი, რომელსაც რეკლამა ხატავს, როგორც ყველასთვის ხელმისაწვდომ წყალობას. როგორც უნივერსალურ უფლებას, როგორც დემოკრატიის მიღწევას. ეს რომ სიმართლე იყოს და ყოველ ადამიანს შეეძლოს ერთი ოთხთვალას მფლობელი გახდეს, პლანეტა ასფიქსიით უეცარი სიკვდილის საფრთხის წინაშე დადგებოდა. მაგრამ მანამდე სანვაგი დაუმთავრდებოდა და უბრალოდ გაჩერდებოდა. მსოფლიომ მოკლე დროში უკვე დახარჯა ნავთობის უმეტესი ნაწილი, რომელიც დედამიწის წიაღში მილიონობით წლის განმავლობაში ფორმირდებოდა. მანქანები, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით, გულისცემის სისწრაფით იწარმოება, პლანეტაზე ყოველ წელს წარმოებული ნავთობის ნახევარს შთანთქავენ.

მისი მფლობელები ისე ექცევიან პლანეტას, თითქოს მოსახმარი და გადასაგდები ნივთი იყოს, სწრაფად წარმავალი, ისე როგორც გამოსახულებები ტელევიზორის ეკრანზე, ანდა რეკლამის მიერ შექმნილი მკვდრადმოხილი მოდა და კერპები.

მაგრამ სად არის ახალი სამყარო, რომელშიც გადავსახლდებით? ვაპირებთ, დავიჯეროთ, რომ ღმერთმა პლანეტა რამდენიმე კომპანიას მიყიდა, რადგან ცუდ ხასიათზე მყოფმა სამყაროს პრივატიზება

გადანწყობა? მომხმარებელი საზოგადოება სატყუარა ნაღმია. მმართველები თავს უყვებიან იკატუნებენ, მაგრამ ყველა ვისაც თვალეხი აქვს ხედავს, რომ ადამიანთა აბსოლუტურმა უმეტესობამ აუცილებლად უნდა მოიხმაროს ძალიან ცოტა, ან საერთოდ არაფერი, იმისთვის, რომ ბუნების დარჩენილი ნაწილი მაინც შევინარჩუნოთ. სოციალური უთანასწორობა არ არის შეცდომა, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს, არც ხარვეზი, რომელიც შეიძლება აღმოიფხვრას - ეს სისტემის არსებითი მახასიათებელია. ვერანაირი ბუნება ვერ გაუძლებს პლანეტისხელა მოლს.

ლიდერები, რომლებიც სამხრეთის ქვეყნების პირველ სამყაროში გადაბარგებას გვპირდებიან ჯადოსნური აქტის მეშვეობით, რომელიც ყველას ფლანგვის სამეფოს მდიდარ სუბიექტებად გადაგვაქცევს, უნდა გასამართლდნენ თაღლითობისა და დანაშაულის თანამონაწილეობისთვის. თაღლითობისთვის, რადგან შეუძლებელს გვპირდებიან. თუ ჩვენ ყველანი მოვიხმარდით იმდენს, რამდენსაც ისინი, ვინც ბოლომდე წურავს პლანეტას, მაშინ ჩვენ პლანეტა აღარ შეგვრჩებოდა. ხოლო როგორც დანაშაულის თანამონაწილეები იმიტომ, რომ ცხოვრების წესი, რომელსაც ისინი ახალისებენ - აღვირახსნილი მოხმარებით მოგვრილი ნეტარება, რომელსაც ისინი ბედნიერებას ეძახიან - გვიავადებს სხეულებს, გვიწამლავს სულებს და გვტოვებს სახლის გარეშე, რომელ სახლადაც მსოფლიოს სურდა ქცეულიყო, დიდი ხნით ადრე სანამ ის გაჩნდებოდა.

ბიბლიოგრაფია

- “Annual Report on American Industry.” *Forbes* (New York), January 12, 1998.
- Bellah, R. N., et al. *Habits of the Heart: Individualism and Commitment in American Life* (Berkeley: University of California Press, 1985).
- Centre de Recherches Historiques, École Pratique des Hautes Études. Special issue of *Annales* (Paris), July–August 1970.
- Cooper, Marc. “Twenty-five Years after Allende.” *Nation* (New York), March 23, 1998.
- de Jouvenal, Bertrand. *Arcadie, essai sur le mieux-vivre* (Paris: Sedes, 1968).
- Flores Correa, Mónica. “Alguien está mirando.” *Página 12* (Buenos Aires), January 4, 1998.
- Hernández, Felisberto. “Muebles El Canario.” *Narraciones incompletas* (Madrid: Siruela, 1990).
- Informe de la Policía de Colombia al Primer Congreso Policial Sudamericano (Montevideo, December 1979).“
- “Majul, Luis. *Las máscaras de la Argentina* (Buenos Aires: Atlántida, 1995).
- Marx, Karl. *Capital: A Critique of Political Economy*, vol. 3 (New York: International, 1929).
- Moulian, Tomás. *Chile actual: Anatomía de un mito* (Santiago: Arcis/Lom, 1997).
- Sarlo, Beatriz. *Instantáneas: Medios, ciudad y costumbres en el fin de siglo* (Buenos Aires: Ariel, 1996).
- Steel, Helen. Interview. *New Internationalist* (Oxford), July 1997.
- Wachtel, Paul. *The Poverty of Affluence* (New York: Free Press, 1983).
- Wallraff, Günter. *Cabeza de turco* (Barcelona: Anagrama, 1986).
- Zurita, Félix. *Nica libre*. Video documentary (Managua: Alba Films, 1997).“

